

# ლიტერატურული გაზეთი

აკა მორჩილაძე

## მადათოვს ლაშქარი



პირველი ნაწილი — მღელვარე ემგებე

სამი გოგონა საისტორიო ბიბლიოთეკაში

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მეორე კურსის სამი სტუდენტი გოგონა, სამივე სანიმუშო კომპაზიტი და სამივე კარგად მეცადინე სტუდენტი, ზაირა, ლეილა და ეთერი დიდიდანვე მოვიდნენ აქ, მაღლა, ყლორთაღის ძველი ეკლესიის შენობაში, რომელშიაც უკვე ოცი წელიწადი იქნებოდა, რაც სტუდენტთა საისტორიო ბიბლიოთეკა იყო გამართული.

ეს იყო დეკემბრის შუა რიცხვები 1949 წლის: უნივერსიტეტში სწავლა უკვე გაჩერებული იყო და ახლოვდებოდა ჩათვლები, ნახალწლევს კი გამოცდების ჟამი დადგებოდა. ამიტომაც, გოგონები დიდიდანვე სწვევოდნენ ბიბლიოთეკას, ვინაიდან ორიოდ დღეში მწარე ჩათვლა ელოდათ.

ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტთა უმრავლესობა გამოცდებისთვის ემზადებოდა საკუთრივ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ანდაც განთქმულ საჯაროში, ოღონდ კი ეს სამი გოგო მაინც ამ უნივერსიტეტიდან კაი შორეულ ბიბლიოთეკას გაჩვეოდა.

მიზეზი იყო ერთი: ეთერი ყლორთაღშივე, აქედან ძალიან ახლოს ცხოვრობდა და ზამთრის სესიათა მოახლოებისას ლეილა და ზაირა მასთან გადმოზარდებოდნენ ხოლმე სამეცადინოდ.

რა სჯობიან სამი გოგოს ერთად დარჩენას, ჭორაობას, ცოტა სწავლას და ერთად ფუთფუთს პატარა სახლში. ადრი-

ან სტუდენტობის გემო ხო ესაც არის, თორემ 1949 წელს ტფილისი ნამდვილად არ არის ის ქალაქი, ეთერის ბებიის სადაფის კოლოფში შემორჩენილი პარიზის ბარათებიდან რომ ჩანს: კაფეები, პარკები, ატრაქციონები, შლაპებითა და რიდიკულებით მორთული ქალები და თანაც, არც ეთერი, არც ზაირა და არცა ლეილა, არ მიეკუთვნებოდნენ თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ელიტურ სტუდენტთა ჯგუფს. მეტიც, ქართველოლოგიის ჯგუფშიც კი ვერ მოხვდნენ და პარტიის ისტორიის განყოფილებაში სწავლობდნენ. ქართველოლოგიის ჯგუფში ყოფნა, მომავალში მეცნიერად ყოფნას ნიშანვდა და იქაურობა ვერის უზნის განთქმულ სკოლათა ყოფილი მონაფეებით ივსებოდა ხოლმე: მეშვიდე ვაჟთა და მეექვსე ქალთა სკოლების ცნობილ ყმანვილებით და ცუგურუმელებით. ეთერი, ლეილა და ზაირა კი სულაც არ იყვნენ ვერელნი: ლეილა ნახლოვკელი გახლდათ, მაღაზიის გამგის ასული, ეთერი ყლორთაღელი, მუშტიედის ბალის სასულე ორკესტრის მემუსიკის ქალიშვილი, ზაირა კი ოქროსუბნელი, საგზაო მშენებლობის უზნის უფროსის შვილი.

ის რაც გოგონებს უყვარდათ ამ ქალაქში, ბალეტი იყო. მაშინ სცეკვავდა განთქმული ჭაბუკიანი და ესენი სამივე სულ ოპერის სასახლის წინ ტრიალებდნენ. ასე გასინჯე, დახატული ბილეთებიც კი შეაღწევდნენ ხოლმე შიგნით.

### მამუკა წიკლაური

#### სიმღერა

თუ მომკლავ, არაგვზე მომკალ, იქ დამენიე, სიკვდილო, — მარტო არ დავრჩე, ჩემს გვერდით შავმა არაგვმა იდინოს, ჟამი-ჟამ ჩვენი ქედების ქედანმა გადამიფრინოს.

ჟამი-ჟამ ყურში ჩამიდნეს თოვლი თოვლისფერ მთვარისა, მეც გავიგონო ჩურჩული მთების ლამაზი ქალისა — ათასჯერ აყვავებულის, ათასჯერ ჩამომდნარისა!

შუალამისას არაგვზე ჩამოიარონ დევებმა — ლამის ძმებმა და შვილებმა, არაგვის ძუძუმტეებმა, დადგნენ და დამკრან ბეჭებზე თავის ტოტები ვეება.

შემოიტყუოს კლდემ ჩრდილი და გვერდით დაინვინოსა დათხოვდნენ ლაღნი ვარსკვლავნი, გასცდნენ ცის სანაპიროსა, მე კი ყველაზე ლამაზმა ვარსკვლავმა დამიტიროსა.

იმ ვარსკვლავს ხელი მოვხვიო, ჩემი ქორწილი მეგონოს, ჩემი პატარძლის ცრემლები მთვარემ გვირგვინად შეკონოს და მექორწილე მაყარმა დაცლილი ყანნი მესროლოს.

იღრეონ გადასულებმა ამ ჩვენი ხეობისა: შემოაბუქოს ჭალები თეთრონმა ბუთლაისა, ჩაბუქნოს სამხარაულმა, რყევა დაინყოს მინამა.

ამღერდნენ ბუბუნაურნი ძილი ნაჰგვარონ ხეობებს და ჩემი დეკის ყვავილი ჩემს გვერდით მოირხეოდეს, დამიძმობილდეს სიკვდილი და ჩემს სუფრაზე ღრეობდეს.

თუ მომკლავ, არაგვზე მომკალ, იქ დამენიე, სიკვდილო, — მარტო არ დავრჩე, ჩემს გვერდით შავმა არაგვმა იდინოს, ჟამი-ჟამ ჩვენი ქედების ქედანმა გადამიფრინოს.

### ლია სტურუა

#### ნოსტალგიის მცდელობა

სანოლი - პატარა მინა - 130 კვადრატულზე სულ მეტრნახევარი სხვა არ მეკუთვნის ეს მინა, თავის დროზე, ომით ავიღე: ვარდისფერსათვლიან ლოგინს უძილობით შევეუტიე, გასრეილი ზენრების დროით, ბაზრობაზე ნაყიდ ბალიშში გერბის ბუმბულს ვინ ჩამიდებდა? ვერც სიზმარი მექნებოდა უფეხო ფრენა. . . გახამებული ზურგით შევდიოდი კომპარტში, ხაზგასმულად, თეთრი და სწორი. მთებს ვთამაშობდი? პატრიოტულ მოტივს სკოლის თემებიდან? რისი დაბრუნება მინდოდა? საგურამოს 19 ნომრის, სადაც პენსიაში გასული მილიციელი ჩემი კატის სულს ელაპარაკება და ორივე მონყენილია ამ ტყილ მონყენილობას მინისძვრები აღარ შეემთხვევა აბა, როგორ გავამართლო სიგარეტის კოლოფში ჩატენილი ფილტვები?

თავში სკანდალები თუ არ მირტყეს, გატეხილზე მარილი დადანაყილი შუშა არ მაყარეს, ანთებული ორგანოების გამოფენა-გაყიდვა არ მოაწყეს - ტკივილის საჩვენებელი გაკვეთილი! ღირს კი ამდენ სინათლედ ჩემი სისხლი სულ, რაღაც, მეტრნახევარ მინაზე?

\*\*\*

სანთლის შუქზე ლექსებს ვტყუი, მეზობელს შვილი უკვდება — მეტასტაზებს ტოტები უჩანს თვალეში, როგორც ფანჯარაში, გამჭვირვალე ბორკილი ადევს შიში მუცლის ძირიდან მოდის, ბორკილი - თავიდან პრესაში ჟურნალისტების გახელების ტემპერატურა აფეთქებას უახლოვდება ტკივილი აკლია. იქნებ, იმ ქალიდან გამოიხედონ, რომელიც სულ უფრო გამჭვირვალე ხდება, როგორც გარეცხილი ფანჯარა...

VI-VII

IV-V

VIII

<p><b>ჰომეზია</b></p> <p><b>მურმან ლეზანიძე</b></p> <p>გამოუქვეყნებელი ლექსი</p> <p>VIII</p>	<p><b>მსხმ</b></p> <p><b>ივანე ამირხანაშვილი</b></p> <p><b>NOLI ME LEGERE</b></p> <p>IX</p>	<p><b>ინტერპიუ</b></p> <p><b>გაბა ნახუცრიშვილი:</b></p> <p>„ერთი ამოსუნთქვით დიდი სისულელის დაწერაც შეიძლება“</p> <p>X-XI</p>	<p><b>ინტერპიუ</b></p> <p><b>თამარ ეზრაელიძე:</b></p> <p>„ვიმედოვნებ, სხვა გამომცემლობები მოგვბაძავენ“</p> <p>XII-XIII</p>	<p><b>პრიშიკა</b></p> <p><b>ზაზა გოგია</b></p> <p>„თუკი პურზე უფრო გჭირდება ყვავილები...“</p> <p>XIV-XV</p>
--	---	---	--	---

**დასაწყისი №1**

20

სიკვდილზე პირველად ოცდასამი წლის ასაკში ჩავფიქრდი. სიკვდილზე არა როგორც ზოგად კანონზომიერებაზე, არამედ ჩემს პირად სიკვდილზე და სიკვდილი საინტერესო თემიდან საშიშ მოვლენად იქცა. ამ დღიდან მოყოლებული ჩემი ნაწარმოებებით ვცდილობ, სიკვდილი საშიში მოვლენიდან კვლავ საინტერესო თემად ვაქციო. ეს ურთულესი ილუზიონისტური ნომერია, რომლის სრულყოფა შეუძლებელია. შედეგს მხოლოდ ხანდახან ვაღწევ და აქედან გამომდინარე მხოლოდ ხანდახან ვარ სიკვდილისთვის მზად.

21

ჩემი სიკვდილი ჩემთვის საშიში მოვლენაა, მაგრამ არსებობს უფრო საშიში მოვლენა: ჩემი სიცოცხლე. და რადგან მჯერა, რომ ნებისმიერ ადამიანს ორი სიცოცხლე აქვს: სიცოცხლე სიკვდილამდე და სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ, ვცდილობ ჩემ ნაწარმოებებში ჩემ სიკვდილზე მეტად ჩემ ორ სიცოცხლეზე ვწერო.

რა ვიცი მე ამ ორი სიცოცხლის შესახებ? ვიცი, რომ სიკვდილამდე ცხოვრება წარმავალია და აქედან გამომდინარე ძალიან ხშირად უაზრო და მოსაწყენი, ხოლო სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე — მარადიული და უსხეულო. მაგრამ წარმოდგენა არ მაქვს, რა არის მარადისობა და როგორია უსხეულო ცხოვრება და მხოლოდ დამახოლოდ ვიმედოვნებ, რომ ეს ყველაფერი კარგია და მომეწონება.

აი, ასე — ვითომ ჯოჯოხეთი არც არსებობს და ვითომ არც სიკვდილის შიშია ჩემი რწმენის საფუძველი.

22

რწმენა, რომლის საფუძველიც სიკვდილის შიშია, რწმენის ყველაზე გავრცელებული სახეობაა. ყოველ შემთხვევაში, ასეა ჩემს მეგობრებსა და ნაცნობებს შორის. ჩემი მეგობრები და ნაცნობები სუსტი, დაბნეული ადამიანები არიან. ალბათ არსებობენ უფრო მაგარი ადამიანებიც, მაგრამ მე მათ არ ვიცნობ და აქედან გამომდინარე (არ ვიცი სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ), კაცობრიობაზე ჩემი მეგობრებით და ნაცნობებით ვმსჯელობ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხში ჩემი მთავარი საზომი ჩემივე თავია. ამის მიზეზი ჩემი შეზღუდულობაა და არა ჩემი ეგოიზმი. სხვათაშორის, ჩემი ეგოიზმის მიზეზიც ჩემი შეზღუდულობაა.

23

მე არასრულყოფილი ვარ. მე შეზღუდული ვარ. ამ შემთხვევაში ამ ორ ფორმალურად მარტივ, მაგრამ შინაარსობრივად რთულ წინადადება ერთი შინაარსი აქვს და რადგან შემფასებელიც და შესაფასებელიც მე ვარ, ამ ორ შეფასებაში არაკორექტულ შეფასებას ვირჩევ და ვამბობ, რომ შეზღუდული ვარ. საკუთარი თავის არაკორექტულად შეფასება ყოველთვის გულისხმობს ყალბი სითამამის გამოჩენას და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, იბრუნებს პროტესტს გარემოსადმი. ანუ მე შეზღუდული ვარ, მაგრამ თქვენ ხართ — ქალბატონებო და ბატონებო!  
და კიდევ, ეს საკუთარი თავის განდიდების ერთერთი ხერხია, რომელსაც ზოგიერი დიდი მწერალი წარმატებით და მასშტაბურად იყენებდა (მეოცე საუკუნის თვალსაჩინო მაგალითები: ჯოისი, მილერი, სელინი, ბაროუზი).

24

მე 20-21 საუკუნეში დაბადებული 21-ე საუკუნის მწერალი ვარ. აქედან გამომდინარე, ჩემს ნაწარმოებში ყოველთვის, გაკვრით მაინც, ნახსენები იქნება მე-20 საუკუნე: საბჭოთა კავშირი, დამოუკიდებლობის პირველი წლები, ომები, მამაჩემი, რომელიც 2000 წელს გარდაიცვალა, რადგან ეს ჩემი ბავშვობაა. 2000 წელს 24 წლის გავხდი. ადამიანი 25 წლამდე ბავშვია, რადგან ამ ასაკამდე გარდაცვლილი ადამიანს ყოველთვის ბავშვად მოიხსენიებენ. 25 წლის შემდეგ იწყება ახალგაზრდობა, რომელიც 55 წლამდე გრძელდება, რადგან ამ ასაკში გარდაცვლილი ადამიანს ახალგაზრდად მოიხსენიებენ. სიკვდილი ასეთი რამეების დასადგენად

საუკეთესო კრიტიკიუმია. მე ძირითადად ახალგაზრდებზე ვწერ.

25

ბავშვობა რამდენიმე ეტაპად იყოფა. ეტაპი პირველი: როდესაც ადამიანი სიკვდილისთვისაც და ცხოვრებისთვისაც ძალიან პატარაა. ეტაპი მეორე: როდესაც ადამიანი სიკვდილისთვისაც და ცხოვრებისთვისაც პატარაა. ეტაპი მესამე: როდესაც ადამიანი სიკვდილისთვისაც ბავშვია, მაგრამ ცხოვრებისთვის უკვე — აღარ. და ეტაპი მეოთხე: როდესაც ადამიანი სიკვდილისთვისაც ბავშვია, ხოლო ცხოვრებისთვის დიდი და დროა — მიდგეს, მოდგეს და რაღაც გააკეთოს. ადამიანების უმეტესობა ამ დროს ბუნებრივ ცხოვრებას ამთავრებს და სერიოზულ ცხოვრებას იწყებს. სერიოზული ცხოვრება კი რთულია და საშიში.

გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვი აღარ ვარ და სერიოზული ცხოვრებით ვცხოვრობ, ჩემი ნაწარმოები რთულია და საშიში, ანუ — სერიოზული.

26

ადამიანების ერთი ნაწილი (მათი რიცხვი ძალიან დიდია) ცხოვრების ბოლომდე ბავშვად რჩება. აქ არ იგულისხმება ბავშვობა, რომლის შენარჩუნების შემთხვევაშიც უფალი ჩვენი იესო ქრისტე სამოთხის კარის გაღებას გვპირდება, არამედ ბავშვური, მცდარი მსოფლმხედველობა, რომლის მიხედვითაც ცხოვრება ზღაპარია. ასეთი რამ ხანდახან არა მხოლოდ ცალკეულ ადამიანებს, არამედ ერებსაც ემართებათ. ქართველები ერთერთი ასეთი ერი ვართ. ჩვენ ხომ გვჯერა, რომ საქართველო ციხეში გამოკეტილი მზეთუნახავია, რომელსაც ადრე თუ გვიან აუცილებლად ჭაბუკი უფლისწული დაიხსნის. ცხოვრება ზღაპარი არ არის. ზღაპრისგან განსხვავებით, ცხოვრებაში დროის შეჩერება შეუძლებელია. ამიტომ ჯობს, სარკეში ჩავიხედოთ და დავინახოთ, ვინ ვართ რეალურად: დატყვევებული მზეთუნახავი თუ მიღრწნილი დედაბერი ან იქნებ საერთოდ სქესი გვეშლება და უფლისწული ვართ.

27

ქართული მწერლების უმრავლესობა მეზღაპრეა. ანუ ქართველი მწერლების უმრავლესობა ასრულებს ქართველი ხალხის დაკვეთას. ე.ი. ქართველი მწერლების უმრავლესობა ლოკალური მწერალია. ერთი შეხედვით ეს პრობლემა არ არის, რადგან ბრიტანელი, რუსი, ამერიკელი, ფრანგი, გერმანელი და ა.შ. მწერლების უმრავლესობაც ლოკალური მწერლები არიან და ჩვენ მათი სახელები და შემოქმედება არ ვიცით, მაგრამ ზემოთჩამოთვლილი ერებისგან განსხვავებით, ქართველი ხალხი წინგნებს არ კითხულობს, ანუ საერთოდ არ აინტერესებს საკუთარი შეკვეთის შესრულების ხარისხი, რაც ქართველ მწერლებს უმრავლესობას საკუთარი ტექსტების ხარისხზე კონტროლს აკარგვინებს. ხოლო მწერლისთვის უხარისხო ტექსტების წერიდან საკუთარი თავის უპატივისცემლობამდე ერთი ნაბიჯია. საკუთარი თავის უპატივისცემლობიდან ლოტობამდე კი ნახევარი ნაბიჯი, თუმცა არსებობს სხვა გზაც: დადუმება.

დუმილი ოქროა. ოქრო რთული მოსაპოვებელია.

28

მწერალი ფილოსოფიურ დონეზე ბედნიერი ადამიანია, რადგან მან იცის რისთვის ცხოვრობს. მწერალი ცხოვრობს იმისთვის, რომ წეროს, უფროსწორედ, ცხოვრობს იმისთვის, რომ შედეგები წეროს. მწერლების უმრავლესობას ეს შეფასება (თუ განსაზღვრება?) — „შედეგი“ — ცხოვრებას უმწარებს, რადგან მწერლების უმრავლესობა შედეგებს ვერ წერს. აქედან გამომდინარე მწერლების უმრავლესობა ყოფით დონეზე უბედურია.

29

მწერლისთვის არსებობს „რისთვის ვცხოვრობ-ზე“? უფრო მნიშვნელოვანი შეკითხვა: „ვისთვის ვწერ?“ ამ შეკითხვას ნებისმიერი მწერალი უს-

ვამს საკუთარ თავს, ყურნალისტები ამ შეკითხვას უსვამენ არა ნებისმიერ, არამედ მეტნაკლებად ცნობილ მწერლებს. საკუთარი თავისადმი დასმული შეკითხვის პასუხი ყოველთვის განსხვავდება ყურნალისტის მიერ დასმული (იგივე) შეკითხვის პასუხისგან, რადგან საკუთარ თავთან შეიძლება გულწრფელი იყო. გულწრფელობა კი, ყოველთვის შეიცავს ქაოსის და დაბნეულობის ელემენტებს.

ყურნალისტებთან გულწრფელობა, შეუძლებელია.

„ვისთვის ვწერ?“ „არ ვიცი“.

ასეთი ამ შეკითხვაზე ჩემი ერთი ნაკითხვით და მოსმენით კატეგორიული, მაგრამ რეალურად გულწრფელი და ქაოსური პასუხი.

30

ახლა რაც შეეხება პასუხს ყურნალისტის მიერ დასმულ იგივე შეკითხვაზე. ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი მწერლის პირადი სტრატეგიაა, ანუ რა პოზიციიდან საუბრობს ის. თუ მწერალი ინტელექტუალად თვლის საკუთარ თავს, მაშინ, რა თქმა უნდა, ის იდეალური მკითხველისთვის წერს, თუ მწერალი პატრიოტი

**დავით ქართველიშვილი**

**პროზისა და საკუთარი**



და საზოგადო მოღვაწეა, მაშინ ის თავის ყველა ტექსტს სამშობლოს უძღვნის, რა თქმა უნდა, უანგაროდ. თუ მწერალი სკანდალისტია, მაშინ მან შეიძლება ნებისმიერი რამ თქვას.

ამ მიმართულებით ჯერჯერობით პირადი სტრატეგია გაურკვეველი მაქვს — ამიტომაც ყველანაირად ვერიდები რეკლამის რეკლამის როლში ყოფნას, თუმცა ვხვდები რომ ინტერვიუების გარეშე თანამედროვე მწერალი წარმოუდგენელია. ინტერვიუ ესეისტიკის მსუბუქი ფორმაა და დღეს ყველაზე მეტი მკითხველი ამ სწორედ ინტერვიუებს ყავთ.

ინტერვიუს ვიდრე, ე.ი. ვარსებობ.

31

მწერალი იმიტომ რომ არ შემოიძლია არ ვწერო.

აი, წერის ყველაზე ძველი და ამავე დროს ყველაზე რეალური მიზეზი თანამედროვე სამყაროში. ზოგადად (და არამხოლოდ ამ შემთხვევაში) რეალურ მიზეზებს მეტაფიზიკური ჟღერადობა აქვთ; მიყვარს და იმიტომ, მძულს და იმიტომ და ა.შ. ამ მდგომარეობების ამსახველი ზუსტი ბუჰალტერია არ არსებობს, ხოლო თანამედროვე სამყაროსთვის ყველაფერი რაც ბუჰალტერისი მიღმაა — მეტაფიზიკაა.

წერო იმიტომ, რომ არ შემოიძლია არ ვწერო...

რამდენად იზღუდება ამ შემთხვევაში ჩემი თავისუფლება? არჩევანის ღვთაებრივი უფლება? ვინ არის ის ვინც მანერინებს, ანგელოზი თუ ემპაიკი? ეს სერიოზული საკითხებია. ზოგადად ცხოვრებაა სერიოზული რამ თუ დაეუფლებო, რომ სამყაროში ადამიანებთან ერთად არსებობს ღმერთი, არსებობენ ანგელოზები და დემონები.

ეს დაშვება-არდაშვება გავლენას ჩვენ პირად ცხოვრებაზე ახდენს და არა სამყაროს წესრიგზე.

32

მწერალი არამხოლოდ იმიტომ, რომ არ შეუძლიათ არ წერონ.

საქართველოდან ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით ე.წ. ცივილიზებულ სამყაროში მწერლობა ერთერთი ჩვეულებრივი პროფესიაა და აქედან გამომდინარე მწერლების ერთი (ძალიან) ნაწილი ფულისთვის წერს.

პროფესიონალური მწერლობის გაგება აბსოლუტურად ეწინააღმდეგება მწერლობის ქართულ გაგებას, რადგან საქართველოში მწერალი ყველაფერია, ჩვეულებრივი, ჯანმრთელი, შრომისუნარიანი ადამიანის გარდა. მუქთახორა, შემოლილი, ამალღებულები, არამინიერი არსება, ერის მამა და ა.შ.

33

20-ე საუკუნის ოციანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირში ლიტერატურული პროცესი გაიყინა. გამყინვარებას ორი სუბიექტური მიზეზი ქონდა. მიზეზი პირველი: სტალინიზმი გაბედა, და მიზეზი მეორე — უმრავლესობა სტალინის გამბედაობით კი არ აღშფოთდა, არამედ აღფრთოვანდა. ყოველთვის ასეა, რადგან დიქტა-

ტურის პირობებში აღშფოთება სიცოცხლისთვის სახიფათოა, აღფრთოვანება კი მასაში დამალვის და სიცოცხლის შენარჩუნების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. აქვე უნდა აღინიშნოს რომ არსებობს გულწრფელი, ინდივიდუალური აღფრთოვანება. დიქტატურის პირობებში ის აღშფოთების ნაირსახეობაა.

34

დაბრუნება ვინმესთან ან რამესთან ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესია და ძალიან ხშირად იმედგაცრუებით მთავრდება.

პირველად ყინული 60-იან წლებში გალღვა და დაიწყო დაბრუნების ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი. 70-იან წლებში გამოჩნდა დასაბრუნებელი გზა და ამ გზას „ღმერთის და თავისუფლების გზა“ დავარქვით. 80-იან წლებში გვეგონა, რომ ამ გზაზე სიარული ვისწავლეთ, მაგრამ მოვიდა რეალური თავისუფლება და დღემდე არ ვიცით, რაში გვჭირდება ის, რა დანიშნულება აქვს მას. ჩვენ უბრალოდ თავისუფლებაზე ოცნება ვიცით. როდესაც გამძლარი მონები ვეყარეთ წყნეთში და კიკეთში, ბაკურიანში და ბორჯომში, ბათუმში და სოხუმში, საქმე არ გვქონდა და თავისუფლებაზე ვოცნებობდით, რადგან უკვე დიდები ვიყავით და რაღაც სერიოზულზე უნდა გვეოცნება. ხოლო ვინც ვერ ვეყარეთ... შევნატროდით იმათ, ვინც ვყარენე...

შემდეგ ღმერთის და თავისუფლების სახელით ერთმანეთი ჩავხოცეთ. ამასობაში ყინული ბოლომდე გალღვა და დაიწყო დაბრუნებით გამოწვეული დიდი იმედგაცრუება...

35

დიდი იმედგაცრუების დამაჯერებელ ასახვას ნიჭთან და ცოდნასთან ერთად

დიდი გამბედაობა ჭირდება. სამწუხაროდ, საქართველოში გამბედაობის დიდი დეფიციტია. პრეზიდენტის გინება შეგვიძლია, მთავრობის გინება მითუმეტეს, ერთმანეთის კიდევ უფრო თავისუფლად, მაგრამ საკუთარი თავის არა.

ამ მხრივ არც თანამედროვე მწერლები გამოირჩევიან. ისინი წერენ იმაზე თუ როგორი სუფთები და კარგები არიან და როგორ გამოირჩევიან მასისგან. მხოლოდ დამდაბლებითაა შესაძლებელი გადიდება, ამას საკუთარ თავს ვეუბნები.

36

ხანდახან ადამიანები ვგრძნობთ, რომ მხოლოდ მინიერი არსებები არ ვართ. ეს მაინცდამაინც სასიამოვნო განცდაა არ არის, რადგან ასეთი განცდა ცხოვრების სულ სხვა, რთულ წესზე გადასვლისკენ გვიბიძგებს. ამას კი უახლოეს, იაფ სასა-დილოში დათრობა, ან უხარისხო ნარკოტიკით გამხნეება, ან საყვარლის გაჩენა, ან სულაც ოჯახის შექმნა გვირჩევნია. რაც შეეხება ქალებს, მათ დამატებითი (და ყველაზე მძლავრი) ტკივილგამაყუჩებელიც აქვთ – ზრუნვა ბავშვებზე. ამას ჩვენზე, ღარიბებზე მოგახსენებთ. რაც შეეხებათ მათ, მდიდრებს მსოფლიო გასართობი ინდუსტრია დღითიდღე ვითარდება...

მე ამ ხანდახან გაჩენილი გრძნობის

დღეს აპროტესტებენ და ალბათ არც მომავალში გააპროტესტებენ. რაც შეეხება უსულო კერპებს, ისინი ყოველთვის უნებურად ხვდებოდნენ, ხვდებიან და, ალბათ, მომავალშიც მოხვდებიან დიდ სულიერ გაუგებრობებში...

39

ძალის ხშირად ცივილიზებული მსოფლიოში მნიშვნელოვანი მოვლენების დასასრული, საქართველოში იგივე მოვლენების ილუზორულ დასაწყისს ემთხვევა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში დასაწყისმა სულაც დაიგვიანა. საქართველოში „ავტორების ოქროს ხანის“ ილუზია მეოცე საუკუნის სამოციან წლებში დაიწყო და სამი ათეული წლის შემდეგ დასრულდა. საბჭოთა კავშირის დაშლა, ომი, ფინანსური კრიზისი. სამივე, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი მიზეზია, მაგრამ არცერთი ეს მიზეზი მთავარი და გადაამწყვეტი არ ყოფილა... მთავარი და გადაამწყვეტი მიზეზი ამ მოვლენის არაბუნებრიობა იყო, ასიათასიანი ტირაჟი, შეხვედრები პროლეტარ მკითხველთან, მაღალი ჰონორარი, სამთავრობო ავტომობილები.

მთელ ამ დიდ სიმახინჯეში ყველაზე დიდად ყალბი დიდი პოეტები არ მომი-

ოვთ, რა ამბავი დაატყდა თავს ლაშა ბულაძეს თავისი ერთ-ერთი მოთხრობის გამო. მე იმ დროს ლაშა ბულაძესთან შედარებით ბევრად უცნობი მწერალი ვიყავი და, რა დასაძალია, რომ მშურდა მისი. ამიტომაც ამ განვე-გამოწვევაში მისთვის აქტიურად არ დამიჭერია მხარი. მხარდაჭერა კი საჭირო იყო, რადგან ასეთ გაუგებრობაში შეიძლება ნებისმიერი ქართველი მწერალი მოხვდეს, რადგან საქართველოში არ უყვართ მონოდებული ინფორმაციის გადამომწევა...

ლაშა ბულაძის მაგინებლების რამდენ პროცენტს ჰქონდა რეალურად ნაკითხული მოთხრობა, რომლის გამოც მისი ავტორის ანათემაზე გადაცემას მოითხოვდნენ. ალბათ ხუთ ან შვიდ პროცენტს. ეს ძალიან მცირე მაჩვენებელია..

ლაშა ბულაძე ამ შემთხვევაში ნამდვილად მსხვერპლი იყო

42

ახლა პროვოკაცია. გახსოვთ ალბათ ზაზა ბურჭულაძის შიშველი ფოტო ჟურნალ „ანაბექში“, რომელზეც ის საკუთარი გენიტალიების რეკლამას, საკუთარი ახალი რომანის რეკლამას ამჯობინებს და პენისის წიგნი იფარავს. ზაზამ რთული და საბედისწერო არჩევანი გააკეთა (ეს არ არის საბჭოთა დიდაქტიკა). ვგულისხმობ არა საჯაროდ გაშიშვლებას, არამედ თავზე მასხრის ჩაჩის განზრახ ჩამოფხატებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ცხოვრების ბოლომდე სხვებს უნდა დაასწრო იმის თქმა, რომ შოუენობა. ხოლო საკუთარი მდგომარეობის გასამყარებლად ინტერვიუებში ხშირად და ხაზგასმით უნდა აღნიშნო, რომ გენისი ხარ.

მე ყოველთვის მიკვირს, როდესაც ზაზა ბურჭულაძის ლიტერატურას ან მის კინოკარიერას (საქართველოს მასშტაბით ეს არ არის ხმაელაღი ნათქვამი) განიხილავენ, რადგან ერთადერთი რისი განხილვაც საინტერესოა და რის გარეშეც არაფერი სხვა არ არსებობს, ეს მისი პიროვნებაა.

რა არის დალის ნახატები მისი უღვაშის გარეშე?

თუმცა, დავუბრუნდეთ ზაზა ბურჭულაძის ფოტოს ჟურნალ „ანაბექში“. ეს ფოტო პროვოკაციაა, ადამიანები კი ყოველთვის ვეგებით მსგავს პროვოკაციებზე, რადგან ის ფაქტი, რომ გამოჩნდა ვილაც ჩვენზე თავპარიანი და თითოთსაჩვენებელი ადამიანი, გვახარებს...

ისე, საკუთარი რომანის მაგივრად „ვეფხისტყაოსანი“, ხოლო მეორე ხელში მუყაოს ნაჭერი წარწერით „Allways coca-cola“ მგონი უფრო ეფექტური იქნებოდა (ეს ისე სხვათაშორის).

43

ახლა უკვე საკუთარ თავზე ვწერ... ხანდახან საკუთარი ცხოვრების შესაღამაზებლად ვწერდი...

ნებისმიერი ჩვენგანი ცდილობს საკუთარი ცხოვრების შეღამაზებას. ჩვენი ჩვენზე უბედური ახლობლები (გარე ნათესავები, მეგობრები, მეზობლები) ამ საქმეში ფასდაუდებლად გვეხმარებიან, მაგრამ არსებობს ცხოვრებაში მონაკვეთები, როდესაც ეს ფასდაუდებელი დახმარება ვეღარ ჭრის და იწყება ყველაზე საშინელი რამ: საკუთარი თავის დაჯერება, რომ არა სხვებთან შედარებით, არამედ თავისთავად უბედურიესი ადამიანი ხარ, სწორედ საკუთარ თავზე ასეთი ზემოქმედების შედეგად დაინერა ჩემი მეორე წიგნი „დღიურები მირანდასთვის“.

ნიგნში სამი მთავარი მოქმედი პირია, მე, მამაჩემი და მირანდა...

ყველა წესის მიხედვით ამ წიგნს „მამა“ უნდა ერქვას (ნაიკითხე წიგნი და თავად დარწმუნდებით ამაში), მაგრამ ასე არ მოხდა. შემძლია პირდაპირ დაგისახელოთ მიზეზი თუ რატომ არ მოხდა ასე, მაგრამ მიჩვენია ყველაფერი თანმიმდევრულად მოვეყვ და თავად მიხვდეთ რატომ არ მოხდა ასე.

44

მამაჩემი 2000 წელს გარდაიცვალა, ამ დროს მე ოცდაოთხი წლის ვიყავი და რადგან ცხრამეტი წლის ასაკიდან წიგნები ადამიანებზე მეტად მაინტერესებდა, ხოლო მამა ადამიანი იყო და არა წიგნი (მამას გარდაცვალებიდან რამდენიმე

წლის შემდეგ მე შემეძლო მამა წიგნად მექცია, მაგრამ ეს არ გააკეთე...), ცხოვრების უკანასკნელ წლებში მას იშვიათად ველაპარაკებოდი ძირითადად ცუდი პოლიტიკური სიტუაციის და საშინელი ეკონომიკური მდგომარეობის გამო...

მამაზე წერა მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში დავიწყე. ეს არ მომხდარა გააზრებულად, ანუ მე არ დავმჯდარვარ საწერ მაგიდასთან და არ მიმიცია საკუთარი თავისთვის დავალება: „შენ უნდა წერო გარდაცვლილ მამაზე“. თუმცა ვერც იმას ვიტყვი, რომ საწერ მაგიდასთან დავჯექი და სათქმელი თავისთავად გადმოვიღვრა ფურცელზე.

ფურცელზე ასეთი თავისთავადი გადმოვრების არც მაშინ მჯეროდა და არც ახლა მჯერა. ყოველთვის არსებობს უხილავი ან აშკარა მიზეზი. ამ შემთხვევაში მიზეზი აშკარა იყო: მამა მენატრებოდა და აქედან გამომდინარე სულ (გარდაცვლილ მამაზე ვყვირე და ამ სიტყვას ბავშვური გაგებით ვხმარობ, თორემ ვიცი, რომ „სულ“ დედამინაზე გამოიყვლია) მამაზე ვფიქრობდი, ვიხსენებდი მასთან დაკავშირებულ ამბებს და მამას სახეს. ადამიანის ნამდვილი სახის აღდგენა გაცილებით ძნელია, ვიდრე ამ ადამიანთან დაკავშირებული ამბების გახსენება.

მამას ფოტოები და ვიდეო ჩანაწერები მის ნამდვილ სახეს მაცილებდნენ.

45

მამაზე მოთხრობების წერა მისი ნამდვილი სახის აღდგენის მიზნით დავიწყე, მაგრამ წერის პროცესში მამა (თავიდან ასე ვფიქრობდი) აბსტრაქციად იქცა, შემდეგ თანდათან მივხვდი და უცებ ვიგრძენი, რომ მამა „კონკრეტული მამიდან“ „ზოგადი მამა“ გახდა.

ასე რომ ოცდახუთი წლის ასაკში არა მხოლოდ მწერლად, არამედ ზოგადი მამის ერთ-ერთ შვილად ვიგრძენი თავი...

და ამოვისუნთქე... მირანდა ახალამოსუნთქულზე გაეცინა...

გაცნობის ადგილს (სივრცეს), გაცნობის დროს და სხვა მეორეხარისხოვან დეტალებს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მნიშვნელოვანი მხოლოდ ჩემი შინაგანი მდგომარეობაა და ამიტომ ვიმეორებ: ახალამოსუნთქული ვიყავი...

შევეცდები მაქსიმალურად ზუსტად გადმოვქეთ ის რას განიცდის ამ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი. უფრო სწორად, მაქსიმალურად ზუსტად გადმოვქეთ ის, რას განიცდიდი მე, რადგან ეს ძალიან სუბიექტური განცდაა. ცუდად ყოფნას ორი მთავარი მიზეზი აქვს: სივრცე და დრო, ყველა სხვა მიზეზი მეორეხარისხოვანია, ახალამოსუნთქულმა ვიგრძენი როგორ იქცა მინიერი, შეზღუდული სივრცე უსასრულომად, ხოლო დრო – მარადისობად. ასეთი მდგომარეობა უცვლელად რომ დარჩენილიყო ჩემში, დღეს კაცობრიობისთვის (ერთდროულად დადებითი და უარყოფითი გაგებით) თითოთ საჩვენებელი პიროვნება ვიქნებოდი, მაგრამ ეს ასე არ მოხდა... და დღეს მე ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებით ვცხოვრობ...

46

მირანდასთან ურთიერთობას უსასრულობიდან და მარადისობიდან ვუყურებდი, და აქედან გამომდინარე, ვერანაირ საფრთხეს ვერ ვხედავდი, რადგან უსასრულობიდან და მარადისობიდან დანახული ეს ურთიერთობა გარანტირებულად წარმავალი ჩანდა და ეს წარმავლობა იყო ჩემი სიმშვიდის გარანტი...

მოკლედ, ეს არ იყო სიყვარული, სადაც ერთადერთი გარანტია თავად სიყვარულია...

გაბრძნობა შემდეგ ნომერიში



თავის შესახებ

ჩემ, სხვა ანას

მწერალი ვარ. აქედან გამომდინარე ჩემი ნაწარმოებები ერთთემოვანია, რაც (სამწუხაროდ) ხშირად ერთფეროვნებაში ერევათ...

37

ხანდახან ავტორი და მკითხველი ერთიადიგივე ადამიანია, ასე ხდება მაშინ, როდესაც ავტორი საკუთარ ნაწარმოებს კითხულობს, მაგრამ ზოგადად „მკითხველში“ იგულისხმება სულ სხვა ადამიანი, რომელთანაც ავტორი მინიერი ცხოვრების განმავლობაში წიგნის საშუალებით ურთიერთობს. რაც შეეხება მარადიულ ცხოვრებას, იქ სავარაუდოდ სულ სხვა კლასიფიკაციაა და აქედან გამომდინარე სულ სხვა ყაიდის ურთიერთობები.

ყველა ტექსტი მკითხველისთვის არ იწერება, მაგრამ ყველა წიგნი მკითხველისთვის გამოდის.

გავრცელებული აზრი, რომ მკითხველი თანავტორია, მცდარია. თანამედროვე ავტორები ასე ელაქუცებიან მკითხველებს.

ყოველთვის ასე არ იყო.

38

აპტორებს ჰქონდათ საკუთარი ოქროს ხანა...

„ავტორების ოქროს ხანა“ და „ლიტერატურის ოქროს ხანა“ ორი სხვადასხვა მოვლენაა და მათ შორის განსხვავება რამდენიმე ათასწლეულია...

როგორც ყველაფერ მინიერს, ნებისმიერ ოქროს ხანასაც აქვს დასაწყისი, განვითარება, პიკი ანუ ოქროს ხანის ოქროს ხანა. აქვს ასევე გარდაუვალი დაღმასვლა და დასასრული...

ამ შემთხვევაში ჩვენი ინტერესების სფეროში მხოლოდ „ავტორების ოქროს ხანის“ პიკი, ანუ „ავტორების ოქროს ხანის“ ოქროს ხანა შედის. სავარაუდოდ დასაწყისად მეთვრამეტე საუკუნის ბოლო, ხოლო სავარაუდოდ დასასრულად მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლები შეიძლება ჩათვალოს. ამ პერიოდში ავტორის გავლენა მკითხველებზე განუზომელია, ავტორები ხდებიან წინამძღოლები არამხოლოდ ესთეტიკურ არამედ, სოციალურ, ფილოსოფიურ და რელიგიურ საკითხებში და, რაც მთავარია, მწერლობა თანდათან ხდება პროფესია.

თავისთავად მკითხველების მხრიდან ასეთი გადამეტებული ნდობა ავტორისადმი კერპთაყვანისმცემლობაა, მაგრამ თავად კერპი მისდამი თავყვანისცემას ყოველთვის ბუნებრივად თვლის. ყოველშემთხვევაში, სულიერი კერპები მათ ბრმა თავყვანისცემას არ აპროტესტებდნენ, არც

წონს, რადგან მათ ლექსებს ქართველი ხალხი დღემდე ზეპირად ამბობს და რატომ გვიკვირს ამის შემდეგ რომ ასე ცუდად ვცხოვრობთ?!

40

ბავრცილეპული აზრით, დღეს დიდი მწერლები აღარ არსებობენ. არიან კარგი მწერლები, ძალიან კარგი მწერლები, ძალიან ძალიან კარგი მწერლები, სუპერ მწერლები, მაგრამ მათგან არც ერთი დიდი მწერალი არ არის.

ჩემი აზრით, ამ გავრცელებულ აზრში არ იგულისხმება მხოლოდ ის, რომ თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები მხატვრულად ჩამოუვარდებიან ძველ ტექსტებს (ზოგჯერ ეს ასე არ არის), არამედ უფრო ის, რომ დღეს სხვა დროა, ადამიანებს სხვა პრიორიტეტები აქვთ და, აქედან გამომდინარე, დღეს შეუძლებელია არსებობდეს დიდი მწერალი, რადგან დიდ მწერლობაში არ იგულისხმება მხოლოდ ტექსტის მაღალმხატვრულობა, არამედ მწერლის პიროვნებაც. ხოლო თანამედროვე სამყაროში შეუძლებელია დიდი პიროვნება დიდი ფულის გარეშე, მაღალმხატვრული ტექსტი და დიდი ფული, კი ერთმანეთს თითქმის სრულიად გამოირცხვენ (გ.გ. მარკესის არსებობა მიშლის ხელს იმაში, რომ ჩემს მტკიცებულებას კატეგორიული ფორმა მივცე). მიუხედავად ამისა, ზოგიერთ მწერალს მხოლოდ ტექსტების წერა არ აკმაყოფილებს და საკუთარი პიროვნების წარმოჩენის დიდი სურვილიც აქვს. სწორედ ასეთი მწერლებისთვის არსებობს დიდი მწერლობის ჩამანაცვლებელი ისეთი მოვლენები როგორებიცაა, დიდი სკანდალი და დიდი პროვოკაცია.

41

შორეულ წარსულში მოწყობილი სკანდალები და პროვოკაციები დღეს მხოლოდ და მხოლოდ ლეგენდებია და აქედან გამომდინარე მათ ლეგენდის ეფექტი აქვთ და არა სკანდალის ან პროვოკაციის, ამიტომ მაგალითებს უახლოესი წარსულიდან მოვიყვან, შეგახსენებთ ერთ ლოკალურ სკანდალს და ერთ ლოკალურ პროვოკაციას და ამ ორი მაგალითით შევეცდები იმის დამტკიცებას, რომ სკანდალი სპონტანურია, ხოლო პროვოკაცია გამიზნული. რა თქმა უნდა, საუბარი გვექნება არა ამ ორი სიტყვის ეტიმოლოგიაზე, არამედ სკანდალის და პროვოკაციის სუბიექტებზე. პირველი ხშირ შემთხვევაში მსხვერპლია, მეორე — შოუმენი...

დავიწყეთ სკანდალით. ალბათ გახს-

სიყვარულის ფიქსა

დაიძახა გუგულმა, დაიქუხეს ღრუბლებმა. გაზაფხულის სისხლის ღელვა იწყება. დაიგრგვინებს, თავს აიწყვეტს მდინარე — გადათქერავს, გადათელავს ჯებირებს. ისრებს ღელავს სისხლიანი ფიქსა, თამაშდება უძველესი პიესა და მზის გულზე დაიღვრება სისხლი და თვალბინი ჩამოწვება ნისლი. რომეო და ჯულიეტა გამოვლენ და მათ გზაზე ატირდება მთვარე; ტარიელი კვლავ დაჰკარგავს ნესტანს და ვეფხვის მზერა გაიელვებს გზებზე; ხმლების შულში დაეცემა ჰამლეტი, დაჭკნებიან ოფელისა იები; ალვის ხეებს წელში გახრის გრიგალი და მარეხი ეთერს მიიპატიჟებს: — ძმა მიკვდება, შენი ნახვა მოარჩენს... გაზაფხულმა გაიხადა ზამთარი, გაზაფხული გამოცურდა ზამთრიდან. ცხელი სისხლი იგუგუნებს ვენებში, ყლორტებს აშლის ცაგახსნილი ვენახი. სიყვარული მიუვარდა ირინეს, გაუშალა ტუჩები და მკერდი. თამაშდება უძველესი არაკი, ადიდება სიყვარულის არაკვი; ისევ გათამაშდება აისი და დაისი, ირემივით იყვირებს ბენვაშლილი მაისი. ... ისევ გათამაშდება უძველესი პიესა და... უჩვენოდ ჩაივლის სიყვარულის ფიქსა.

აღათი

ათაპაპათა ანდერძის მცველად ადათის დიდი კედელი იდგა. ამ კედლის იქით იწყებოდა უფშიური ზონა — მაცილისაგან დალდასმული წყეული მხარე. მხოლოდ ქარები ჭიხვინებდნენ და ქვითინებდნენ გვალვისაგან და შხამისაგან დამწვარ ველებზე, მოჩვენებები გაჰკვირდნენ გზებზე ცივი ხმით და შამბნარებში ასი გველი ერთად წიოდა... იქ გადავიდა ლადიმია ცალფეხაშვილი — გარეთ გავიდა, გადათელა ადათის ღობე — დადიოდა და ნაგზაურზე შავ თესლს თესავდა და იმ შავ თესლზე შავი წყევლა ამოდიოდა. თითქოს წავიდა, თითქოს ადათს გადალაჯა, მაგრამ ადათმა თავის მიჯნა მაინც არ დათმო და განაჩენი შურდულივით გამოისროლა: — შენს დედას ზარავს შენი დედობა, — შენს მამას ზარავს შენი მამობა, — შენს ცოლს რცხვენია შენი ცოლობა, — შენს შვილს რცხვენია შენი შვილობა, — უნდა ნახვიდე, ნადი, ნადი, აქედან ნადი! ღამემ თქვა — ნადი! დღემაც თქვა — ნადი! მთებმა ასწიეს ხმა ზეცამდე — აქედან ნადი!.. მოკლედ, სულყველამ მოიხადა თავისი „ვალი“, თითო ქვა ყველამ გაისროლა ლადიასაკენ. ... სასაფლაოზე რომ მივასვენეთ, მომეჩვენა, რომ ერთიანად წამოდგნენ მკვდრები და დაიძახეს საერთო ხმით — აქედან ნადი! ამ ჩვენს მიწაზე არ მოგიშვებთ, აქედან ნადი! ... და მე, ერთადერთს, შემეცოდა ცოდვილი კაცი...

ბახიზვა

ალარ შემეძლო იმათთან ყოფნა, რალაც მუავე და მძალე სუნმა შემომანჩქრია და წამოვიდა ჩემს ჩასანთქმელ-ჩასაძირავად. უკვე ვლპებოდი და ვკვდებოდი, ვილუპებოდი, სიცოცხლის ფსკერზე ვილუქებოდი. — გამოდი გარეთ! — დამიქნია ხელები წვიმამ, — გამოდი გარეთ! — დედასავით მიმიხმო ქარამ

და მეც ავდექი და წამოვედი, თითქოს საკუთარ სხეულიდან გამოვიხიზნე. გარეთ კი ღამე შემეგება წვიმით და ქარით — შემომეხვია, შემომაჭდო გრილი ხელები ასაფეთქებლად გამზადებულ გულზე და შუბლზე. — იქ ვინლა დარჩა? — მკითხა ღამემ ღამის ენაზე, — იქ მთელი ჩემი წარსული დარჩა, ქარით ნატანჯი ხმელი ფოთლები და ფეხზე დგომით დაქანცული ხეები დარჩნენ. ჩემი თავიდან გამოვედი, გამოვიხიზნე და ახლა მინდა გრილი ღამის კალთაში მოგვკდე, რომ ეს სიკვდილი მარადიულ სიცოცხლეს ჰგავდეს

ვიყო ამ მთებთან, წყაროებთან და ჩანჩქერებთან; რომ სულ მიყვარდეს — ვინც მიყვარდა, რომ სულ ვუსმინო — წვიმებს და ქარებს, ვუყურო მთვარის ჩაბრძანება-ამობრძანებას, რომ არ დავნებდე სიკვდილსა და ფერისცვალებას...


მიპატიჟება

ის ხმა სისხლივით სდიოდა ღამეს — შვილს დასტიროდა თევდორეს დედა, თუმცა ხმით ტირილს ვერც დაარქმევდი. ეს კვნესა იყო — მშრალი კვნესა, გამხმარი კვნესა და ქარქაშიდან მახვილივით ამოდიოდა. ძალიან დაბალ ხმაზე ტიროდა — სიკვდილს ემუდარებოდა, სიკვდილს ეჩურჩულებოდა, სიკვდილს ეპატიჟებოდა დეიდა ნინო: — მოდი, სიკვდილო, მეც წამიყვანე, მეც განმშორე აქაურობას, აღარც მზე მინდა აქაური და აღარც — მთვარე, შავი მთვარე და შავი მზე მინდა; მე შენთვის თოვლის ფანტელიც არ ვარ და რატომ გიჭირს ჩემი გაქრობა?! მოდი, სიკვდილო, ნუ გეშინია, ჯოხს არ მოგიქნევ, ქვასაც არ გეცვრი, ვერც შვილსა და ძირს დაგიწყევლი გაბოროტებით — როგორ დავწყევლო — ძირიანად ამოხში-მეთქი?!

ახლა მივხვდი, რომ შენც საქმე გაქვს საკეთებელი, მართლა სჭირდები ჩემისთანა გამწარებულებს. ამიტომ მოდი, შემეხიდე, შემომეშველე, შემომიქნე ალესილი მახვილი შენი და განმშორე ამ გაყინულ განადგურებას, — ასე ტიროდა და კვნესოდა თევდორეს დედა. ... არ შეისმინა სიკვდილმა ხვეწნა; არ შეისმინა ვედრება მისი. სიმართლე რომ ვთქვათ, ვერც მივიდოდა — არაა იგი დაჩვეული მიპატიჟებებს — კარის შეღწევა და უეცრად შევარდნა უყვარს.

აღმიდგინე დაფლეთილი სურათი

ვინმემ რომ მითხრას — ერთ დიდ სურვილს შეგისრულებო — რას ვისურვებდი? — სურვილების მეტი რაღაა? — სურვილების და ოცნებების ზღვა დგას ჩემს ირგვლივ; მაგრამ აი, ამ აღურიცხავ სურვილებიდან ერთს ავირჩევდი, ერთ სასწაულს მოვინატრებდი: — დამაბრუნე უკვე ჩავლილ დროში, აღმიდგინე დანგრეული სახლი — მთის კალთაზე მიკერებულ სოფელში, აღმიდგინე დარღვეული დრო და აღმიდგინე დაფლეთილი სურათი: დედა ცომსა ზელს ხინკლისათვის, მამა ხორცს კაფავს ბრტყელპირა ხანჯლით, მე ჩიტის საჭერ მახეს ვაკეთებ, ხოლო ჩემი და მღერის და მღერის —



მამუკა ნიკლაური

ერთ სიმღერას რომ ჩაათავებს, მეორეს იწყებს. სახლში, გარედან, ჩვენი ძაღლის, ბოთანეურის ყეფა შემოდის. ბოთანეური სიჩუმეს ებრძვის — ხეობებს, ღრუბლებს და მალალ მთებს ეკამათება. ... აღმიდგინე დარღვეული დრო, ქვევით ჩავლილი დრო მოაბრუნე, სულ ერთ დღესა გთხოვ — ის ერთი დღე კვლავ გამოთენე...

სიკვდილს ებრძვიან ჩვენი ქალები

სიკვდილი ბელტის ციხესთან დაგხვდა, ვეებერთელა ყორანივით დაგემხო თავზე — ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე გაშალა ფრთები და დაგიტანა, გაგაშავა, დაგანახშირა... ეს რა ტირილი იცინა ჩვენმა ქალებმა — ისევ უკან აბრუნებენ სიკვდილისგან მიტაცებულ ბიჭებს. აი, ამგვარად დაგიტირა ხორხელმა ნინომ: — ვინლა აიტანს სანადიროდ თოფს ჭიუხებში! ვინლა გააფრენს შენებურად თეთრონს ქალაზე! როგორ გალადებოდა შენი სიკვდილი! — აი, რა ბიჭი მოგიყვანეო, — ეტყოდა დედას, — მზე და მთვარე აქვს ჩახატული ორსავ ბეჭზეო, თვალებს ჩახედე — თვალებიდან ისრებს ისვრისო... სიკვდილის დედაც გაიხარებდა, მიულოცავდა შვილს გამარჯვებას... შენი ბრალია შენი სიკვდილი, მაგარი იყავ და სიკვდილიც მაგრებს დაეძებს!.. ... მართლაც, რა მარხედ ქვითინებენ ჩვენი ქალები, სიკვდილს ებრძვიან და უშიშრად ებძიან პირში.

... და აყვავდნენ ალუბლები

... და აყვავდნენ ალუბლები, სალომე — თეთრი მტრედები დააფრინდნენ მუქმწვანე ბალებს. ეს ალუბალი — გაზაფხულის თეთრი ქედანი შენ რომ გგონია, გიჟივით ჰყვავის, ეგრე არაა! — ის მომავლისკენ, თავისი ნითლად შეღებილი ოცნებებისკენ — ნითლად დახუნძლულ ტოტებისკენ გაიყურება. ხომ შეიძლება, გაზაფხულის ყინვამ დაჰყეფოს. ხომ შეიძლება, ჩამოტეხოს სეტყვამ ცის თალი. ხომ შეიძლება, მოიქნიოს ნალდი მებაღემ... ის მაინც ჰყვავის და ზაფხულისკენ — ნითლად შეღებილ ტოტებისკენ გაიყურება. ... სანყალი ჩვენი სიყვარული, სალო-სალომე, რა შორს უნდოდა გაფრენა და რა ახლოს მოკვდა...

მაინც ნუ იტყვი, სალომე!

... მაინც ნუ იტყვი, სალომე, რომ სულ მარტო დარჩი, რომ შენს კუნძულზე მხოლოდ და მხოლოდ აზრდაკარგული ღამეები ცვლიან ერთმანეთს,



აზრგამოცლილი დღეებილა მორიგეობენ.  
 მაინც ნუ იტყვი, რომ სულ მარტო ხარ.  
 ჩემი ფიქრი და მონატრება ხომ განუწყვეტელი  
 შენთან არიან! —  
 ფიქრების გრძელი ხელით გეხვევი,  
 ფიქრების გრძელი ხელებით გწვდები,  
 ფიქრის ხომალდებს მოვაცურებ მაგ კუნძულისკენ —  
 რომ შეგიერთდე დაქანებულ ზვავის წყურვილით,  
 რომ შემოგანა ლობესავით ჩემი ხელები,  
 რომ კიდევ ერთხელ ავყვავდე და აგაყვავილო,  
 რომ შენთან ერთად მოვუსმინო წვიმების თქრიალს  
 და ვიგრძნო, წვიმა ციდან კი არა —  
 შენი მზერიდან, შენი თმებიდან  
 და შენი თეთრი ღიმილიდან ჩამოთქრიალებს...  
 ... მაინც ნუ იტყვი, სალომე, რომ  
 სულ მარტო დარჩი —  
 მე ამ ხელებით ცას ავწვდები, ქვესკნელს  
 ჩაწვდები  
 და სად წახვალ, რომ ვერ მოგძებნონ ჩემმა  
 ხელებმა?!

**ლევან აბაშიძე**

„მალიდან სცნობენ ყორნები თოფის ხმას  
 ლეგაისასა,  
 ჩამოდიან და სისხლსა სმენ, მზეს ფიცვენ  
 მსროლელისასა“.  
 არავინ იცის, ვინ იყო ლევა —  
 რა ომი იყო და ვის ესროდა.  
 მის ამბავს არსად მოიხსენიებს  
 ჟამთააღმწერლის მჭრელი კალამი.  
 თუმცა კი, თუმცა, განა ცოტაა,  
 რაც ორ სტრიქონში ჩაატია ამ ლექსის მთქმელმა?!  
 განა არა დგას ჩვენს თვალწინ ლევა —  
 საჯიხვის კლდისებურ ჯიქურ მზირალი  
 და არაგვივით ქენჩახიან-ჩანჩქრებიანი?!  
 მეტი რა ეთქვა ლექსის გამომთქმელს! —  
 თოფზეც თქვა, გმირზეც, ღრუბელივით ჩამომდგარ  
 დროზეც,  
 არც მადლიერი ყვავ-ყორნები დავინწყებია...

**თოვლი კახეთში**

მოდის თოვლი — დატყვევებულ ვარსკვლავების  
 ცრემლი,  
 ფრთებს ასვენებს და ელენე ახვლედიანს ელის,  
 რომ თეთრ ღამეს გადაუხვას თოვლიანი ხელი.

თოვს. სიღნაღის გაღვანის უფრო მაღლა იწევს,  
 ხმა გამოდის: ეს სასმისიც დაგვილიე, სიძევ!  
 თოვლი უკრავს ალაზანზე — ამ ერთადერთ სიმზე.

აი, მრავალჟამიერიც! — გაიშალა გრემთან,  
 რომ აძგერდეს კახის გული, როგორც ადრე ძგერდა,  
 რომ ცარიელ სასმისებში არ ჩაგუბდეს სევდა.

თოვს — ცა მიწას ეფერება, თოვლიან ხელს  
 უწვდის,  
 დარდობს თოვლი და თოვლისფერ სარაჯიშვილს  
 უცდის,  
 რომ ამღერდეს თეთრ ტაძარში ანგელოზთა გუნდი.

თოვს — მიწაზე დასაწოლად ძირს ჩამოდის ზეცა,  
 ველარ ვარჩევ დღეს ღამისგან — ღამეცაა, დღეცა,  
 სიზმრად ვნახე, ჩემს პატარძალს თოვლის კაბა  
 ეცვა.

იქნებ ცხადი სიზმარია, იქნებ მართლა ვკვდები,  
 იქნებ მართლა მმარხავენ და დამტირიან დები,  
 იქნებ დილით ვერც ავნიო თოვლიანი ფრთები.

თოვს და თოვლში ვიძირები, ვზღაპრდები და  
 ვქრები,  
 თოვს, თოვში ჩაილექნენ წასასვლელი გზები  
 და სიღნაღის თეთრ ღამეში სამუდამოდ ვრჩები.

**სიზმარი**

... აი, ბერიძეც მოვიდა ხატში,  
 შესანიშნავად მოიყვანა ჭრელი ბატკანი.  
 ბატკანი ისე ლამაზია! ისე ლამაზია!  
 რომ გაიფიქრებ თვით სილამაზე  
 მოუყვანია დასაკლავად ბერიძესაო.  
 ... ილოცება ხევისბერი, ილესება ხანჯალი.  
 — მიშველე რამე, თორემ დამკლავენ,  
 შენს მეტს არავის არ ვეცოდები, —  
 შემომყურებს და მევედრება ჭრელი ბატკანი.

— ნეტავ, რაღა მე ამომარჩია?  
 როგორ ვუმშველო, სხვის ბატკანზე მე რა ხელი  
 მაქვს?!  
 ხევისბერს სანთელს ხომ ვერ ჩაუქრობ?  
 ხელიდან ხანჯალს ხომ ვერ ავართმევ?  
 არადა, ვიცი, არ შეიძლება  
 ამ სილამაზის მოსპობა და განადგურება!  
 და გადავწყვიტე! — მივე, შევხსენ ბანარი ბატკანს  
 და გავიქცეოთ, მინდვრის ქარებს გავეკიდებით.  
 უკან ქარივით დაგვედევნა ხატის დასტურიც —  
 გავრბივართ ჩვენ და მოაელვებს დასტური  
 ხანჯალს.  
 ვერ დაგვენია. ფრთები მოგვეცეს თეთრმა ორბებმა  
 და ზეაფრინდით, ცის სიღრმეში შევიკარგებით...  
 ... გამომეღვიძა. სიამაყით ავხედე ზეცას...  
 ბატკანი ციდან მზის მაგიერ გადმომყურებდა.  
 გამომეღვიძა. სიამაყემ ამწია ცამდე:  
 — სიზმარში მაინც ხომ ვიომე სილამაზისთვის —  
 სიკვდილს ვეომე, იმის მახვილს არ შევეპუე!..

**მზა რომ ბაჩრაღა**

სიყვარულს თურმე, დაქანებულ ზვავის ძალა აქვს.  
 სიყვარულს თურმე, ადიდებულ თერგის ძალა აქვს  
 და... სიყვარული თურმე მზესაც აჩერებს ცაში.  
 გახსოვს, სალომე, მზე რომ აყვავდა,  
 მზე რომ გალოთდა — ღვინოსავით რომ  
 იღვრებოდა,  
 მზე რომ ოქროსფერ ფრინველივით  
 შემოგვაფრინდა,  
 მზე რომ გაჩერდა, მზე რომ დადგა და დაავინყდა  
 რომ წასულიყო დასავლეთის მიმართულებით.  
 გზა ვერ გაიგნო, ისე დათვრა, ისე მინებდა  
 ღვინის ჩანჩქერებს;  
 ჩვენც ხომ დათვრით, ჩვენც ცეცხლივით მოგვედო  
 ღვინო  
 და ერთმანეთის ცხელ გულზე ჩამოგვეძინა,  
 ვიდრე ღრუბელმა არ იფეთქა ცაში ნადმივით  
 და ჩვენს გულზე ცივ წვიმად არ ჩამოიღვარა,  
 ვიდრე გრივალმა მძინარენი არ შეგვანჯღღრია.  
 ... მერე მზის დედა გამოვიდა, მზეს მოაკითხა  
 და ნაიყვანა მთვრალი შვილი დასავლეთისკენ.

**ეჰ, სიყვარული საწყალი და მარტოღამართა**

წუხელ, ქალაქში ქუჩა-ქუჩა ხეტიალისას  
 ერთ უცნაურად შერევილ კაცს გადავეყარე —  
 ეკლესიასთან, ეკლესიის ღობის კუთხეში,  
 ჩამოშვავებულ, ფერად-ფერად ფოთლებში იწვა.  
 თოვლი და წვიმა ირეოდნენ ერთმანეთში და  
 ქარიც იქ იყო, თავის დებთან — წვიმასთან,  
 თოვლთან.  
 ვერ გაარჩევიდი ტიროდა, თუ მღეროდა ქარი.  
 ის კაცი იწვა — ძირს დანეულ ცას უღიმოდა,  
 თავის „ოთახში“ იწვა და „ბჭობდა“ —  
 ვილაც შორეულ მოპაქერეს ედავებოდა.  
 ერთი ვიფიქრე — მივალ, მაგ კაცთან,  
 სახლში წავიყვან, გავათბობ და თბილ სიტყვას  
 ვეტყვი...  
 მერე თავს ვკითხე — სხვის საქმეში რატომ  
 ვერევი?!  
 მე რას გავწვდები, რაც ქალაქში შერევილია! —  
 ვინ იცის, ქვაც კი შემომტყორცნოს —  
 წადი, მომწყდიო!..  
 ... ეჰ, გულგრილობა უტეხი და მრავალგვარია,  
 სიყვარული კი საწყალი და მარტოღამართა...

**სასამართლოში**

... სასამართლოში უმთავრესი სულ ბოლოს ჰკითხეს:  
 — ბოლოს და ბოლოს, გიყვარდა, თუ გძულდა ის  
 ქალი?!  
 ვერ უპასუხა ამ შეკითხვაზე,  
 რა ეპასუხა — ეს თვითონაც რომ არ იცოდა?!  
 სძულდა?..  
 უყვარდა? —  
 ერთმანეთში გადაიხლართა.  
 უყვარდა, მაგრამ ამ სიყვარულში  
 ეჭვების შავი მდინარე ჰქუხდა,  
 იკლავებოდა შავი მდინარე —  
 ასავსავებდა შხამიან ენას...  
 შესძულდა, მაგრამ ამ სიძულვილში  
 აყვავებული გვირილების სურნელიც იდგა  
 და ერთი ქალი ცას სწვდებოდა კვიპაროსივით.  
 ... ბოლოს, მსაჯულმა მოხსნა ეს კითხვა —  
 ბრძნობებზე სდუმან კოდექსები და კანონები;  
 გრძნობებზე მხოლოდ ლეგენდები და თქმულებები,  
 ფრინველები და ყვავილები ლაპარაკობენ.

**არ შეგეშინდეს**

არ შეგეშინდეს!  
 ვთქვათ და დღეს მოვეკვდით,  
 ხომ მაინც ასე იქროლებენ ანცი ქარები,  
 ხომ მაინც ასე ითრთოლებენ ქარში თელები!  
 მზეც მარადიულ სიყვარულით მოეფინება  
 მთებს და მწვერვლებს.  
 კვლავაც იღვებს ნითელ-ყვითლად ლამაზი ევა,  
 კვლავ მინდორ-მინდორ გაფრინდება ბექას საღარი  
 და სიყვარულის დროშასავით აფრიალდება  
 ძველი სიმღერა: „მე შენ მიყვარხარ!“  
 არ შეგეშინდეს! არ შეგეშინდეს!  
 კვლავ მოედება დედამიწას ჟრუანტელივით  
 ტელეხმები და რადიოხმები:  
 — გრძელდება ფრენა მთვარის ჩრდილო-  
 დასავლეთისკენ,  
 ხვალ, ცხრა საათზე გაფრინდება დილის რეისი...  
 არ შეგეშინდეს!  
 მერე რა, თუ აღარ ვიქნებით! —  
 ხომ იყო დრო, რომ სხვა იყო და ჩვენ არ ვიყავით —  
 და მაინც ასე დაფრინავდნენ მოლაღურები  
 და ნითელ კაბას იქარგავდა ლამაზი ევა.

**გაქცევა**

... და გამოვრბოდი ბავშვობიდან.  
 ... და გამოვრბოდი სიჭაბუკიდან.  
 გამოვრბოდი და მდევარივით მომდევდა ცეცხლი.  
 საშინელება ხდებოდა უკან —  
 იწვებოდნენ და იფერფლებოდნენ  
 ჩემი დღეები და ღამეები;  
 იწვებოდა ჩემი სიყვარული —  
 სალომეს მზერა და სალომეს ლამაზი მხრები;  
 იწვოდა ჩემი მთვარიანი საღამოები —  
 მთვარი თუ არა — სალომეს ხმით განათებული;  
 იწვოდნენ მწვანე მინდვრები და თეთრი ქედები,  
 იწვოდნენ წლები — წერილები და სიმღერები.  
 იწვოდნენ წლები — ინგოლოდა ჩემი სოფელი.  
 იწვოდნენ წლები — ბნელდებოდა ჩემი ქალაქი  
 და ცეცხლის ლომი ტყეს ეკიდა ცეცხლის ტოტებით —  
 ... და ვინვებოდი, ვინვებოდი და ვინვებოდი.  
 ... და გამოვრბოდი, გამოვრბოდი და გამოვრბოდი.  
 ...  
 ცეცხლში ჩანვა და გაქცევა თურმე სიცოცხლე,  
 მხოლოდ ცეცხლგამძლე ტკივილები უძლებენ  
 ხანძარს.

**აკაენთ ნინი**

რა უცნაური კაცი იყო აკაენთ ნინი —  
 იმის ხუმრობას ხუმრობასაც ვერ დაარქმევდი,  
 რაღაც სხვა იყო — ხუმრობაში ვერ თავსდებოდა.  
 ...  
 „ღმერთი მწამს, მაგრამ ის ღმერთი არ მწამს,  
 საიქიოს რომ დამხვდება და დამამუნათებს:  
 — დიდმარხვაში შენ ერბო-კვერცხი გიჭამია და  
 სამოთხის კარებს ვერ გაგიღებო“ —  
 თქვა ერთხელ ნინიმ.  
 ...  
 რა უცნაური კაცი იყო აკაენთ ნინი,  
 იმის ხუმრობას ხუმრობასაც ვერ დაარქმევდი,  
 რაღაც სხვა იყო...



მაგრამ ახლა ამით ჭაბუკიანისთვის არ ეცალათ: კარზე იყო ჩათვლები და გამოცდები და რახან ისედაც კარგად სწავლობდნენ, წესადა ჰქონდათ, დილიდან საღამოს ხუთ საათამდე ბიბლიოთეკაში მოსულიყვნენ.

სტუდენტური ბიბლიოთეკა დიხსაც კი აღამრთზე, ყლორთაღის ეკლესიის შიგნით გაეხსნათ და როგორღაც ისე მიეტიხრ-მოეტიხრათ, ისეთი ხარაჩო-შიდაკიბეები და რამეები ჩაედგათ შიგ, რომ თუ არა გუმბათი, და თუ არა, ისა რომ შენობა გარედან კვლავაც ეკლესია იყო, შიგ შესული ვეღარც მიხვდებოდი, რომ ეკლესიაში იყავი, ფრესკებს თაროები და სტენდები ფარავდა, ხოლო სადამდეც ესენი ვერ მისწვდებოდა, თეთრი კირით ნალები, გუმბათამდეც კი ასულიყო, იმდენი ეღებოდა. მეთხუთემეტე საუკუნის ფრესკანი, სრულიად უპატივცემულოდ იყვნენ შთენილნი. ჯერ არ დამდგარიყო ის დრო, როცა კომუნისტური მთავრობა ეკლესიებს ისოტრიულ ძეგლებად აღაირებდა. მიტომაც, გასაკვირი არ იყო: ეკლესიები იყო სანყოფნათ და ასე ითქვას, საზოგადოებრივ ობიექტებადაც კი. აი, ნახალოვკის ეკლესიაში აბანო იყო გამართული და მთელი პირაქეთა ნახალოვკა იქ დაიბანდა ხოლმე. განსაკუთრებულად მყუდრო საშხააპეებო, ასე იტყოდნენ, საკურთხეველს უკან არისაო.

ბიბლიოთეკაში იდგა გრძელი მაგიდეები და ბურჟუიკა ფეჩები, რომელთა ახლოსაც მოხვედრა იქ მომეცადინე სტუდენტებისთვის ზამთრის მეცადინეობებისთვის ჟამს კარქა ჩათბობას ნიშნავდა. ამიტომ გოგოები ადრე მოდიოდნენ ბიბლიოთეკაში, მის გაღებამდე ბარე ნახევარი საათით ადრე და უკვე გათომილნი პირველები შესცვივდებოდნენ დარბაზში და დაიჭერდნენ საყვარელ ადგილს მარჯვენა ბურჟუიკის ახლოს. ნაშუადღევზე ბიბლიოთეკარი დეიდა იქ შეშასაც კი შეამატებდა ხოლმე, მაგრამ უტკბილესი, მაინც დილის საათები იყო, როცა სუსხიდან შემოსული გოგოები ახალგაზღვრებულ ფეჩს შემოუსხდებოდნენ და გაშლიდნენ ნიგნებს.

ამის გამო ბიბლიოთეკარი თამარა გიორგვენა, რომელიც დარბაზის გამგე ბრძანდებოდა, გოგოებს ოკუპანტებს ეძახდა, ერთი ბურჟუიკა მუდმივად იმით ხელშიაო, რაც ზოგჯერ ერთგვარ უხერხულობასაც კი ქმნიდა, ვინაიდან რაოდენ მოულოდნელიც არ უნდა იყოს, ბიბლიოთეკაში არ დადიოდნენ მხოლოდ სტუდენტები, არამედ დროული კაცები საკამოდ ინტელიგენტური პროფისისა. ისინი აქ უფრო გაზეთების საკითხავად შემოდდიოდნენ, ვინაიდან ყოველთვის იყო ძველი და ახალი გაზეთების მთელი შეკრები.

მკითხველებში გამოერეოდნენ კაცები, რომლებიც ან რაღაცას ეძებდნენ გაზეთებში, ან უბრალოდ კითხულობდნენ მათ, ანდა ჩვევის და ბინის სიახლოვის გამო შემოივილიდნენ ხოლმე ყლორთაღის ეკლესიაში. ესენი ყველა იყვნენ უკლებლივ ჭაღარანი, ძველ, თუმცა საგულდაგულად ნანმენდ და მოვლილ სამოსში გამოწყობილნი. ისინი ეგებ განათლების სფეროს მუშაკები იყვნენ, ზოგიერთი სულაც მეცნიერებათა კანდიდატიც გამოდგებოდა და თამარა გიორგვენა მათ ყველას ტკბილად იცნობდა.

ეთერი, ვითარცა ენაკვიმატი, აცხადებდა, რომ ესენი თამარა გიორგვენას ძველი სატრფობი იყვნენო, იმიტომ, რომ სტუდენტებისთვის დამბლვერი, ჭაღარა და მკაცრ, ერთმედლიან კოსტუმში კიდევ უფრო მკაცრი თამარა გიორგვენა ამ მომსვლელთა უმრავლესობას სრულიად შინაურულად და კეთილგანწყობილად ელაპარაკებოდა ხოლმე და ზოგჯერ, ტიხარს იქეთაც შეინვევდა, სადაც მეორე ბურჟუიკა იდგა.

ეს გასაკვირი არ იყო, ვინაიდან თფილისი პატარა ქალაქია, ყლორთაღის აღმართები კი მოკლე, ლაპარაკი კი აქ ყოველთვისაც უყვარდათ.

უხერხულობას კი ის გამოიწვევდა ხოლმე, რომ იქ მოდიოდნენ კაცნი, რომელნიც გაზეთებით და პარტიული

აკა მორჩილაძე

მადათოვს ლაშქარი

პირველი ნაწილი — მღელვარე ემგები



ჟურნალებით არ კმაყოფილდებოდნენ და საისტორიო ნიგნებს გამოიწერდნენ ხოლმე. ასეთები, სტუდენტებით მთელს დღეებს ატარებდნენ ბიბლიოთეკაში, ფურცლავდნენ, ხვნეშოდნენ, მუცელს ააქარებდნენ, ქერტლს იფერთხდნენ და სწერდნენ რაღაცეებს რვეულებში. ზაფხულში ერთი იყო, მაგრამ ზამთარში ამგვარ მშრომელებს, რომლებიც ვინ იცის, რასა სწერდნენ და რა თხზულებების შესწავლაში ლევდნენ დღეებს, ხელები შეუცივდებოდათ ხოლმე და აუცილებლად ნააოადგებოდნენ ხოლმე თავს ბურჟუიკას გაყოლებულ მაგიდასთან მიმსხდარ გოგოებს და ხვნეშითა და უკმაყოფილებით, რომ ვითარცა დროულ კაცთ, ვეჩთან და ჯდომა არ ელისათ, ბურჟუიკის თავზე ხელსიგულების ტარებას და ფშვნეტას მოჰყვებოდნენ.

გოგოები ამას მიჩვეულები იყვნენ, ვინაიდან, ასე თორმეტი საათიდან ამგვარი მოსვლები ხშირდებოდა და დღეში სამი ოთხი ამნაირი კაცი მაინც ნამოადგებოდათ თავს. ეთერი ამ მოსვლებს რეისებს ეძახდა. ნამოვიდა რეისზეო, იტყოდა. კაცები იყვნენ, ჩატვირთულნი, ბებერხოციანნი, რაღაცით ჰგავდნენ მათ ლექტორებს და რაღაცით არ ჰგავდნენ. რახან ბიბლიოთეკას ფანჯრები არ ჰქონდა, ამიტომ დღის შუქზე ისინი ეგებ ვერც ეცნოთ, მაგრამ აქ კი სცნობდნენ და ფხუქუნებდნენ კიდევაც. გოგოებს თავლებით სიცლი გამოსდოდათ, ნიგნებში თავს ჩარგავდნენ ხოლმე და ასე უცინოდნენ ერთმანეთს, როცა რომელიმე ბერიკაცი, სხვანაირად რომ ვთქვათ ხრონნი, თავს ნამოადგებოდათ და სიაცვემპარული ნამოიწყებდა გათბობას.

გოგოებმა იცოდნენ, რომ ხრონნთა ამოხვნეშები ნიშნავდა: რო დამჯდარხარ ამხელა ძროხა მანდ, ვერ ხედავ ამ ხნის კაცი ფხზე ვდავარ. ცოტახანს მაინც დამსვი ფეჩთან.

მაგრამ გოგოები არად დაგადევდნენ ასეთ რამეებს, ვინაიდან ბურჟუიკა მათი სიმყუდროვისთვის აუცილებელი იყო.

იმ დილასაც, გოგოები ათის ნახევარზე გამოცხადნენ ყლორთაღის ბიბლიოთეკასთან და როგორც კი თამარა გიორგვენამ შეიგნა, გაალო ეკლესიის ძველი, რკინით ნაჭედი კარი, შეცვივდნენ და უკვე მოგუზგუზე ფეჩთან მისხდნენ: ის თავიანთი პალტოები გაიხადეს და ისე შემოისხეს, წინ დალაგებული გუშინვე დატოვებული ნიგნები გადაფურცლეს და რვეულებსაც ჩახედეს, აბა, ახლა რა ჩავაკონსპექტოთო. თუ კი ნამდვილ მაცადინობას შესძლებდნენ, მხოლოდ ადრიან საათებში. მერე სწყინდებოდათ და ჭამასაც კი გაახურებდნენ ხოლმე. რვეულის ფურიცელში გამოხვეული პურის ნაჭრები და ვაშლები ჩანთებში ელაგათ.

ჰოდა, ისინი სწორედ სამიოდ წუთის ჩამსხდრები იყვნენ, რომ სამკითხველო დარბაზში შემოვიდა მაღალი, კოკარდა-

გატეხილქუდიანი კაცი, ნამდვილი, პირნავარდნილი, ჩამოხორცებული ხრონნი.

— ტუფლებს შეხედე, ტუფლებს შეხედე, — ნაიჩურჩულა ეთერიმ.

კაცს საშინელი ფეხსაცმელები ეცვა, ვეღარ გაიგებდი, დასვრილი იყო, თუ სიძველისგან დაჯღანული. საერთოდ, ტანსაცმელი ჭირდა, ან ფული ჭირდა. მოხუცებს. აბა, საიდან უნდა ეყიდათ ფეხსაცმელი?

პალტო მას ეცვა გრძელი, დიდი და მძიმე, ეგებ სარჩულჩამოხეულიც, რაღაცნაირად გამობერილი ორ ადგილას. პალტო იყო ღია კარიჩნის ფერისა ხოლო კაშნი მოჭერის, მოურჯულებელი, უშნოდ შემოტეხილი ყელზე.

კაცმა ძველი ორსაკეტიანი პორთველი დადო ერთი მაგიდის კიდზე, კაშნი გადაკიდა სკამის ზურგზე, ქუდიც მოიხადა, თმაზე ხელი გადაისვა, უბიდან ამოიღო ძველებური პენსნე, გაიწვიპა თეთრი ულვაში, შეისწორა ძველი პიჯაკი, რომელიც მშვენივრად ადგა ტანზე, შეიშლიდა შავი ჰალსტუხი, მძიმედ ჩამოჯდა და გოგოების გასაკვირად მაგიდის ქვეშ ფეხსაცმელები გაიხადა.

— ჩუსტებს ჩაიცმევს, ჩუსტებს, — ჩაიფხუქუნა ეთერიმ.

— ან კალოშებს.

კაცმა ფეხსაცმელები კოხტად მიანყო კუთხეში, რასაც თამარა გიორგვენას ქორისებური მრისხანე თვალს მიედევნა, პორთველი გახსნა და იქედან ორი დიდი ბათინკა ამოიღო. მსუბუქი ხვნეშით ჩაიცვა ისინი, კოხტადაც დაქუსლა იატაკი და დაჯღანული ფეხსაცმელები კი პორთველში შეინახა.

— ვინ არ იცნობს ბაბაჯანას, და მის ქოშებს ძველს და ჯღანას, — წაისისინა ეთერიმ და გოგოებმა ნიგნებს დააშტერეს თვალი, რათა ფხუქუნი არ გამოეაშკარავებინათ.

კაცმა თითქოს გაიგონა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია. მხნედ ნამოდგა და სანიგნე ტიხრისკენ გაეშურა, საიდანაც გაიგონეს მისი მჟღერი ხმა:

— ქალბატონო თამარა, პრავდა, ბოლო თვისა, კოლხოზნიკი მაისის თვისა და ეგება მიპოვნით ამნაირი ნიგნი, გენერალ ტვერდოხლეზოვის ანგარიში გენრალური შტაბის მიმართ 1915 წელს, — საკვირველი ეს იყო რომ კაცს, თავისი ტუფლებიანი პორთველი ხელში ეჭირა.

თამარა გიორგვენამ მკაცრი გაკვირებით შეხედა ამ ახოვან, მისი ასაკის ხრონნს და ჰკითხა:

— მოქალაქე, შენ ხარ ჩვენი ბიბლიოთეკის წევრი?

— ახ, რამდენი წელიწადია, — შუბლზე გაისვა თავისუფალი ხელი კაცმა და მერე უბისკენ გააქანა — აქ 1933 წლიდან ვარ...

თამარა გიორგვენამ გაცვეთილი საბუთი ჩამორთვა და ქორებულ დაათვალიერა.

— ეს ვადაგასულია.

— განვაახლოთ მერე პატივცემულო ამხანაგო. საბჭოთა კავშირში გაზეთ პრავდას წაკითხვას ცნობა ჭირდება?

თამარა გიორგვენამ ყური მოარიდა ვერაგულ შეკითხვას და თქვა:

— აბაზი დასჭირდება. ბაშფორთი დასჭირდება.

— ახლავე, ბატონო, — კაცმა კვლავ ჩაიყო უბეში ხელი და ამოიღო პასპორტი, ლურჯი ფერისა, ზედ ოქროსფერ ღერბით, რამაც გასაოცრად გააკვირვა თამარა გიორგვენა.

— ეს რა არი მოქალაქე?

— ბაშფორთი.

ბიბლიოთეკარმა გადაფურცლა ბაშფორთი და გაკვირვებით თქვა:

— ეს... საიდან?

— ფრანგულია. დიას.

— უცხოელი ხარ, მოქალაქე?

— ქართველი ვარ, რატომ უცხოელი.

— აბა, ეს რა ბაშფორთია?

— საფრანგეთის რესპუბლიკისა.

თამარა გიორგვენას ოფლის წვეთები შემოადგენ შუბლზე და გული აუძგერდა უსწრაფესათ. ის თავის გონებაში სწყვეტდა, რა ექნა, როგორ გაეტარებინა დავთარში უცხოეთის მოქალაქე. ახლა სარაიონო უშიშროებაში ხომ არ დარეკავდა? თუმცა, უშიშროებაში კი ეცოდინებოდათ ამნაირი უცხოელის ქალაქში ყოფნაზე.

— არ ვიცი ეს ენა, — მძიმედ მოიტყუა თამარა გიორგვენამ — ვერ ვკითხულობ თქვენს გვარს, — და პასპორტი მძიმედ გადმოდო დახლზე — შეინახეთ ესა და ეს-ლავე მოქცემთ პრავდას და კალხოზნიკს. კაცმა უსიტყვოდ წამოკრიფა საბუთები და უბეში გააქანა.

— თქვენ იცით, დრო ისე მიჰქირს ხოლმე, თამარა გიორგვენა, ვეღარ გამიხსნებთ.

თამარამ არაფერი სთქვა, თაროებზე ქეთიალს მოჰყვა და გამოაძრო მაისის კალხოზნიკი.

— აი... — სთქვა ცივად.

კაცმა ცალი ხელით ჩამორთვა გაზეთების კინძულა და ჟურნალი და წალახ-ლახდა იმ მაგიდისკენ სადაც ქუდი და პალტო დასტოვა.

იქ წყნარად დაჯდა, პორთველი ფეხებზე ჩაიდგა და მოჰყვა გაზეთის ფურცლვას.

თამარა შეცბუნებულ-შემფთხალი უყურებდა დახლს იქედან.

შუა კითხვაში, ეს კარგათ გაიხსენა თამარამ, კაცს ხელში პატარა, იოდისფერი შტანგლასი დაუნახა, წამლის შუშა, ასე ორასგრამიანი. კაცს შტანგლასი ესე ხელში ეჭირა და მოყლუპავდა ხოლმე. ჩანს, რაიმე მიქსტურასა სვამსო, გაიფიქრა თამარამ, ოღონდ კი მაინც ხინჯად დაურჩა, ეს ფრანგული პასპორტი რაღა იყო, ან ამ პირველად ნანახმა კაცმა ჩემი სახელი საიდან იცოდაო. თამარა ყლორთაღის ბიბლიოთეკაში დაბერდა, ეს თეთრულვამიანი სახეგრძელი მოხუცი კი არ ენახა.

კაცი გაზეთს ფურცლავდა, ნამოდგებოდა, ბოთლით ხელში გაიარ-გამოიარდა და ფიქრებულში, მოყლურნავდა და ისევ მიუჯდებოდა გაზეთ პრავდას.

საერთოთ, იმ დროს თბილისში ამნაირ ტევადობის და ფერის შუშებში მიქსტურებს არ ასხამდნენ. მიქსტურისთვის იყო გამოიჭვირვალე, ვინრო და მაღალი ბოთლი, ზედ დატანილ საზომებით. თანაც, რეცეპტს ბოთლსავე მიაკრავდნენ ხოლმე. ამნაირი გაუმჭვირვალი ბოთლები კი, შტანგლასები, ოღონდაც პატარა, მოიხმარებოდა იოდის, სპირიტის, ქაფურისა და ამნაირი მწველი რამეებისთვის. თამარა გიორგვენამ რაღა თქმა უნდა, იცოდა სააფთიაქე ბოთლების არსი ქალაქ თფილისში 1949 წელს.

ამ კაცის ქცევა კი მას აშფოთებდა. თანაც, სრულიად მოულოდნელად, ეს ადამიანი რომლის გვარსახელიც ბიბლიოთეკარმა თითქმის დაიმახსოვრა ძველი საბუთიდან, მაგრამ უცხოური პასპორტის დანახვისთანავე დაავიწყდა, რაღაცა გვარი არცთუ ურიგო, ჰო, მოულოდნელად ეს კაცი ბურჟუიკასთან მიმჯდარ გოგოებს ნამოადგა თავს, წამლის შუშა ხელში დარდმანდულად შეათამასა,

მეორე ხელი ფერს გადაატარა გალუღუნებულ თავზე და სთქვა: — ახლა, რო გვექონდეს კარტოფილები, კაი კობხად შევყრიდით აქ.

გოგოებმა კვლავ ჩაიფხუკუნეს და ახლოდან პირველად შეხედეს ხრონს.

— მერე კიდე, ცოტა რო შეინვება, მთელმთელად, უნდა ჩაჭრა და შიგ ნივრის ლენები ჩადო. ...ეუპ, — თქვა კაცმა და ისევ მიიდა შუშა ტურზე.

ისე ეტყობოდა, რომ კი არ სვამდა რამეს, არამედ მხოლოდ მიიტურებდა, თითქოსდა პირის გასაველებლად.

თამარა გიორგვენას ცეცხლი მოადგა სახეზე. იმან პირველად იფიქრა, რომ კაცს ბოთლში არაფერი უსხია და რახანდა კაი ბებერია, სულ ცოტაც ყოფნის, ახლა კიდე უკვე თავში აუვარდა, მადა გაეხსნა და გოგოებთან აჟღერტულეობაც მოეხსიათა.

სანამ თამარა დეიდამ რამიმ წარმოსთქვა, კაცმა სრულიად მოულოდნელად უცხო ენაზე შესძახა:

— ვი ვილ ნევა სერრანდა!..

ვერც გოგოებმა, და ვერც თამარამ ეს სიტყვები ვერ დაიმახსოვრეს, მაგრამ თამარა კდივე უფრო აალმურდა, გოგოები კი თითქოს დაიბნენ.

— ვი ვილ ფაით ზემ!... — სთქვა კაცმა და მისკენ შემცბარად მაცქერალ გოგოებს ტკბილად გაუღიმა:

— მალხაზებო, მზეთუნახავებო... თქვენ კი აღარ დაგჭირდებათ, თქვენ მეესწრებით. . .

— მოქალაქე — დასძახა უცებ თამარა გიორგვენამ, — აქ სამკითხველოა და ჩუმად დაიჭირეთ თავი, დაბრძანდი შენ ადგილზე, ან დასტოვე აქაურობა. ბიჟოს...

კაცმა ტკბილად ააციმციმა თვალები და გოგოებს იმედიანი ღიმილი ესროლა.

— სამკითხველო, — და ხელი შემოატარა გარემოს, — აქ სამკითხველოა? საკვირველია მე აქ ეკლესია მეგონა... მინდა მოგახსენოთ შვილებო, რომ მე აქ მომნათლეს გეგრ, სადაც თამარა გიორგვენა ზის, დიდი სპილენძის ემბაზი გამოქონდათ ხოლმე...ეუპ, რამდენჯერ ვყოფილვარ აქ...

თამარა სრულიად ნახდა.

კაი ქალი იყო.

— ვი ვილ ნევა სარრანდა, სარრანდა, სარრანდა — კვლავ ჩაიციხა კაცმა.

— მოქალაქე, — დახლს გამოშორდა თამარა გიორგვენა, — ჩუმად იყავი, თუ ღმერთი გნამს... აღარ ვართ მე და შენ იმ ხნის, რო არ ვიცოდეთ... ამ ბოვებებს რაღას ასმენინებ?

— თამარა გიორგვენა, — ძვირფასი ბოთლი შეათამასა ხელში ხრონმა, რომელიც გოგოების წინაშე, თვლსადახელშუა იცვლიდა იერს, ყოჩალი, მოხდენილი და დარდმანდი ხდებოდა, — თამარა გიორგვენა. რა მაგარი სუფრაჟისტა გოგო იყავი, რა პროკლამაციების გადმოყრა გაქანებული ეტლიდან, რა დაძახება! რა თვალები... რა ფრანგულები, რა ლათინურები იცოდო...

თამარა გიორგვენა სულ მთლად ქცევადაკარგული გამოვარდა ტიხარს იქიდან, ოღონდ კი უცებლა შეჩერდა, ვინაიდან ვერ მიხვდა, რა ეთქვა და მგონი გაახსენდა ამ კაცის სახელი და გვარი.

— ვი ვილ ენვა სერრანდა! — შესძახა კაცმა, უცებ შებარბაცდა და მოენიდა ერთ ერთ სკამს თავისუფალი ხელით, ხოლო მეორე ხელი, რომელშიაც წამლის შუშა ეჭირა, როგორღაც წინ გამოისვირა და ნელნელა, უკან მიბარბაცებით ნახორიალდა ისე, რომ იმის შემკავებელი ვეღარავინ იყო. ლეილამ ბოთლიან ხელში მოავლო ხელი, ეთერიმ მაჯაში, ზაირამ კი შეჰკივლა, ისევეთარ რომ კაცმა, სკამი და ორი გოგო, თავის სიმძიმით თან წაიფორხილა, გადავარდა უკან და გაიშხლართა ბურჟუიკის გვერდით სრულიად უგონო, თვალბეგახელილი და პირდაფრენილი, აღრეცილი თეთრი უღვავით. ლეილას ხელში შერჩა იმისი შუშა და შეშინებულმა დასდგა იატაკზე, პირკატაცემული თამარა გიორგვენა გადაფითრებულ გოგოებს ეტაკა, განზე გასწია და ჩაიჩოქა გაშხლართულის თავზე, მერე კი უცებ, არადადამიანური ძალით შესძახა:

— ვახტიორო, ვახტიორო! რუბენა.

გოგო, ვახტიორო მოიყვანეთ...

გოგოები უაზროდ გამოცვიდენ გარეთ, კარებში შეეჩახენ ბიბლიოთეკის ახალ მომსვლელებს.

— მკვდარია, — სთქვა რუბენამ — დავერკოთ საექიმოში.

ათიოდ სტუდენტი შორიახლოს ჩამომდგარიყო ამ განსაკუთრებული ვითარებით ალტყინებული. გოგოებს საჩქაროთ აელაგებიათ თავიანთი წიგნები და რვეულები და ბურჟუიკის კარგათ მოშორებით გადმოეწყით. წამხდარი იყვნენ. კაცის სიკვდილი ასე ახლოში პირველათ ნახეს.

მოვიდა საექიმოს ხალხი.

მოვიდა უბნის ინსპექტორი გეძეხიძე შალვა, რატომღაც ნასვამი და ამის დაფარვის მსურველი, ხახვისა და ცხელი კერძების სურნელით შინელზე.

თამარა გიორგვენა ჭირისუფალივით იჯდა ტიხრის წინ, მკითხველთა მაგიდასთან.

მიცვალეზულის სიტყვები ინგლისური იყო. ეს ენაც ოდესღაც იცოდა თამარა გიორგვენამ. ოდესღაც. ის ცხოვრება აღარ არსებობდა. ოღონდ ის სიტყვა, რომელსაც ასე ხშირად წარმოსთვამდა მოულოდნელი მკითხველი, მას აღარ ახსოვდა. ახსოვდა და არც ახსოვდა.

გეძეხიძე შალვა კი გაოგნებული დასცქეროდა მოულოდნელ პასპორტს. გადაეშალა იგი და უყურებდა უცხო ასოებს. სურათი ისეთი იყო, თითქოს დიაკონი მიცვალეზულს ადგას თავს და ლოცვას კითხულობს. ფსალმუნის მაგიერ ეს უცნობი პასპორტი იყო, თავდახრილობა ინსპექტორისა კი ისეთივე, როგორიც დიაკონებს აქვთ ამ დროს.

ის ერთხანს ჩუმად იყო და მერე კი სრულიად უღონოდ სთქვა:

— დასცალეთ შენობა. აქ სად არის ტელეფონის აპარატი?

თამარა გიორგვენამ უღონოდ გაიშვირა თითი ტიხარს იქით.

— დასცალეთ შენობა. გიორგვენა,



მიხედე, — სთქვა გეძეხიძემ — მიხედე ნიგნებს. ხელი არ მოკიდოთ არაფერს.

გოგოები დაძმარებული წამოიშალენ, სხვა სტუდენტები თავიანთ ჩანთებს და რვეულებს მიუბრუნდენ.

ასეთი იყო დილა ყლორთაღის ბიბლიოთეკაში დეკემბრის ერთ დღეს, საზიზღარ 1949 წელს.

თამარა წამოდგა, ტიხარის უჯრიდან რატომღაც მტერის ტილო ამოიღო და სტალინის სპილოსძღლისფერ ბიუსტს გადაუსვა. ახლა უშიშროებიდან მოვიდა. ასე მიხვდა. ინსპექტორი რეკავდა.

— ჩემთან გადავიდეთ, — თქვა ეთერიმ.

პირადი ნივთები

შინსახსქმნი რიხით მოვიდა. კაპიტანი თვალებს აბრიალებდა და თამარა გიორგვენას ძალიან ავი თვალის უყურებდა.

— დასალუქია, — უთხრა თანმხლებებს.

თანმხლები შვიდი იყო. ორი მანქანა ხალხი.

— მე შენ უგრო ხო არ გგონივარ? — გამომწვევად ჰკითხა გეძეხიძეს — უგროში რო რეკავ, უგროს საქმეა ესა? ჭითავა, სადაა უგროს ხალხი? ფოტოგრაფი, ექსპერტი, — ხელში ბრაზიანათ ატრიალებდა ფრანგულ პასპორტს, მისი წაკითხვა არ შეეძლო — მე მამუშავეთ ახლა. მიდი ჰე ბიჭო, დატრიალდით. მკვტარს

ხელი არ მოკიდოთ. სურათია გადასალეზი.

— ჯაშუშია? — შეჰბედა გეძეხიძემ, დილიდანვე გადაკრულის სითამამით. კაპიტანმა ზიზლით გადმოხედა.

— აქტი დანერე?

— არა — აიბნა გეძეხიძე დავერეკე...

— შენ ბიჭო, რაცხა ვერ ხარ გონებაზე... ეს შენ სემიჩკის გამყიდველების შეშინება ხო არ გგონია... მოდი, აქეთ, მოდი, მომიყვები...

ორ საათში ვითარებამ რთული იერი მიიღო.

თამარა გიორგვენამ ქალიშვილთან დავერეკვაც ვერ მოასწრო. ვერ მოახერხა უფრო სწორათ. პალტო ნაჩქარე ჩაიცვა, თავშალი აბურდულად მოიხურა და გაჰყვა ოთხ შინსახკომელს, რომლებმაც მანქანაში ჩაისვეს და წაიყვანეს უშიშროებაში, დომსივაზის უკან.

იმ დროისთვის, როცა თამარა გიორგვენა მიყვდათ, ბიბლიოთეკის დარბაზში უკვე ასი კაცი მაინც იმყოფებოდა.

ვილაცა კაიპალტოიანი კაცი, რომელიც მაგიდასთან გვერდულად იჯდა და წინ დადებულ თავისსავე სქელ ქუდს ყველა სიტყვის წამროტქმაზე აიღებდა და ისევ მაგიდაზე ახეთქებდა, იმ კაპიტანს უყვიროდა, თავიდან რომ მოვიდა:

— ხალხი როგორ გოუშვი? ხალხი როგორ გოუშვი ბჟალავა? ახლა სათითაოთ ვეძებოთ? ეძებე! წეიყვანე ეს ქალი და გამოკითხე. წეიყვანე!

— მე არ გამიშვია, — ბურტყუნებდა კაპიტანი, გამობილი დამხვდა.

— ვინ გოუშვა?

— უჩასტკოვმა.

— უხხხ. თქვენი. უხ თქვენი... რა გვევიგო ახლა მე? რა გვევიგო? უგროს ხალხს გამორთვით ყველაფერი. არ დოუტოვოთ. არც გაატარონ. ჩვენი საქმეა...

— არის, ამხანაგო გენერალო.

— სადაა ის? ჩიკაშუა სადაა?... ჩიკაშუა, მოდი აქ, ვინ არი ეს კაცი? — თვალბის ჩაჭუტვით კითხა გენერალმა, — ვინ არი ეს კაცი?

ჩიკაშუა შინელის საყელოს ინვალებდა.

— დადგინდა ვინაობა, ხო ვიცით...

— სად არი ჩანერილი?... საბინოდან მოათრიეთ ვინმე? სად არი ჩანერილი? ჩოუნერლად ცხოვრობდა თბლისში?

— ვეძებთ კორნელი... ამხანაგო...

— აახ, — ქუდი აიქნია გენერალმა — ჩოუნერელი კაცი! მოათრიეთ საბინაოს უფროსი...

— რაიონის?

— რა რაიონის ბიჭო... საქალაქო...

— აქაა, უკვე გაცემულია დავალება. ეძებენ.

— მოათრიე აქ... ბიჭო, დაგალობ ციხეში — სად ცხოვრობდა ეს კაცი? ვინ ხარ შენ? რა გვარი ხარ? პარტიამ მისთვის დაგაყენა ამხელა თანამდებობაზე, რო რა ითქვა, მდგმური, გოუტარებლად არ იქნას მიღებული. თუ მდგმურია...

ქალაქის საბინაოს უფროს პატარა, უბდური კაცი იყო. სახეზე ალმური ასლიოდა.

— გამოვარკვევთ, ამხ...

— ვინ არი ეს კაცი? ვინ არი, სად ცხოვრობდა? კოტე! კოტე, კოტე მომიყვანეთ... მომკლეს, რა, მომკლეს რომელი საათია... ნახევარი თბლისი ჩასაჯდენები ხართ. დაგალობთ ყველას... იცი ბადაიბო სად არი? ბჟალავა! ბჟალავა! იცი სად არი ბადაიბო? იქ დალუბები თქვე შემარცხვენლებო! კოტე, წევედით სამინისტროში — ვითარება ორი დღის თავზე იყო შემდეგი:

ფრანგული პასპორტი გახლდათ წამდვილი, ოღონდ გაცემული 1921 წელს. ის ეკუთვნოდა ვინმე სიმონ ტილფიდას, თუმცა ამნიონ გვარის კაცის პოვნა შეუძლებელი იყო. საინსტორიო ბიბლიოთეკის მონაშობა გაცემული იყო 1933 წელს ვინმე თევდორე გაჩეჩილაძის სახელზე. ფრანგულ საბუთში იყო უღვაშიანი ახალგაზრდა კაცის ფოტო, ოღონდ, გახლდათ თუ არა ეს კაცი ყლორთარში აღმოჩენილი მიცვალეზული, თავს ვერავინ დასდებდა. ეს უნდა გამოეკვლიათ მცოდ-



ნეებს. ბიბლიოთეკის საბუთში სურათი არ იყო და პასპორტიცა და ისაც კარგახნის ვადაგასულნი გახლდნენ. სხვა რამ დოკუმენტი მიცვალეზულს არ გააჩნდა. მის პორთველში აღმოჩნდა ძველი ფეხსაცმელები და ერთი შეხედვით ნაკლებად საინტერესო ფურცლები, სავსე ამონაწერებით პარტიულ პრესის მონინავე სტატიებიდან. იქვე იყო ფანქრის სათლელი ჯაყვა, სათვალის ბუდე, ოქროს პენსენ, რომელიც, როცა წაიქცა ცხვირიდან ნასძვრა მიცვალეზულს და გვერდზე დავარდა და მეტი არაფერი. ჯიბეებში სრულად არაფერი აღმოჩნდა, შვიდთუ მანახევრის მეტი.

საკვირველი იყო ეს, რომ ტფილისში არ აღმოჩნდა არცერთი ცოცხალი თევდორე გაჩეჩილაძე. ტფილისი მაშინ არ იყო დიდი ქალაქი. სასაფლაო რეესტრებში იპოვნეს სულ ცხრა თევდორე გაჩეჩილაძე, რომელთაგან ერთი მთლად 1892 წელს მოკვდარიყო. ამის მიუხედავად, უშიშროებამ მკაცრად დაჰკითხა ყველა შთამომავალი თევდორე გაჩეჩილაძეებისა, მაგრამ სიმკაცრის მიუხედავად, ვერაფერს ჩაეჭიდა. იოლად დადგინდა რომ გაჩეჩილაძენი იმერელი არიან და ამიტომაც, ქუთაისის უშიშროებას მიეცა დავალება საქაროდ გაეცხრილა მთელი დასავლეთი საქართველოს ოლქის გაჩეჩილაძეობა.

იქ მრავალი აღმოჩნდნენ გაჩეჩილაძენი, ხოლო თევდორენიც, გვარაიანად.

ოცდაშვიდი თევდორე გაჩეჩილაძე, ყველა უბრალო კოლმეურნე გლეხნი, უმეტესად მოხუცნი, დანრჩენი კი მათი შვილიშვილები, რომელთათვისაც ბაბუათა სააპტივცემულოდ დაერქმიათ ეს სახელი აჰყარეს და მიიყვანეს ქუთაისის უშიშროებაში, სადაც საოლქო უშიშროების უფროსმა აღარ იცოდა, როდემდე შეენახა საკნებში თევდორე გაჩეჩილაძეები, სულ ცხრაამეტი ოდენობისა.

უფროსი მიხვდა, რომ საქმე სერიოზულად იყო, ვინაიდან თბილისიდან მოვიდა მკაცრი ბრძანება, არცერთი გაჩეჩილაძე არსად გაეშვა. ეს ნიშანი იყო მოსახლეობისთვის, რომ ყველას აჰყრიდნენ და ყაზახეთში გადაასახლებდნენ, ვინაიდან აქამდეც, მთელ წელიწადს, ახალი წლის დღეებიდანვე დაჭერები იყო და ხალხს ერეკებოდნენ და ერეკებოდნენ შორს. ისიც ყველამ იცოდა, რომ გაზაფხულიდანვე თბილისში ახალგაზრდა სტუდენტებს იჭერდნენ და ზოგიერთ ამათგანს ხვრეტდნენ კიდეც. ასევე ამბობდნენ, რომ უცხოეთიდან ომის მერე დათავლული ლაპარაკებით მობრუნებული ქართველი ემიგრანტები სულ ერთიანად დაეჭირათ და გადაესახლებინათ.

ასე რომ ითქვას, იმერეთში ხმა დავარდა, დაჭერები ახალი ძალით მოივადო, ყველას ანვალებდა ფიქრი, ვინ იყო ის ერთი გაჩეჩილაძე, რომლის გამოც მთელი ეს თევდორე გაჩეჩილაძეები აუყრიათ. ოღონდ კი ამაზე ლაპარაკის გაბედვა შეიძლებოდა მხოლოდ ჩურჩულით და მხოლოდ სახლში.

თევდორე გაჩეჩილაძეთა ჯდომა ქუთაისის შინსახკომში გაგრძელდა თორმეტ დღეს.



### მურმან ლეხანიძის გამოუქვეყნებელი ლექსი

#### ბალადა

უთორ-უაბჯროდ, უდროშოდ,  
უყმოდ და უხმოდ მამაცობს, —  
თელავის ციხის ყუდროში  
ერეკლე ჭადრაკს თამაშობს. . .

ივრის იქეთ და აქეთი  
სამეფო თოვლში ჩაფლულა,  
თოვლში თეთრდება კახეთი,  
თოვს დაღესტნისკენ ზღაპრულად. . .

მეფე ქიშს ეტყვის სოლომონს,  
სოლომან — მარჯვედ დახვდება,  
სიცილით ჰკადრებს: „ბატონო,  
ქიშისგან მეფე არ კვდება!“

ერეკლე ნათქვამს უხვდება,  
ულვაში ჟღალი უხდება:  
„არ კვდება, მაგრამ, ვიცი მე,  
ქიშისგან მეფეც სწუხდება,

ამდენი ვაი-ვიშისგან,  
ლეკის და სპარსის ჯიშისგან,  
შავლონდი, ჩემო მსაჯულო,  
ყოველის მხრიდან ქიშისგან!“

თოვს ამ ოცდახუთ დეკემბერს,  
თონეში შოთებს აკრავენ,  
ძირს თოვლი სისხლით შეღებეს —  
სამზადის კართან ტახს კლავენ.

სოლომონ ჰყვება: „მეფეო,  
რაც ლეკს კისერი სხეპეო,  
რამ შავლონა, — სახელი  
შენი მთელ ვეროვს ვყეფეო. . .

რაც ჯარი შეჰქმენ მორიგე,  
ველარ გვაკადრეს აკლება,  
ლეკი ხომ მივრეკ-მოვრეკეთ,  
სპარსიც გვიბედავს ნაკლებად“. . .

ეს თქვა და ციხის ჭიშკართან  
უცბად ჩოჩქოლი შეიქმნა,  
„შესდექო!“ — მეციხოვნეთა  
გუნდი ერთ მუშტად შეიკრა,

ლეკი ხო ხსენებაზეა!  
ეს ვინ მოვარდა, ვინ არი?  
თელავის ციხის კარზეა  
კაცი ცხენდაცხენ მყვირალი.

ბეჭში ნახმლევი შენიშნეს:  
— ვინ ხარ? — შილდელი გლეხია,

საბუეს, შილდა-ენისელს  
ლეკს გლეხი ნაუღეკია. . .

მეფე ჯაჭვს იცვამს საჩქაროდ,  
სოლომონს — ტყავევეშ აცვია,  
შენც თავს დაგირქმევს, ჩაჩქანო,  
ვერ თქვან, რომ ნიგნის კაცია. . .

ოციოდ მხედრით გზას მოჭრის,  
ცხენს მეფე გრემში გამოცვლის,  
დაბადებიდან სამოცის  
მორიგე ლაშქარს წამოშლის:  
— შილდისკენ! ენისელისკენ! —  
გააფთრებული გამოსცრის. . .

. . . .  
ივრის იქეთ და აქეთი  
სამეფო თოვლში ჩაფლულა,  
თოვლში თეთრდება კახეთი,  
თოვს დაღესტნისკენ ზღაპრულად.

ჩვენ - თვლით ფარი და ჩაჩქანი!  
მტერი - ყოვლის მხრით მრავალი!  
ღმერთო, დალოცე ლაშქარი  
ერაკლეს დროშით მავალი!

კურთხეულ იყავ, შიშველო  
ხმალო, შენ უნდა მიშველო,  
უბრალო, რიგით სპასავით,  
მეფევე, ხმალდახმალ მიმსვლელო!

ბრძანად მოუბარნი ენანი,  
თითზე კბენანი რალა დროს?!.  
წყეულიმც იყოს, — შევძახებ, —  
შენს სულს, შენს ხმალს და შენს სახელს  
ვინც საყვედური აკადროს!

1997

#### დიღუბა

სახით გამოგეკიდე!  
ტანი არ მიშვებს,  
ბრტყელია მინა, აქედან, ალბათ,  
თოვლიანი ქედით ვჩანვარ,  
ყველა თეთრი ლაქა მტკივა,  
მაგრამ ეს არ ისმის,  
სახის გამომეტყველებას კი ვრეცხავ,  
თუ გამიჭირდა ნაოჭების აკრეფა,  
ბაზარში ვყიდულობ,  
რძის კრიალა პირით გელაპარაკები  
მარტივი სიხარული უფრო მოგიხდება,  
ვიდრე სამართებლისხმიანი დეკლამატორი  
დავიღალეთ სირთულით -  
მაიოლის მრგვალმა ფორმებმა  
ბორბლებით გადაგაიარა,  
ყველა ძვალზე მარილი მტკივა  
თოვლის ხმა გესმის?  
შუშის თითებით დაკრული ჰაინდი?  
მთელი სამყაროს ნევროზმა  
მოიცალა ჩვენთვის?  
რამდენ ხანს გაგყვება ეს მუსიკა,  
ხელი რომ მომკიდა გულზე  
და შენთან მომიყვანა?  
შაკიკი მქონდა,  
თვალეში შუბლზე ამდიოდა  
და იქ მებუჭებოდა...  
სანამ კედელივით შემოგეფცქვენები,  
სანამ მიხვალ ძალიან ღრმა მიწამდე,  
ვერ ვიტყვი, რომ ბებიების  
თეთრი მატყლით დაფენილამდე,  
ეს სხვა მინაა,  
ზურგში დანებით გამართლებული,  
მარტო ხომ არ გაგიშვებ,  
სახით გამოგეკიდები...

#### გორჯოშის მონატრება

ჩემო ტყეებო!  
ჰორიზონტს რომ ალურჯებთ  
და აადვილებთ,  
შუამდგომლობას მიწვეთ მთებთან,  
რომ გვერდით დამიყენონ -  
აკვარელით დახატული ქალაქელი  
და ზეთის ფერებით გამაძლარი  
გამიშვან უკან  
ასე მგონია, ყველა ფოთლით  
ფიქრობთ ჩემზე, როცა ღვიძლი

სიყვითლეს მაფენს სახეზე  
სულ შემოდგომაში ვიცხოვრებდი,  
თქვენ რომ არა...  
მართმევენ თქვენს თავს,  
ვალეში მიქვითავენ,  
რადგან სხვა არაფერი მაქვს ღირებული  
ქალაქმაც, ნელ-ნელა, დამიწყო წაშლა  
ოსტატურად შესრულებულ ბატალიებში  
ვის რად უნდა  
ჩემი კამერული პორტრეტი?

#### მუსიკა

ლექსო თორაძეს  
როიალი რომ გადმოგდონ ფანჯრიდან,  
ქრომატული გამების ეკლებით იკვილებს,  
თუ მელიდიის ვარდით?  
ჩემო ვარდისფერო მეზობელო  
ბენუარის ლოჟიდან!  
ცოტა ხანს მოიწყვიტე  
საკუთარ ხორცზე მიშტერებული თვალი  
და შეხედე მუსიკას!  
მოსმენა მცენარესაც შეუძლია  
შეხედე, როგორი მგრძნობიარეა  
როიალი, ახილი თავიდან  
ტვინი მოუჩანს, მოოქროვილი -  
ნაცრისფერი ნივთიერების  
საკონცერტო შესრულება...  
შავი, განიერი ზურგი, ზედ ნერვები  
თავიდან გადაუნერგეს, კბილებიდან,  
სულ შორს რომ წავიდეთ,  
სადაფის პარიკებიდან?  
თუ, ვახშმად, სისხლიანი ძეხვი შეჭამა,  
ნიორი დააყოლა და ისეთ მუსიკას  
გიხრახნის ყურში, იმდენ ნემსებს  
ხავერდის ლოჟაში, ველარ დაეყრდნობი,  
ჩამოგატეხავს მოაჯირის ყოველგვარი  
შესაძლებლობას  
მხოლოდ, სწორი ხაზები,  
ტკივილთან წილნაყარობის გამო!  
რა ნერვები გადაიწყო ზურგზე,  
ვინ წაიყვანს მუსიკას რენტგენზე?  
სარგადაცლაპული ვეგეტარიანელი  
თუ მჟავე მელიომანი?  
არც არავინ, როცა თვითონ შეუძლია  
ფეხაკრეფით კი არა,  
მძაფრად შევიდეს სახლში, სივრცესავით,  
თითქოს, კარები ჩამოიღო ანჯამებიდან



### ლია სტურუა

\*\*\*  
ბავშვებს ლოყები უვარდებათ  
ვამლის ხეებიდან  
ვინ არის დედა?  
მე? ქარი?  
რომელმაც დააფრთხო ჩემი სიმართლები  
და სხვადასხვა მხარეს გადაყარა  
— 40 ათას ძმაზე მეტადო  
ესეც სიმართლეა?  
ან რა კუთხით მომიყენებენ  
ლოყებიან რენესანსს?  
ბრტყელთავა კომპლექსებმა  
რომ აჯობონ?  
მდინარიდან ამოსულებმა,  
ნერვიულებმა,  
აბრეშუმზე ფრჩხილის გასმასავით...  
ქარს ხეები უყვარს  
და საკუთარი თავი,  
ვერცხლის ილიებში  
უსინდიყო თერმომეტრები,  
სიგრილეს აჩვენებენ  
40 გრადუს სიცხეზე,  
40 ათასზე გამრავლებულ სიყვარულს,  
ბოიფრენდების ალტერნატივას  
აბრეშუმის ლოგინში...  
ბავშვების ლოყები მიაქვს ქარს  
აჩქარებული მადონები?  
გაიდეალებული კლასიკა?  
რაფაელი - სქესის, რემბო - სიფილისის,  
მოცარტი საერთო საფლავის გარეშე  
რა, ტალახი მოუხდებოდა?

კითხვას სმენა სჭირდება. ნუ წაიკითხავ ნიგნს, თუ არ გესმის იმ ხის შრიალი, რომელიც ერთ დროს ეს ნიგნი იყო.

ხის შრიალშია მთავარი ტექსტი, იქ არის ჭეშმარიტება, სამყაროს წონასწორობის ცენტრი.

თავს დააკვირდი: შეგიძლია თუ არა სამყაროს წაიკითხვა, როცა იღვიძებ, როცა ჭამ, როცა ფიქრობ, როცა სცოდავ, როცა დადიხარ, როცა გშია, როცა გტკივა, როცა იძინებ?

შენთვის თუ სამყარო არსებობს, მაშინ არსებობს ნიგნიც, რადგან სამყარო არის ნიგნი.

ძალიან სერიოზულად ნუ მიიღებ, ყველაფერი უბრალო და მარტივია, ყველა ადამიანი თვითონ ქმნის თავის სამყაროს ანუ თავისი ცხოვრების ნიგნს; თვითონ კინძავს, თვითონ მოსავს ხბოს ტყავით, ოქრონაჭედობით ან კოლენკორით, გააჩნია, ვის როგორ მოუხერხდება.

როდის იწყება კითხვა? კითხვა იწყება მაშინ, როცა ჩნდება კითხვა:

საიდან არის ქარი — იმ ხიდან, რომელიც შრიალებს, თუ ნიგნიდან, რომელიც ხე იყო?

კითხვა იწყება მაშინ, როცა ჩნდება კითხვა:

„ვუყვარვარ თუ არ ვუყვარვარ?“ კითხვა იწყება მაშინ, როცა ყურში ჩაგესმის ინტიმური უარი ნოლი მე ლეგერე! — „არ წამიკითხო!“

ნიგნის კითხვა ინტიმური საქმეა, ეს არის არაცნობიერი გატაცება, პლატონური სექსი. აქ საკულტო თავყვანისცემის ობიექტია ასო — ლიტერა, რომელიც ისტორიულ ტრადიციებში ინტელექტუალური განყოფილების სიმბოლოდ არის წარმოდგენილი.

„არ წამიკითხო!“ — მანონის მარადქალური უარის შემდეგ დე გრიე საღვთისმეტყველო ნიგნებში პოეზებს შევბას; ამავე გზას ადგანან მადამ რენალისაგან ხელქმნილი ჟიულიენ სორელი და ტატიანა ლარინას სიმტიციური გატეხილი ევგენი ონეგინი, ვირჟინის სიმორით დამწეხრებული პოლი და ფეოდორას გულცივობით დათრგუნული რაფაელ დე ვალენტინი („შაგერის ტყავი“), ჟიულიენსაგან უიმედოდ შთენილი სენ-პრე( ჟან-ჟაკ რუსოს „ახალი ელოზა“) და დედოფალ ბალკისისგან გაპამულებული ბალთაზარი (ანატოლ ფრანსის „ბალთაზარი“), მშვენიერი შუქურის სიყვარულით ანთებული ბესიკი (ვასილ ბარნოვის „ბედის ვარსკვლავი“) და ლილეას ტრფობით გულდათუთული რობერტ დე ლა გრივი (უმბერტო ეკოს „კუნძული ნინადლით“).

რატომ გარბიან უარყოფილი მამაკაცები ბიბლიოთეკებში?

რა კავშირშია ერთმანეთთან ლიბიდო და ნიგნი?

ნიგნი არის ლიბიდოს სუბლიმაციის ცენტრი, ქალური და მამაკაცური სანყისების ერთიანობის ადგილი.

კითხვა ქალური სანყისია, წერა მამაკაცური. ნიგნი ორივეს აერთიანებს, უფრო სწორად, ორივე ერთია, „წერა“ ნიშნავს „კითხვას“ და პირიქით, „კითხვა“ ნიშნავს „წერას“.

შუა საუკუნეების ევროპაში ნიგნებს ბოქლომს ადებდნენ, რათა დაეცვათ ინტელექტის მორალი და შემეცნების პატიოსნება. ისე, როგორც ერთ იტალიურ ფილმში, რომლის გმირი, მახვილგონიერი სინიორ ფანტოცი კლიტეს ადებს თავის ცოლს და დამშვიდებული მიდის შორეულ მოგზაურობაში.

„მაჩვენე თუნდა ქალი, ეშხით აღმატებული, მისი მშვენიერა მხოლოდ ნიგნად გამოადგება, სადაც მე იმას წავიკითხავ“, — ამბობს რომეო პირველი მოქმედების პირველ სურათში.

პაოლო და ფრანჩესკა, „ღვთაებრივი კომედიის“ გმირები, ერთმანეთს „მრგვალი მაგიდის“ რომანების კითხვისას შეიყვარებენ; სიყვარულს დანატრებული ემა ბოვარი ნანობს, რატომ არ შეხვდა ისეთი ქმარი, მედვარი, შრომისმოყვარე, რომელიც მთელ ღამეებს ნიგნის კითხვაში გაატარებდა; არტურ მილერის პერსონაჟი კლემენტი მოთხრობას კეროლ მანდტის შიშველ დუნდულზე წერს („შიშველი სიმართლე“); ჯიმ ჰარისონის პერსონაჟს ნიგნის კითხვის დროს სექსფილმი აქვს ჩართული („დამივინყდა ესპანეთში წასვლა“) და საერთოდაც, ყველაფერი ისეა

ივანე ამირხანაშვილი

NOLI ME LEGERE

არეული, როგორც ალონსო კიხანოს ტვინი სარაინდო რომანების კითხვისას.

Homo legens, „ადამიანი მკითხველი“, — არაფერია უფრო ბუნდოვანი და ამორფული. წარმოადგენს, ზიხარ მეტროში ან ავტობუსში და თავი ნიგნში გაქვს ჩარგული. შორიდან დააკვირდი შენს თავს და დაინახავ, როგორი ეჭვით გითვალთვლებენ, როგორ გაგვირბიან, როგორ ეზიზღებით შენ და შენი ნიგნი. მათთვის არც კაცი ხარ, არც ქალი, ალბათ არც ადამის შვილი ხარ, ნაწილაკი ხარ, საზოგადოების ჭანჭიკი, რომელსაც სახელს არ არქმევენ, არ ცნობენ, არ აღიარებენ, არ „ამჩნევენ“. ის კი არა, ცოლს გახედე, როგორი ეჭვით გითვალთვლებს ნიგნთან განმარტოებულს, ისეთ მზერას გესრვის, უმალ მოღალატეს აღმოაჩენ საკუთარ თავში. ლალატს ვერც ნიგნი იტანს, მუდამ ფიზიკურად, გაკვირდება, გამოწმებს, ერთგულებას გაავალდებულებს, როგორც ცოლი. ამავე დროს, ძალღივით ერთგულია, თუმცა ძალღივისგან განსხვავებით ყველა იცის, როცა მისთვის არ გცალბა, ვერ შემოგყვავს, კუდს ვერ აგიქიცინებს.

ცხოვრება და ნიგნი სადაც ერთდებოდა, მაგრამ შეერთების ადგილის ძებნა ისეთივე დიმილს იწვევს, როგორსაც იულიუს კეისარის ჩვევა, კითხვის დროს რომ ლაპარაკობდა.

„კითხვა სულიერი ცხოვრების კარიბჭესთან დგას, შეუძლია მიგნით შეგიყვანოს, მაგრამ თვითონ არ ქმნის ცხოვრებას“ (მარსელ პრუსტი). თუმცა ცხოვრების არსებობას საბოლოოდ მაინც ტექსტი აფიქსირებს, ნიგნი ინახავს ცხოვრების სსოქსებს.

„სამყარო არსებობს იმისათვის, რომ საბოლოოდ ნიგნში შოვოს თავისი დასასრული“ (სტეფან მალარმე).

ყველაფერი ნიგნში ხდება, ნიგნში იწყება და ნიგნშივე მთავრდება. ამასწინათ, დიდი მიტინგების დროს, როცა სახელმწიფო გადატრიალების სუნი დატრიალდა, ერთმა ცნობილმა გამომცემელმა ტელევიზიით განაცხადა, ახლა ნიგნის დრო არ არის, ნიგნზე ნუ ვილაპარაკებთო. ვითომ ხალხი დაამშვიდა. ხალხი მაშინ დამშვიდდებოდა, რომ ეთქვა, ნუ გეშინიათ, მეგობრებო, ყველა გადატრიალება ნიგნიდან იწყება და ნიგნშივე მთავრდება.

სიტყვა იმაზე მეტს ნიშნავს, ვიდრე ჩვენ გვგონია ან გვესმის. ამიტომ არავინ იცის, როდის რას აღმოუჩენენ შენ მიერ ნათქვამ სიტყვას, რომელიც ასი მიერ შემდეგაც ისევე იქნება შენი, როგორც ხე, ბავშვობაში რომ დაგიგრგავს უფროსების დახმარებით.

„ნიგნი სულის სარკეაო“ — მაგრამ ვისი? — შენი? ავტორის? პერსონაჟის? დროის?... ისიც კი არ ვიცი, ლირს თუ არა ამ შეკითხვების დასმა. მგონი, ისიც საკითხავია, არის თუ არა საერთოდ ნიგნი სულის სარკე?

ნიგნი ცოცხალი მატერიაა, შუამავალია ადამიანსა და იმ რალაცას შორის, რომელიც ისევე ნიგნმა უნდა აღმოგვაჩინოს დიდი და ხანგრძლივი კითხვის შემდეგ. მაგრამ რა უნდა ნაიკითხო, რამდენი და როგორ?

წასაკითხი ნიგნების სხვადასხვა ნუსხები ჩამოწერილი აქვთ ჰერმან ჰესეს, ადრე მორუას, ჰემინგუეის, მაგრამ ბოლომდე ალბათ არავის უსარგებლია მათი რეკომენდაციებით. კითხვა სტიქიური პროცესია, წინასწარ ვერავინ დაგიდგენს, გინდა თუ არა, ამას და ამ რიგით ნაიკითხავო.

თუ მართლა მკითხველი ხარ, იმის მოლოდინიც გექნება, რომ ვიღაც მოვა და გეტყვის: „მითხარი, რას კითხულობ და გეტყვი ვინ ხარ შენ“.

მნიშვნელოვანია, თუ რას კითხულობ, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ კითხულობ, როგორ აღიქვამ, როგორ გეუბლობ.

იუჯინ ჰანტი, თომას ვულფის რო-

მანიდან „დროისა და მდინარის შესახებ“, გვერდს 25 წამში კითხულობს. ასე გადაირბენს ათ წელიწადში ოცი ათას ნიგნს, მაგრამ რად გინდა, რაც მეტს კითხულობს, მით ნაკლებს გეუბლობს.

ჟან-პოლ სარტრის „გულისრევის“ პერსონაჟი, სოციალისტი ჭკუისკოლოფა ცოდნას ალფაბეტის მიხედვით ენაფება, ავტორებს ანბანის მიხედვით კითხულობს და შვიდ წელიწადში „ლ“-მდე ადის.

სჯობია იკითხო ცოტა და სერიოზული, მაგრამ თუ კითხვის ნევროზი დაგემართა, ველარაფერი გიშველის, ნიგნები ჭიანჭველებივით დაგესევინა და დაგინყებენ ბოჟირს, როგორც თავთავები ვაჟას მინდიას.

„წამდვილი მკითხველი ერთდროულად სამ, ოთხ და თუნდ ხუთ ნიგნსაც უნდა კითხულობდეს“ (მიგელ დე უნამუნო).

კითხვით ნაყოფიანება ისევე საშიშია, როგორც ხორცი უნესო, მოუქარვებელი სიმძალრე. ეპისტემოლოგიური ქოლესტერინი აზიანებს ტვინის სისხლძარღვებს და საეჭვოდ ამუშუქებს ჭკუა-გონებას.

საჭირო არ არის ყველა ნიგნის წაკითხვა, ისევე, როგორც საჭირო არ არის ომში ყველა ჯარისკაცის მოკლა, — ამტკიცებს გენერალი შტუმი რობერტ მუზილის რომანიდან „უთვისებო კაცი“.

ნუ დაგწყდება გული, რომ ყველა ნიგნს ვერ განვიღ, ვერ წაიკითხე, ვერ შეიცანი. ყველა ნიგნი იცის იმან, ვინც არ კითხულობს.

მკითხველი ორგვარი არსებობს: 1. რომელსაც ჰგონია, რომ კარგად კითხულობს და 2. ვისაც ჰგონია, რომ ცუდად კითხულობს. პირველი კატეგორიის მკითხველები პოეტები ხდებიან, მეორე კატეგორიის — კრიტიკოსები.

კითხვა წერის გარეშე უნაყოფოა, მაგრამ ისიც იცოდე, რაც მეტს დაწერ, მით მეტ შეცდომას დაუშვებ და ველარ გამოასწორებ, არც არავინ გაპატიებს, არც არავინ მოგიტყუებს, სანამ არ წარსდგები უზენაესის წინაშე და არ აღიარებ, რომ ბიბლიომანურ გარყვნილებაში ჩავარდი და ჰქმენ თავისა შენისაგან ნიგნი.

ნიგნების კითხვით არაფერი გემატება — არც ჭკუა, არც გონება, არც გამოცდილება, არც ინტუიცია, არც რწმენა, არც ძალა. უბრალოდ, გაკლდება ინტელექტუალური სიცარიელის განცდა. შენი არსების შიგა სივრცეში, სადაც ქვეცნობიერში ივსება „ტაბულა რაზა“, სწეულდები ლიტერას სინდრომით, სტრიქონების გარეშე სიცოცხლე ვეღარ წარმოგიადგენია, უგ ზოუკვლოდ დაფარფატებ გუტენბერგის გალაქტიკაში, ამ გიგანტურ სიცარიელეში და აღარაფერი გაოცებს, აღარაფერი გაკვირვებს ვარსკვლავიანი ცისა და შემანუხებელი ზნეობრივი კანონის გარდა. დააკვირდი შენს თავს ნიგნით ხელში — რა დიდებული ხარ და რა საცოდავი, როგორც სანიტარი კეთროვანების სოფელში.

რა ნაიკითხო? — რაც გაგიხარდება. როგორ ნაიკითხო? — როგორც გინდა, ასო-ასო, გადაკითხვით, დიაგონალზე, შიგადაშიგ... სხვას ნუ დაუჯერებ, ენდე საკუთარ თავს, საკუთარ გემოვნებას, საკუთარ სურვილებს. კითხვა ის ხელოვნებაა, რომელსაც ყველა თავისით სწავლობს. ზედმეტია დაძალება, რჩევა, რეკომენდაცია. ეს ნიჭია, ან დაგყვება ან არა, ვერვინ შეგცვლის, ვერავინ გადაგაკეთებს, ვერც შენ გადაიკეთებ თავს.

თავსა ახლად ვერავინ იშობს, რაცა ხარ, ისა ხარ — დიდი, პატარა ან არაფერი. ნიგნებს აქვთ ნაიკითხვის დრო და ადგილი, იცი, როდის, წელიწადის რომელ დროსა და სად უნდა ნაიკითხო, მაგრამ არსებობს ნიგნები, რომლებიც არ იცი, როდის და სად ნაიკითხო, ამიტომ არ კითხულობ. მაგალითად, „ვეფხისტყაოსანი“. საქართველოში „ვეფხისტყაოსანს“ ხელიხელ აგოგმანებენ, იზუპირებენ, იმონებენ, მაგრამ არ კითხ-

ულობენ, რადგან არ იციან, როდის ნაიკითხო.

„ყველამ იცის, რომ დღეს ორი ლიტერატურა არსებობს: ცუდი, რომლის წაკითხვა შეუძლებელია, მაგრამ ბევრი კითხულობს და კარგი, რომელსაც არ კითხულობენ“ (ჟან პოლანი).

არსებობენ ადამიანები, რომლებიც ცუდაც და კარგაც ერთნაირი გატაცებით კითხულობენ, უფრო სწორად, ერთნაირი სიამოვნებით აყოლებენ თვალს სტრიქონებს, რომლებშიც რა ბუჭუტავს მათთვის, კაცმა არ იცის. არ არსებობს ნიგნი, ყველასგან ერთნაირად იკითხებოდეს. ერთი და იგივე ნიგნი ზოგს შეიძლება ნაიკითხული ჰქონდეს, ზოგს — ნაიკითხული, ფურცელგადაწაკეცი.

მაინც რატომ გარბიან უარყოფილი და შეურაცხყოფილი ნიგნებში? თვითონ ხომ კარგად იციან, რომ იქ არ არის ის, რაც დაკარგეს ან დააკარგვინეს.

„ნიგნის სამყარო — თავშესაფარია. მისი სივრცე ყველას დამტევი, ყველას მიმღები სივრცეა, სადაც შეგიფარებენ, დაგამშვიდებენ ან აგაფორიებენ, მაგრამ საიდანაც არასოდეს გამოგიშვებენ გულწაქლეულს, შერცხვენილსა და დამდაბლებულს, საკუთარ თავში ცუდად დაეჭვებულს“ (მანანა კვაჭანტირაძე).

ისეთი გულწაქლეული, შერცხვენილი, დამდაბლებული და საკუთარ თავში ცუდად დაეჭვებული, დღეს რომ ვართ, არასოდეს ვყოფილვართ, მაგრამ ნიგნში არ გვიძებნია თავშესაფარი ან რომც გვეძებნა, ვინ მოგვცემდა საშველს.

პერმანენტული ტელერეგულაციების შემყურე გულწილი მკითხველებიდან მასურებლებად გადაიქცევი.

ჩამოყალიბდა ახალი ტიპი ქართველისა — Homo videns, „ადამიანი — მაყურებელი“, რომელიც ხედავს, მაგრამ ვერ აღიქვამს, ესმის, მაგრამ ვერ აანალიზებს. მხედველობამ შეცვალა წარმოსახვა, რომელიც აზროვნების წინაპირობა უნდა ყოფილიყო საუკეთესო შემთხვევაში.

ნიგნს ჩაენაცვლა ჯერ ტელევიზორი — რიტუალური ყუთი საოჯახო ავეჯიდან, შემდეგ კი კომპიუტერი — ინფორმაციის საბედისწერო კვერცხი.

ჯერ კიდევ როდის წერდა რობერტ მუზილი, მალე კალმით წერა აღარ დაგვჭირდება, ელექტრონული მწერლობა მოვაო.

მოვიდა კიდევც. და შექმნა კომპიუტერმა სახედ და ხატად თვისა ახალი სახეობა ადამიანისა — Homo programmis, რომლისთვისაც აღარ არსებობს ისეთი პრიმიტიული საგანი, როგორიცაა ნიგნი.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს არ ნიშნავს ჩანაცვლებას. კომპიუტერი ვერ შეცვლის ნიგნს ერთი უბრალო მიზეზის გამო — ისინი სხვადასხვა სიბრტყეებია, კომპიუტერი ცივილიზაციაა, ნიგნი — კულტურა. შესაძლოა ელექტრონული „მიზეზი“ არც იყოს ისეთი ფატალური, როგორიც გვგონია.

კითხვა ინტიმური პროცესია. დაიკარგა საზოგადოდ ინტიმი და დაიკარგა ნიგნის კითხვის კულტურაც.

დაბრუნდება ის ინტიმი, იმ დროს დაბრუნდება, როცა ადამიანები გაიხსენებენ ცხოვრების ანბანს და ისწავლიან სამყაროს ნაიკითხვას. გაჩნდება ბევრი შეკითხვა, დაგროვდება ბევრი მარცხი, მოვა კიდევ მეტი შერცხვენი და დამცირება. მოვა ბუნებრიობა. ხელი თავისით შეეხება თაროზე შემოდებული ნიგნს და ყურს მისწვდება ჩურჩულით ნათქვამი: Noli me legere! — „არ წამიკითხო!“. ასე დაინყება.



მხარის ანაზა

„ნუ მადლევ კითხვებს, უპასუხოდ დავტოვებ ყველა...“  
— დასაწყისითვის, შევთანხმდეთ, რომ დღეს კითხვებს დავისვამ და არც ერთს დავტოვებ უპასუხოდ...  
— გასაგებია.


„ო, თქვენ მე არ მიცნობთ, რა გარენარი ვარ და როგორ მიხდება...“  
— მიუხედავად იმისა, რომ წლებია, გიცნობ, შენი ლექსების კითხვისას, მგონია, რომ ჩემთვის უცხო ადამიანის შემოქმედებას ვეცნობი. როგორ წარუდგენდი საკუთარ თავს იმ ადამიანებს, რომლებიც მხოლოდ ლექსებით გიცნობენ, მაგრამ ძალიან აინტერესებთ, როგორია გაგა ნახუცრიშვილი ამ ლექსებს მიღმა? შენი სიტყვებითვე მოგმართავ: „გთხოვთ, ჯერ გამეცანითო,

მე თქვენ ვერ გიცნობთ...“  
— ხანდახან, როცა ჩემს ლექსს ვკითხულობ, არათუ — მკითხველს, შეიძლება მეც მეუცხოოს საკუთარი თავი. ლექსი ხომ არ არის რეალობის ასლი? აქ არის ფანტაზია, შენს მიერ გამოგონილი სამყაროც, განწყობაც... მთავარია, ყველაფერი ეს ყალბი არ იყოს. ლექსის წერილობითი იმჟამინდელი სულიერი თუ რეალური განწყობაც შეიძლება აისახოს და, ბუნებრივია, ამას ვერასდროს აუქცევ გვერდს. ხელოვნურ ჩარჩოს ვერ გამოივარება და იქ ვერ ჩაიკეტები. ეს ისედაც არ ვარგა და მე თუ მკითხავთ, ამას არც უნდა აკეთებდეს მწერალი. ჩემს ლექსებს მიღმა ვარ ისეთი, როგორსაც ლექსებში მხედავ. როგორცაა მიცნობ...  
„რა ბრძანებაა, ნუ მიყვირით, გამიგეთ სწორად.“  
მე არასოდეს არ ვიცვლიდი ნიღბებს და როლებს...“  
— შენს მიერ შექმნილ სამყაროში ყოველთვის ადვილია იბატონო — საკუთარი თავი ისე წარმოაჩინო, როგორც გინდა და ხანდახან ის საიდუმლოც გაამხილო, რომელსაც ყოველდღიური ყოფაში არასდროს გამოქვეყნებ. რას შეადარებდი პროცესს, რომელსაც ლექსის წერა ჰქვია და საკუთარ წარმოსახვაში ვინ ხარ შენ, ვინც ამ ყველაფერს ქმნი?

— წერა ჩემი ცხოვრებაა. როცა ვწერ, ძალიან კარგად ვგრძნობ თავს და ყველაზე ბედნიერიც მაშინ ვარ. ჩემი აზრით, თუ ადამიანი წერის გარეშე კარგადაა, აჯობებს, არც დაწეროს, რადგან, თუ დამიჯერებ, და მე მგონი დამეჯერება, იმიტომ, რომ ბავშვობიდან ამ საქმეს ვაკეთებ, მწერლის ხელობა უმადური საქმეა. მთავარი მაინც წერის პროცესისადმი შენი შინაგანი დამოკიდებულებაა — მოგონს? გსიამოვნებს? კარგად ხარ? ამ შემთხვევაში, მგონი, ეს ნაწარმოებსაც ეტყობა და გამოდის ისეთი, როგორც მკითხველსაც ნაკლებად ანვალეს. ხოლო მას, ვინც ქმნის, არ ვიქნები ორიგინალური, თუ შემოქმედს ვუნოდებ და ასეთი შემოქმედები სხვადასხვა სფეროში არიან — მხატვრები, მწერლები, კომპოზიტორები...  
„ის კითხულობდა სიმბოლისტებს, ხან მოდერნისტებს, ხან ნიჰილისტებს ემხრობოდა, ხან ოპტიმისტებს...“  
— როცა თავადაც წერ, განსაკუთრებულ ყურადღებას სხვათა თხულებებსა თუ ლექსებსაც აქცევ. ვინ იყვნენ ის მწერლები, ვისმა შემოქმედებამაც განსაკუთრებული გავლენა მოახდინა შენზე?  
— ერთს ან ორს ვერ დავისახელებ. ბევრნი იყვნენ, ვისი შემოქმედებაც მომწონებია და ვისაც ჩემზე გავლენა მოუხდენია. ყოველთვის ვცდილობდი, მათგან მესწავლა, მაგრამ არ მიმებადა. თუ ბაძავ, ისე იგი, ჯერ ჩამოყალიბებული ხარ და აგობებს, არ წერო. გავლენას არ უნდა გაექცე. ნებისმიერი დიდი ავტორისგან რაღაცას სწავლობ. სწავლობ არა მხოლოდ ლიტერატურით, არამედ მუსიკით, მხატვრობით... გავლენას ახდენს ყველაფერი, რაც დადებითი ენერგიით ავა-

გაგა ნახუცრიშვილი:

„ერთი ამოსუნთქვით ძალიან დიდი სისულელის დანერაც შეიძლება...“



ამოუცნობია, რაზე და რატომ წერენ პოეტები. ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი მარტივია — ენერგია და წერენ. მეორეს მხრივ, კი წლების შემდეგ კრიტიკოსები მუდმივად ერთსა და იმავეზე იმტვრევენ თავს, როდესაც საქმე ამა თუ იმ პოეტის შემოქმედებას ეხება — რისი თქმა სურდა მას, რას გვეუბნებოდა, რას განიცდიდა, რას გრძნობდა... ყველაზე უკეთ ამ კითხვებზე, რა თქმა უნდა, თავად პოეტმა იცის პასუხი. თუმცა, მკითხველს არც აინტერესებს ეს კითხვა-პასუხი და იმ განცდებში, ემოციებშია თუ გრძნობაშია მორევში დაცურავს, რომელსაც პოეტის ამოუცნობი სამყარო სთავაზობს.

გაგა ნახუცრიშვილის ლექსებს ქართველი მკითხველი კარგად იცნობს. „საბას“ ლაურეატსაც თავისი სამყარო აქვს, რომელსაც იმ ფერებით ხატავს, რომლის აღქმისთვისაც ყველაზე კარგი მეგზური თავადაა. მის სტრიქონებში რაღაც იმალება და ამ რაღაცის პოვნის იმედით სწორედ მასთან გადავწყვიტე სტუმრობა. მისი ლექსებით იქნებ იმაზე უკეთ გავიცნოთ „ნახცო“, ვიდრე აქამდე ვიცნობდით...  
„ვერაინი შემშლის, მოჰყვირი რამე, ისე გავერთოთ, გავტეხოთ ღამე.“  
— პროზაიკოსები, ისინი არც მაღავენი ამას, თავიანთ მოთხრობებში ხშირად იყენებენ საკუთარ თუ სხვათა თავგადასავლებს, ყოველდღიურ ცხოვრებაში ექებენ პერსონაჟებს... რა ასაზრდოებს პოეტს?

— ამ შემთხვევაში, პოეტი პროზაიკოსს ემსგავსება. საზრდოობ იმ სამყაროთი, რომელშიც ცხოვრობს და ყველაფრით, რაც შენს ირგვლივ ხდება. თუმცა, ყველა მოაზროვნე ადამიანს კიდევ თავისი მიკროსამყარო აქვს. სწორედ ამით განსხვავდებით და ვგავართ ადამიანები ერთმანეთს, ამიტომ არის საინტერესო ურთიერთობა მდიდარი მიკროსამყაროს მქონე პიროვნებასთან და ამიტომაც ვიჭერთ შორს თავს არაფრისმთქმელი ისტორიის მქონე ხალხისგან.

„და მინდა მოგიყვით თქვენ ჩემი ცხოვრება...“  
— მოდი, წარსულში დავბრუნდეთ. რა მიზნები და მისწრაფებები ჰქონდა მოზარდ გაგას და რითი განსხვავდებოდა ის დღევანდელი თინეიჯერისგან, რომელიც პოეტობაზე ფიქრობს?  
— რა ვიცი, ფიქრობენ კი თინეიჯერები პოეტობაზე? იმედილია, ფიქრობენ. თუ მოინდომეს, მათ ყველაფერი აქვთ, მაგრამ არ დაგვაინწყდეს, რომ კომპიუტერი, უპირველესად, ინფორმირების წყაროა და არა — განათლების. განათლებული ადამიანი უკეთ მოიხმარს კომპიუტერს, რადგან იცის, რა უნდა. მშურს-მეთქი, ვერ ვიტყვი, რადგან ძალიან მიყვარს ჩემი ბავშვობა და ხშირად მინდა იქ დაბრუნება, მაგრამ გაცვილებით მეტი საშუალება აქვთ, რომ ჩვენზე მეტად განვითარდნენ. ესეც ნიგნით უნდა დაიწყოს. ნიგნმა უნდა მიგიყვანოს კომპიუტერთან. პირველი განმასხვავებელი ნიშანი გითხარა? თინეიჯერი რომ ვიყავი, სიტყვა „თინეიჯერი“ რა იყო, არ ვიცოდი.

„ლორდო! მოდი, გავათენოთ ღამე. შეშლილივით მოვარდება ლექსი...“  
— ყველას აინტერესებს ლექსის წერის პროცესი. როგორია შენი მწერლური სამზარეულო. შეიძლება, მართლაც „შეშლილივით მოვარდეს ლექსი“?  
— ხდება ხოლმე. თან ჩვენს ქვეყანაში, სადაც ყველაფერი შეშლილია, ლექსიც რომ შეშლილივით მოვარდეს, რა გასაკვირია?! მთავარი შრომაა. ბევრმა არასწორად გაიგო მილომ ფორმანის ფილმი „ამადელუსი“. ჰგონიათ, რომ მოცარტი ჯდება და პირდაპირ უკრავს. არადა, ეს გენიოსი, ფაქტობრივად, ბავშვობიდან კატორღულად შრომობდა. აქედან გამომდინარე, თავადაც მიხვდები, რამდენი უნდა იშრომოს ჩვეულებრივი ნიჭის პატრონმა, სასურველ შედეგს რომ მიაღწიოს. ჯერ უნდა ისწავლოს, როგორ იწერება ლექსი თუ მოთხრობა, რათა სათქმელი ზუსტად გადავიდეს ფურცელზე, რადგან ერთია ის, რაც შეიძლება თავში მოგივიდეს, მეორენაირად აღიქვამ და მესამენაირად გადაგაქვს ფურცელზე. ამ დროს კი შეიძლება, ფურცელზე გადატანილი არ ვარგოდეს. ამიტომაც, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, ყველაფერს მუშაობა უნდა. ზოგი ლექსი ისე იოლად მოდის, რომ შეიძლება, ჩასწორებაც არ დასჭირდეს. ზოგჯერ კი დიდხანს ებრძვი სიტყვას და სიტყვაც გეგრძობს არა იმიტომ, რომ სათქმელი არ გაქვს, არამედ ძნელად გემორჩილება და მუშაობას გთხოვს. თუმცა, ასეთი ლექსი არაფრით ჩამოუვარდება ერთი ამოსუნთქვით დაწერილს. ამასაც ოსტატობა უნდა, თორემ ერთი ამოსუნთქვით ძალიან დიდი სისულელის დანერაც შეიძლება.

„რასაც დაარქვით პოეზია, უფროა პროზა...“  
— რა ხნისა იყავი, როცა აღმოაჩინე, რომ მთელი შენი ცხოვრება პოეზიისთვის უნდა დაგეთმო? და გქონდა თუ არა მცდელობა, ძალები პროზაშიც მოგესინჯა?  
— ბავშვობიდან ვწერდი და ეს პროცესი მსიამოვნებდა, ალბათ, იმიტომ, რომ ძალიან ვერთობოდი. 6-7 წლის ვიყავი, ზღაპარი რომ დავწერე. მთავარი გმირი საომრად წავიდა, თუმცა არც ცოლს დაუკარგავს უქმად დრო და შინ დაბრუნებულ ქმარს ბავშვები დაახვედრა. ჩემი ზღაპრის მთავარმა გმირმა ძალიან გაიხარა და მიუღწეა მადლობა გადაუხადა... აი, ასეთი ზღაპარი იყო. პირველი ლექსიც ამ ასაკში დავწერე. დღეს რომ ვკითხულობ, ბევრს ვიცინი ხოლმე... რაც შეეხება იმას, მომისინჯავს თუ არა ძალები პროზაში, აღვნიშნავ, რომ არ არსებობს პოეტი პროზაული ნაწარმოები არ დაეწეროს და პირიქით — პროზაიკოსი, ერთი ლექსი რომ ამ შექმნას. მაგალითად, ფოლკნერს მწერლობა პოეზიით დაუწყია და არ გამოიმივიდა, მაგრამ დღემდე პოეზია მიყვარს, — ამბობს. ძალიან მიკვირს, როგორ არ გამოუვიდა. ძალიან მკაცრად შეუფასებია საკუთარი თავი.

გელოდები...“  
— გქონია შემთხვევა, რომ წერის პროცესით დაღლილხარ და ისიც კი გიფიქრია, რომ პოეზიისთვის ზურგი გექცია?  
— ზურგის შექცევაზე — არა, მაგრამ დასვენებაზე კი მიფიქრია. ეს ბუნებრივიცაა. ხანდახან უნდა გაჩერდე და შთაბეჭდილებებით აივსო. შეიძლება, ამ პერიოდში არ იფიქრო და უსაქმურობამ — მეგობრებთან ურთიერთობამ, მუსიკის მოსმენამ, კითხვამ, ფილმების ყურებამ — ისე დაგმუხტოს და იმდენად დიდი ენერგიით აგავსოს, რომ ამ ყველაფერმა ისევე და ისევე ფურცელთან მიგიყვანოს. დიდი სიხარული მაშინ გეწვევა, როცა ფურცელი კვლავ გეძახის და ისევე წერ. აი, ეს ყველაზე კარგი გრძნობაა.

„კაფეს კართან ჩამომჯდარი პოეტი უყურებდა ფანჯრის მიშველ რაფას, ერთობოდა თავის სიმარტოვეთი... გაზაფხულდა, გაქრა მოკლე კაბა!“  
— შენს ლექსებს ლაიტმოტივად გასდევს სიმარტოვის თემა. ეს შენი სულის რეალური მდგმარობაა თუ მხოლოდ შემოქმედებისთვის აუცილებელი ატრიბუტი?  
— კი, ეს სიმარტოვე რეალურია. საერთოდ, მოაზროვნე ადამიანი ხშირად არის მარტო. რაც უფრო მეტს ფიქრობ, ეს სიმარტოვეც მეტად გიმძაფრდება. თუმცა, სიმარტოვე ყოველთვის ტრაგიკული კი არ არის?! ხანდახან საჭიროცაა. ადამიანი ცხოველისგან იმით განსხვავდება, რომ ფიქრის, ჩაღრმავებისა და აზროვნების საშუალება ეძლევა. მარტობიდან ადამიანებთან ურთიერთობას მოწყურებული და კეთილგანწყობილი გამოდისარ...  
„მე ვიყავი ახალგაზრდა მეოცნებე, ღამდამობით მოველოდი ბაიროს...“  
— ცხოვრებაში თუ ხარ რომანტიკოსი? და თუ საიდუმლო არ არის, რამდენი ქალისთვის მიგიძღვია ლექსი?  
— ასე პირდაპირ გამიჭირდება ვთქვა, რომ ვარ ან არ ვარ რომანტიკოსი. ალბათ, არის ჩემში რაღაც რომანტიული. იმ ქალების რაოდენობა კი, ვისთვისაც ლექსი მიმიძღვინია, ნამდვილად არ დამითვლია...  
„რატომღაც გინდა, რომ შეცვალო დღეების ფერი, რატომღაც გინდა დაივიწყო სულ ყველაფერი.“  
— პოეტები იმ ადამიანებს მაგონებენ, რომლებიც მუდმივად ცდილობენ გაექცნენ რეალობას. მოახსენებ, საკუთარი ლექსებით იმ სამყაროს შექმნა, რომელიც ყოველდღიურობას გავიწყებს? და საერთოდ, შესაძლებელია, ილუზიური ნავსაყუდელის პოვნა?  
— გაქცევისთვის არასდროს მიწერია. გულწრფელად გეტყვი, საერთოდ, არ მიყვარს გაქცევა. ნავსაყუდელის პოვნა მარტობასთანაა ახლო. ხშირად იქმნი ილუზიების სამყაროს, თუმცა ამ ყველაფერს ერთი საშიშროება სდევს თან — ყოველთვის უნდა გახსოვდეს, რომ ეს შენი ილუზიებია და არა — რეალობა.

„სამწუხაროა გაქცევა მუზის...“  
— მხატვრები მუზას მშვენიერ ქალმერთად გამოსახავდნენ. მკითხველიც ფიქრობს, რომ მუზა რაღაც ზებუნებრივი ძალის მფარველი ანგელოზია, რომელიც პოეტს იმ სიტყვებს შთააგონებს, რომლითაც შემდეგ პოეტური სიმღონია უღერდება. პოეტისთვის ვინ ან რა არის მუზა?  
— მუზას მე წერის განწყობას დავარქმევდი, წერის განწყობას კი ერთი რამ არ განაპირობებს ხოლმე. ამიტომაც ჩემთვის მუზის განმარტება ძალიან ცვალებადია. მუზას ერთ გამოსახულ კერპად ვერ ვხედავ. საერთოდ, არ მიყვარს კერპები... მუზის გაკერპებაა გვაკლია!

„გამგზავრება დაისახა მიზნად, უცებ თავის ნაბიჯს გაემიჯნა, მიაკითხა მატარებლის სადგურს, წასვლა უნდა, რადგან წასვლა არ სურს...“  
— შენს ცხოვრებაში იყო პერიოდები, როცა შენს ქალაქს, მეგობრებსა და ქვეყ-

„ლორდო! მოდი, გავათენოთ ღამე. შეშლილივით მოვარდება ლექსი...“  
— ყველას აინტერესებს ლექსის წერის პროცესი. როგორია შენი მწერლური სამზარეულო. შეიძლება, მართლაც „შეშლილივით მოვარდეს ლექსი“?  
— ხდება ხოლმე. თან ჩვენს ქვეყანაში, სადაც ყველაფერი შეშლილია, ლექსიც რომ შეშლილივით მოვარდეს, რა გასაკვირია?! მთავარი შრომაა. ბევრმა არასწორად გაიგო მილომ ფორმანის ფილმი „ამადელუსი“. ჰგონიათ, რომ მოცარტი ჯდება და პირდაპირ უკრავს. არადა, ეს გენიოსი, ფაქტობრივად, ბავშვობიდან კატორღულად შრომობდა. აქედან გამომდინარე, თავადაც მიხვდები, რამდენი უნდა იშრომოს ჩვეულებრივი ნიჭის პატრონმა, სასურველ შედეგს რომ მიაღწიოს. ჯერ უნდა ისწავლოს, როგორ იწერება ლექსი თუ მოთხრობა, რათა სათქმელი ზუსტად გადავიდეს ფურცელზე, რადგან ერთია ის, რაც შეიძლება თავში მოგივიდეს, მეორენაირად აღიქვამ და მესამენაირად გადაგაქვს ფურცელზე. ამ დროს კი შეიძლება, ფურცელზე გადატანილი არ ვარგოდეს. ამიტომაც, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, ყველაფერს მუშაობა უნდა. ზოგი ლექსი ისე იოლად მოდის, რომ შეიძლება, ჩასწორებაც არ დასჭირდეს. ზოგჯერ კი დიდხანს ებრძვი სიტყვას და სიტყვაც გეგრძობს არა იმიტომ, რომ სათქმელი არ გაქვს, არამედ ძნელად გემორჩილება და მუშაობას გთხოვს. თუმცა, ასეთი ლექსი არაფრით ჩამოუვარდება ერთი ამოსუნთქვით დაწერილს. ამასაც ოსტატობა უნდა, თორემ ერთი ამოსუნთქვით ძალიან დიდი სისულელის დანერაც შეიძლება.

„ლორდო! მოდი, გავათენოთ ღამე. შეშლილივით მოვარდება ლექსი...“  
— ყველას აინტერესებს ლექსის წერის პროცესი. როგორია შენი მწერლური სამზარეულო. შეიძლება, მართლაც „შეშლილივით მოვარდეს ლექსი“?  
— ხდება ხოლმე. თან ჩვენს ქვეყანაში, სადაც ყველაფერი შეშლილია, ლექსიც რომ შეშლილივით მოვარდეს, რა გასაკვირია?! მთავარი შრომაა. ბევრმა არასწორად გაიგო მილომ ფორმანის ფილმი „ამადელუსი“. ჰგონიათ, რომ მოცარტი ჯდება და პირდაპირ უკრავს. არადა, ეს გენიოსი, ფაქტობრივად, ბავშვობიდან კატორღულად შრომობდა. აქედან გამომდინარე, თავადაც მიხვდები, რამდენი უნდა იშრომოს ჩვეულებრივი ნიჭის პატრონმა, სასურველ შედეგს რომ მიაღწიოს. ჯერ უნდა ისწავლოს, როგორ იწერება ლექსი თუ მოთხრობა, რათა სათქმელი ზუსტად გადავიდეს ფურცელზე, რადგან ერთია ის, რაც შეიძლება თავში მოგივიდეს, მეორენაირად აღიქვამ და მესამენაირად გადაგაქვს ფურცელზე. ამ დროს კი შეიძლება, ფურცელზე გადატანილი არ ვარგოდეს. ამიტომაც, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, ყველაფერს მუშაობა უნდა. ზოგი ლექსი ისე იოლად მოდის, რომ შეიძლება, ჩასწორებაც არ დასჭირდეს. ზოგჯერ კი დიდხანს ებრძვი სიტყვას და სიტყვაც გეგრძობს არა იმიტომ, რომ სათქმელი არ გაქვს, არამედ ძნელად გემორჩილება და მუშაობას გთხოვს. თუმცა, ასეთი ლექსი არაფრით ჩამოუვარდება ერთი ამოსუნთქვით დაწერილს. ამასაც ოსტატობა უნდა, თორემ ერთი ამოსუნთქვით ძალიან დიდი სისულელის დანერაც შეიძლება.

„ლორდო! მოდი, გავათენოთ ღამე. შეშლილივით მოვარდება ლექსი...“  
— ყველას აინტერესებს ლექსის წერის პროცესი. როგორია შენი მწერლური სამზარეულო. შეიძლება, მართლაც „შეშლილივით მოვარდეს ლექსი“?  
— ხდება ხოლმე. თან ჩვენს ქვეყანაში, სადაც ყველაფერი შეშლილია, ლექსიც რომ შეშლილივით მოვარდეს, რა გასაკვირია?! მთავარი შრომაა. ბევრმა არასწორად გაიგო მილომ ფორმანის ფილმი „ამადელუსი“. ჰგონიათ, რომ მოცარტი ჯდება და პირდაპირ უკრავს. არადა, ეს გენიოსი, ფაქტობრივად, ბავშვობიდან კატორღულად შრომობდა. აქედან გამომდინარე, თავადაც მიხვდები, რამდენი უნდა იშრომოს ჩვეულებრივი ნიჭის პატრონმა, სასურველ შედეგს რომ მიაღწიოს. ჯერ უნდა ისწავლოს, როგორ იწერება ლექსი თუ მოთხრობა, რათა სათქმელი ზუსტად გადავიდეს ფურცელზე, რადგან ერთია ის, რაც შეიძლება თავში მოგივიდეს, მეორენაირად აღიქვამ და მესამენაირად გადაგაქვს ფურცელზე. ამ დროს კი შეიძლება, ფურცელზე გადატანილი არ ვარგოდეს. ამიტომაც, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, ყველაფერს მუშაობა უნდა. ზოგი ლექსი ისე იოლად მოდის, რომ შეიძლება, ჩასწორებაც არ დასჭირდეს. ზოგჯერ კი დიდხანს ებრძვი სიტყვას და სიტყვაც გეგრძობს არა იმიტომ, რომ სათქმელი არ გაქვს, არამედ ძნელად გემორჩილება და მუშაობას გთხოვს. თუმცა, ასეთი ლექსი არაფრით ჩამოუვარდება ერთი ამოსუნთქვით დაწერილს. ამასაც ოსტატობა უნდა, თორემ ერთი ამოსუნთქვით ძალიან დიდი სისულელის დანერაც შეიძლება.

„ლორდო! მოდი, გავათენოთ ღამე. შეშლილივით მოვარდება ლექსი...“  
— ყველას აინტერესებს ლექსის წერის პროცესი. როგორია შენი მწერლური სამზარეულო. შეიძლება, მართლაც „შეშლილივით მოვარდეს ლექსი“?  
— ხდება ხოლმე. თან ჩვენს ქვეყანაში, სადაც ყველაფერი შეშლილია, ლექსიც რომ შეშლილივით მოვარდეს, რა გასაკვირია?! მთავარი შრომაა. ბევრმა არასწორად გაიგო მილომ ფორმანის ფილმი „ამადელუსი“. ჰგონიათ, რომ მოცარტი ჯდება და პირდაპირ უკრავს. არადა, ეს გენიოსი, ფაქტობრივად, ბავშვობიდან კატორღულად შრომობდა. აქედან გამომდინარე, თავადაც მიხვდები, რამდენი უნდა იშრომოს ჩვეულებრივი ნიჭის პატრონმა, სასურველ შედეგს რომ მიაღწიოს. ჯერ უნდა ისწავლოს, როგორ იწერება ლექსი თუ მოთხრობა, რათა სათქმელი ზუსტად გადავიდეს ფურცელზე, რადგან ერთია ის, რაც შეიძლება თავში მოგივიდეს, მეორენაირად აღიქვამ და მესამენაირად გადაგაქვს ფურცელზე. ამ დროს კი შეიძლება, ფურცელზე გადატანილი არ ვარგოდეს. ამიტომაც, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, ყველაფერს მუშაობა უნდა. ზოგი ლექსი ისე იოლად მოდის, რომ შეიძლება, ჩასწორებაც არ დასჭირდეს. ზოგჯერ კი დიდხანს ებრძვი სიტყვას და სიტყვაც გეგრძობს არა იმიტომ, რომ სათქმელი არ გაქვს, არამედ ძნელად გემორჩილება და მუშაობას გთხოვს. თუმცა, ასეთი ლექსი არაფრით ჩამოუვარდება ერთი ამოსუნთქვით დაწერილს. ამასაც ოსტატობა უნდა, თორემ ერთი ამოსუნთქვით ძალიან დიდი სისულელის დანერაც შეიძლება.

„ლორდო! მოდი, გავათენოთ ღამე. შეშლილივით მოვარდება ლექსი...“  
— ყველას აინტერესებს ლექსის წერის პროცესი. როგორია შენი მწერლური სამზარეულო. შეიძლება, მართლაც „შეშლილივით მოვარდეს ლექსი“?  
— ხდება ხოლმე. თან ჩვენს ქვეყანაში, სადაც ყველაფერი შეშლილია, ლექსიც რომ შეშლილივით მოვარდეს, რა გასაკვირია?! მთავარი შრომაა. ბევრმა არასწორად გაიგო მილომ ფორმანის ფილმი „ამადელუსი“. ჰგონიათ, რომ მოცარტი ჯდება და პირდაპირ უკრავს. არადა, ეს გენიოსი, ფაქტობრივად, ბავშვობიდან კატორღულად შრომობდა. აქედან გამომდინარე, თავადაც მიხვდები, რამდენი უნდა იშრომოს ჩვეულებრივი ნიჭის პატრონმა, სასურველ შედეგს რომ მიაღწიოს. ჯერ უნდა ისწავლოს, როგორ იწერება ლექსი თუ მოთხრობა, რათა სათქმელი ზუსტად გადავიდეს ფურცელზე, რადგან ერთია ის, რაც შეიძლება თავში მოგივიდეს, მეორენაირად აღიქვამ და მესამენაირად გადაგაქვს ფურცელზე. ამ დროს კი შეიძლება, ფურცელზე გადატანილი არ ვარგოდეს. ამიტომაც, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, ყველაფერს მუშაობა უნდა. ზოგი ლექსი ისე იოლად მოდის, რომ შეიძლება, ჩასწორებაც არ დასჭირდეს. ზოგჯერ კი დიდხანს ებრძვი სიტყვას და სიტყვაც გეგრძობს არა იმიტომ, რომ სათქმელი არ გაქვს, არამედ ძნელად გემორჩილება და მუშაობას გთხოვს. თუმცა, ასეთი ლექსი არაფრით ჩამოუვარდება ერთი ამოსუნთქვით დაწერილს. ამასაც ოსტატობა უნდა, თორემ ერთი ამოსუნთქვით ძალიან დიდი სისულელის დანერაც შეიძლება.

„ლორდო! მოდი, გავათენოთ ღამე. შეშლილივით მოვარდება ლექსი...“  
— ყველას აინტერესებს ლექსის წერის პროცესი. როგორია შენი მწერლური სამზარეულო. შეიძლება, მართლაც „შეშლილივით მოვარდეს ლექსი“?  
— ხდება ხოლმე. თან ჩვენს ქვეყანაში, სადაც ყველაფერი შეშლილია, ლექსიც რომ შეშლილივით მოვარდეს, რა გასაკვირია?! მთავარი შრომაა. ბევრმა არასწორად გაიგო მილომ ფორმანის ფილმი „ამადელუსი“. ჰგონიათ, რომ მოცარტი ჯდება და პირდაპირ უკრავს. არადა, ეს გენიოსი, ფაქტობრივად, ბავშვობიდან კატორღულად შრომობდა. აქედან გამომდინარე, თავადაც მიხვდები, რამდენი უნდა იშრომოს ჩვეულებრივი ნიჭის პატრონმა, სასურველ შედეგს რომ მიაღწიოს. ჯერ უნდა ისწავლოს, როგორ იწერება ლექსი თუ მოთხრობა, რათა სათქმელი ზუსტად გადავიდეს ფურცელზე, რადგან ერთია ის, რაც შეიძლება თავში მოგივიდეს, მეორენაირად აღიქვამ და მესამენაირად გადაგაქვს ფურცელზე. ამ დროს კი შეიძლება, ფურცელზე გადატანილი არ ვარგოდეს. ამიტომაც, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, ყველაფერს მუშაობა უნდა. ზოგი ლექსი ისე იოლად მოდის, რომ შეიძლება, ჩასწორებაც არ დასჭირდეს. ზოგჯერ კი დიდხანს ებრძვი სიტყვას და სიტყვაც გეგრძობს არა იმიტომ, რომ სათქმელი არ გაქვს, არამედ ძნელად გემორჩილება და მუშაობას გთხოვს. თუმცა, ასეთი ლექსი არაფრით ჩამოუვარდება ერთი ამოსუნთქვით დაწერილს. ამასაც ოსტატობა უნდა, თორემ ერთი ამოსუნთქვით ძალიან დიდი სისულელის დანერაც შეიძლება.

ანას დროებით ემიგრებული. რას სძენს პოეტს მოგზაურობა და თუ აისახებოდა ახლობლებთან, ქვეყანასთან განშორება-შეხვედრის ემოცია შენს შემოქმედებაში?

— თუ საშუალება მაქვს, არაფერი მინდა მოგზაურობის მეტი. ეს არის შთაბეჭდილებების დაგროვების, სიახლეების აღმოჩენის, საინტერესო ადამიანების გაცნობის, გარემოს გამოცვლისა და, ამასთანავე, საკუთარ თავთან დარჩენის არაჩვეულებრივი საშუალება. მოგზაურობა ძალიან მშველს. სადაც კი ვყოფილვარ, ყველა ადგილმა თავისი ინტიმი და განწყობა მომიტანა. ამასთანავე, ნოსტალგიურიც ვარ. უკვე ნამყოფი ქვეყანაში ვიბნევი, გაორებული დავდივარ იმიტომ, რომ ერთდროულად მინდა ახალი ადგილების აღმოჩენაც და იმ ძველის ნახვაც, რომელიც მონატრებული მაქვს და რომლისკენაც ძველებურად მიმინევს გული. მოგზაურობისას არასდროს ვიღებ ფოტოებს და იცი, რატომ? სურათს არ მინდა მივეჯაჭვო. მირჩევნია „ჩემი ადგილები“ წარმოსახვაში მქონდეს. როცა წასული ვარ, იქაურობაზე არასდროს ვწერ. ასე რომ ვიქცეოდე, ჩემი ლექსიც იქ გადაღებულ ფოტოსურათს დაემსგავსებოდა.

„იცი, რაღაცის გარდასახვას მე მაინც ვცდილობ, რაღაც ფერადის, სხვანაირის მინდა დანახვა...“

— კრიტიკოსებზე რა აზრის ხარ? ეთანხმები ხოლმე მათ, როდესაც, მაგალითად, რომელიმე შენს ლექსზე აზრს გამოთქვამენ და საერთოდ, რამდენად მნიშვნელოვანია პოეტისთვის მათი მოსაზრება? ახერხებენ, დაინახონ ის, რასაც პოეტი მკითხველისთვის ხილულად აქცევს?

— რაც მეტი პროფესიონალი კრიტიკოსი იქნება, მით უკეთესი. მათი არსებობა შემომქმედს ეხმარება. როგორც არ უნდა ვეთანხმებოდე, ყოველთვის ვცდილობ, ჩემზე დაწერილ ყველაზე უსაფუძვლო კრიტიკულ წერილშიც კი სიმართლის მარცვალს აღმოვაჩინო. მინდა, გულწრფელი გულიანტკვილით აღვნიშნო, რომ, სამწუხაროდ, ჩვენთან კრიტიკა ან შეურაცხყოფით ან სადღეგრძელოთი გამოიხატება და იშვიათად თუ ნააწყდება შემოქმედების გარჩევას. სასაცილოა, როცა წერენ — ავტორი ასე ფიქრობს, ამას ვგანსავლს... ეს სკოლის თემის დონეა და კარგი პედაგოგიც კი უკარდასვს მოსწავლეებს ლექსის ასეთ გარჩევას. არადა, არიან ადამიანები, რომელთაც ესეც კრიტიკა ჰგონიათ. პოეტისთვის კრიტიკოსი, პირველ რიგში, მკითხველია, ხოლო თუ იუმორს მოვიშველიებ — არშემდგარი პოეტიც.

„ის იყო ხშირად დარბაზებით და ტაშით მთვრალი...“

— მკითხველსა და პოეტს შორის გაბმული უხილავი ძაფი ნელ-ნელა წერილდება. იყო დრო, როცა ლიტერატურული შეხვედრები ხშირად იმართებოდა. დღესდღეობით მწერალი მკითხველს საკუთარი წიგნის პრეზენტაციაზე თუ შეხვედრაზე შენთვის რას ნიშნავდა ის შეხვედრები და განსაკუთრებულად რომელს გამოარჩევდი?

— სამწუხაროა, რომ მკითხველსა და მწერალს შორის შეხვედრები ასე გაიშვიათადა. სივრცეც აღარ დარჩა... აი, მაგალითად, „თეატრალური სარდაფის“ ხუთშაბათობები მშვენიერი იყო. შესაძლოა, ბევრი იქ გასაპრანჭადაც მიდიოდა, მაგრამ ეს მარტო ჩვენს ქვეყანაში კი არა, ყველგან ხდება, რადგან მსგავსი ელფერი ყოველთვის დაჰკრავს ასეთ სალონურ ტიპის შეხვედრებს. იქ ნადვილად დადიოდნენ მოსწავლეები, სტუდენტები, უკვე ზრდასრული ხალხიც, ვისაც ნამდვილად აინტერესებდა პოეტებთან თუ პროზაიკოსებთან ურთიერთობა. ყოველგვარი პოზის გარეშე ვიტყვი, რომ უდიდეს სიტბოს ვგრძობდი და ამაღლებული განწყობით გამოვიდი ამ შეხვედრებიდან, რაც მერე კარგა ხნის მანძილზე მიმყვებოდა. ეს საჭიროა მწერლისთვის, მით უმეტეს, რომ რაც დრო გადის, სამწუხაროდ, ყველაზე მეტად სწორედ ამ სიტბოს ნაკლებობას განვიცდი. ბევრი იყო ასეთი შეხვედრა —

მოსწავლეთა სასახლეში, კაფე „პარნასში“, წიგნის სახლში... სამწუხაროა, რომ დღეს ყველაფერი ეს, რაც დადებითი ენერგიით ავსებდა ყველა შემომქმედს, აღარ გვაქვს. „დამიჯერეთ, ის მოგონება სხვის აუტანლად მღლის, მოდით, მიმღერეთ!“

— ეს ლექსი მკითხველების გარდა ესტრადის მოყვარულებმაც კარგად იცინა. სიმღერა, რომლის ავტორადაც გიგა მიქაბერიძე მოგვევლინა, მალევე გახდა პოპულარული. შენ რა გრძნობა დაგაფლავა, შენი ლექსი რომ აამღერეს?

— გიგასთვისაც არ დამიმაღლავს, რომ ზოგადად ლექსების პირდაპირი დამღერების წინააღმდეგი ვარ. ლექსს თავისი მელოდია და მუსიკალურობა აქვს. მადლობელი ვარ გიგასი, რომ იმღერა... იცი, რა მენამუშა? ამ ლექსს ჩემში სულ სხვა მელოდიურობა ჰქონდა. ასეთივე მუსიკას კი სხვა ვერ დანერს, იმიტომ, რომ მაშინ ლექსად დარჩება და არა — სიმღერად. სწორად გამიგეთ, მე კონკრეტულად ამ ერთი ლექსის კი არა, ზოგადად, ფორმის წინააღმდეგი ვარ. ამიტომაც ვფიქრობ, რომ სიმღერის ტექსტი სხვაა და ლექსი — სხვა.

„მინდა ეს ლექსი დაღუპვას დაუწერო და მერე მოკვდე...“

— არაერთ შენს დაღუპულ მეგობარს ლექსები მიუძღვენი. ალბათ, ასე გამოხატვი ტკივილი, რომელიც შენში ამ ადამიანების არყოფნით იყო გამოწვეული. არ გიძნეოდებოდა მათზე ფიქრით სტრიქონების დაწერა?

— რა თქმა უნდა, მიძნელებდა, თუმცა ამ დროს ეს დიდი ტკივილისგან ერთგვარი განმუხტვაა. ყველამ კარგად ვიცით, რომ ახლობელი ადამიანის დაკარგვით გამოწვეული ტკივილისგან მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ გათავისუფლდები, მაგრამ იმ მომენტში, როცა ლექსს წერ, თითქოს შევბას გრძნობ — თითქოს რაღაც უთხარი და მათ ეს გაიგეს. მართალია, ისინი ფიზიკურად არ არიან შენს გვერდით, მაგრამ ყველა ამქვეყნიდან წასული შენთვის ძვირფასი ადამიანი შენთან ერთად განაგრძობს ყოველდღიურ ცხოვრებას. როცა რამეს აკეთებ, ფიქრობ, ისინი რას გეტყვოდნენ და მოიწონებდნენ თუ არა შენს გადაწყვეტილებას. ხშირად, იქიდან იმხელა ძალას გამატებენ, რამხელა ძალის მოცემაც ცოცხალ ადამიანებსაც კი არ ძალუძთ.

„არსებობს წამება, წამების სიჩქარით შენს ხსოვნას ვაჩუქე ერთ-ერთი წამი, ტკივილით, უაზროდ რაღაცა გითხარი“

„უმეო, თოვლიან, ყინვიან ღამით.“

— „არა, მეგობარო“, რომელიც გიოიოსელიანის ხსოვნას მიუძღვენი, მკითხველისთვის ერთ-ერთ საყვარელ ლექსად იქცა. ძალიან ხშირად სწორედ ამ ლექსის ნაკითხვას გთხოვენ ხოლმე და გარძნობდებოდა გისმენენ. შენ რა გრძნობა გეუფლებია, როცა იმ ლექსს კითხულობ, რომელიც ყოველ ჯერზე შენთვის ძვირფას მეგობარს გაგონებს?

— ამა თუ იმ შეხვედრაზე, როცა მკითხველი რომელიმე ლექსის ნაკითხვას გთხოვს, ძნელია, უარი უთხრა. ეს ლექსი იმით არის ჩემთვის ძვირფასი, რომ ჩემი ბავშვობის მეგობარზეა, რომელიც დღეს ჩემს გვერდით აღარაა. ამიტომაც ყოველთვის მიძიმს ამ ლექსის ნაკითხვა. საერთოდ, მერჩვენა ყველა ის ლექსი, რომელიც ჩემი გარდაცვლილი მეგობრების ხსოვნას ეძღვნება, არც დაწერილიყო და ეს ადამიანები ჩემს გვერდით ყოფილიყვნენ...

„ბევრი ვიდავეთ, სისადავე გაქრა დავაში და გვეგონა ომი — თამაში, რწმენა — გართობა, ეს იყო ჩემი ახალგაზრდობა.“

— შენი ახალგაზრდობა აბობოქრებულ ზღვას ჰგავდა — კომუნისტური ეპოქის დასასრული, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა, 9 აპრილის ტრაგედია,

სამოქალაქო ომი, აფხაზეთის დაკარგვა, სამაჩაბლო... და მაინც, რა მოგონებები დაგიტოვა შენმა ახალგაზრდობამ და როგორ გამოვლინდა ეს შენს შემოქმედებაში?

— ბუნებრივია, ყველაფერმა ამან ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე და ეს კარგად ჩანს ჩემს შემოქმედებაშიც. ჩემმა ახალგაზრდობამ ძალიან ძვირფასი მოგონებები დამიტოვა. ხშირად მინატრია 80-იანი წლებისკენ მიბრუნება — როცა მთელი ცხოვრება წინ იყო, როცა ყველა ჩემთვის ძვირფასი ადამიანი ცოცხალი იყო, როცა თავისუფლებაზე ვოცნებობდით და ახლოს იყო ეს თავისუფლება... აი, ამ პერიოდზე ხშირად მიოცნებია.

„დრო გავა და ისევ შენთან მოვალ, როცა აღარ დამჭირდება ომი, არც ლექსების უამრავი ტომი, მომენტურე, სხვანაირი დროა.“

— ეს არის სტროფი ლექსიდან, რომელიც კიდევ ერთ შენს მეგობარს, ხულიანას ეძღვნება, თუმცა აქ ორმაგი მონატრებაა — მეგობრისა და იმ კუთხის, სადაც შენი ბავშვობის, ახალგაზრდობის ბედნიერ თუ ტრაგიკულ წუთებს ჩაუვლია. გაგრა, ბიჭვინთა, სოსხუმი, რინა... შეიძლება აფხაზეთის პოეტურად დაბრუნება?

— რა თქმა უნდა, პოეტურადაც უნდა დაბრუნდეს. ეს ხომ ჩვენთვის მარტო ტერიტორია არ იყო. აფხაზეთი არის ჩვენი ბავშვობა, სუფთა გრძნობები, სიყვარული... ჩვენთვის მართლა პოეზია იყო, მაგრამ არა იმ ბანალური და სანტიმენტალური გაგებით, როგორც, სამწუხაროდ, პოეზია ესმით ხოლმე საქართველოში. ამ კუთხის დაკარგვით თითქოს ბავშვობა და ცხოვრების დიდი ნაწილი ჩამომაჭრეს. ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის, თავს უფლებას მივცემ, მათი სახელითაც ვილაპარაკო, აფხაზეთი მხოლოდ მინა არ არის...

„სად მიდის ჩემთვის ძვირფასი ხალხი, სად არის ძველი, თბილი ქალაქი...“

— ბევრს ლაპარაკობენ, რომ თბილისი იმ თბილისის აღარ ჰგავს, უნინ რომ უყვარდები... შენთვის თუ შეიცვალა შენი ქალაქი და ის ადამიანები, რომლებიც ამ ქალაქში ახლა ცხოვრობენ?

— რა თქმა უნდა, შეიცვალა და ეს ბუნებრივია. თბილისში ძალიან უყვართ პარიზი და ამიტომ ამ ქალაქის მაგალითზე ვიტყვი, რომ 80-იანი წლების პარიზიც განსხვავდება დღევანდელი ან, გნებავთ, მოდელიანის პარიზისგან. თბილისიც უნდა შეცვლილიყო, რადგან ის, რაც არ იცვლება, იღუპება. ცვლილებების არ უნდა შეგვეშინდეს, მაგრამ სული და სახე არ უნდა დავკარგოთ. სამწუხაროდ, ადამიანებში მეტ აგრესიას ვხედავ. თითქოს ჩაიკეტეთ საკუთარ თავში. მეტ სიუცხოვეს ვგრძნობ. აი, ამას უნდა ვებრძოლოთ და არა — ქალაქის ცვლილებას. ასე, ყველას თავისი ახალგაზრდობის თბილისი უყვარს და ენატრება...

„დაუნერული წიგნის ტირაჟი, ლექსების ტომი...“

— ერთ-ერთმა კრებულმა ლიტერატურული პრემია „საბა“ მოგიტანა. შენს წიგნებს შორის ეს კრებული შენთვისაც გამორჩეული და საყვარელია?

— პრემია რომ არ მიმელო, რა შეიცვლებოდა ჩემს ცხოვრებაში? ალბათ, არაფერი. ამ პრემიის გარეშეც იგივე ადამიანი და პოეტი ვიქნებოდი. პრემია მთავარი არ არის, უბრალოდ, სასიამოვნოა, როცა გიფასდება ის, რასაც მთელი გულით აკეთებ და გიყვარს. ჩემთვის გამორჩეული ჩემი პირველი კრებულია „უაზრო მგზავრი“, რომელიც ძალიან მძიმე დროს, 1996 წელს, გამოვიდა. აი, ეს წიგნი იყო ჩემთვის გამონათება, რადგან იმის გარდა, რომ ჩემი პირველი კრებული იყო, ლევან თითქმერას ახალდაარსებული გამომცემლობის — „საარი“ — პირველი



კრებულიც აღმოჩნდა. ამიტომაც, ორივეს გამორჩეული და განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს ამ კრებულისადმი. თითქოს ჩვენთვის იმ დროში პატარა კუნძული აღმოცენდა.

„უცნაურია, ცხოვრებას რომ ისე ამთავრებ, სულ ყველაფერის ხელახალი დანება გინდა.“

— პოეტი რომ არა, ვინ იქნებოდი და რა გზას აირჩევდი?

— არ ვიცი. შეიძლება, ზოოლოგი გამოვსულიყავი, რადგან ცხოველთა სამყარო ბავშვობიდანვე მიყვარდა და მაინტერესებდა. რა ცხოველი აღარ მყავდა სახლში — ზღვის გოჭით დანყებულ გველით დამთავრებული. არქეოლოგიაც ძალიან მაინტერესებდა და ამიტომაც ჩავაბარე ამ განხრით ისტორიის ფაკულტეტზე უნივერსიტეტში. მაგრამ ისეთ პერიოდში მოგიწინა უმაღლესის დამთავრება, 1992 – 1993 წლებში, რომ ექსპედიციების მოწყობა გამორიცხული იყო და ამიტომ ამ სპეციალობის ადამიანების უმრავლესობა ბუნებრივად ჩამოშორდა არქეოლოგიას. მიუხედავად დიდი სიყვარულისა, ყველა სხვადასხვა მიმართულებით წავიდა, სულ სხვა სფეროში მიაგნო საკუთარ თავს, მაგრამ ძალიან გული მტკივა, რომ მათ დრომ შეუშალა ხელი და ვერც ერთი გაყვა იმ საქმეს, რომლის კეთებაც გულით უნდოდა. აი, ასეთი სევდიანი ამბავია. მე კი უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე საკუთარ თავს პოეზიაში მივაგენი და მივხვდი, რომ ჩემი საქმე წერა იყო.

„ნანერებს უჯრაში ვალაგებ, თავიდან დავინწყებ დილით...“

— დაბოლოს, რას უშზადებს გაგა ნახუცრიშვილი თავის მკითხველებს?

— მართალია, არ მიყვარს სიტყვა „რჩეული“, რადგან ეს უფრო კლასიკობის შემოქმედებაზე ითქმის, მაგრამ იმ ლექსების კრებულს ვამზადებ, რომელიც მთელი 20 წლის განმავლობაში მიწერია. მტერმა ნაიკითხა ყველაფერი, რაც შემეძინა. თავად ავარჩიე ამ კრებულისთვის ლექსები და მკითხველი მას ივნისში იხილავს. იმედია, ჩემი ნაკრები საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებზე ცოტა უკეთესი მაინც იქნება. ასე რომ არ მეფიქრა, არც გავაკეთებდი. ამას გარდა ვამზადებ კიდევ ერთ წიგნს, რომელსაც პოეტის პროზაც შეგვიძლია ვუნოლოთ და „სისულელის ტრაქტატი“ დავარქვი იმიტომ, რომ ძალიან დიდ სისულელეში მოგიწინა ცხოვრებამ. ეს არ არის მემუარები. გარდა იმისა, რომ ეს ლიტერატურული ჟანრი არ მიყვარს, ვფიქრობ, რომ ნაადრევიც იქნებოდა ჩემთვის მემუარების წერა. ჩემი აზრით, ადამიანს ძალიან განსაკუთრებული და საგვც ცხოვრება უნდა ჰქონდეს გავლილი, მემუარები რომ წეროს. ჩემი წიგნი უფრო მხატვრული ჩანანერების კრებულია ჩემს ახლო თუ შორეულ წარსულზე. ვინსენებ ჩემთვის ძვირფას ადამიანებსა და ადგილებს, სიტუაციებს, რამაც ჩამომიყალიბა ისეთ ადამიანად, როგორც ვარ.

— წარმატებებს გისურვებ. ჩემი წასვლის დრო დგება... „უკვე სხვანაირი დრო დგება...“

— ამიტომაც ვამბობ მადლობას... „...ამიტომაც ვამბობ: დროებით!“

გამომცემელი

თამარ ებრაღიძე:

# „ვიმელოვნებ, სხვა გამოცემელობები მოგვბაკავინ“



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა უნივერსიტეტის მეოთხე სასწავლო კორპუსის ბოლო სართულზეა. გამომცემლობაში შესვლისთანავე უნივერსიტეტისთვის დამახასიათებელ სიმყუდროვეს იგძნობთ. დერეფანში ბოლო დროს დაბეჭდილი წიგნებია გამოფენილი. აქ ნახავთ აკადემიურ და დარგობრივ გამოცემებს, რომლებიც ჰუმანიტარულ, საზოგადოებრივ, ტექნიკურ და საბუნებრივ მეცნიერებებს შეეხება და თანამედროვე ქართული ლიტერატურით, საავტორო და ნათარგმნი წიგნებითა და ჟურნალებითაა წარმოდგენილი. გამოფენილია, ასევე, თანამედროვე სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები, საბავშვო და საყმაწვილო წიგნები, განმარტებითი, დარგობრივი და ტერმინოლოგიური ლექსიკონები, ბიოგრაფიული ჟანრის ლიტერატურა, სხვადასხვა ენციკლოპედია, კლასიკოსებისა თუ თანამედროვე ავტორების ნაწარმოებები, ცნობილი მეცნიერებისა და ახალგაზრდა მკვლევარების შრომები... გამომცემლობა რამდენიმე მიმართულებით მუშაობს: როგორც აღვნიშნეთ, აკადემიური და სამეცნიერო წიგნები, პერიოდული გამოცემები, ასევე, კომერციული პროექტები და ელექტრონული დარგობრივი ჟურნალები.

კლასიკოსებისა თუ თანამედროვე ავტორების ნაწარმოებები, ცნობილი მეცნიერებისა და ახალგაზრდა მკვლევარების შრომები... გამომცემლობა რამდენიმე მიმართულებით მუშაობს: როგორც აღვნიშნეთ, აკადემიური და სამეცნიერო წიგნები, პერიოდული გამოცემები, ასევე, კომერციული პროექტები და ელექტრონული დარგობრივი ჟურნალები.

თუმცა, ინფორმაცია გამომცემლობის საქმიანობის შესახებ ნებისმიერმა ადამიანმა, რომელიც ინტერნეტის ქსელით სარგებლობს, შინიდან გაუსვლელადაც შეუძლია მიიღოს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონულ მისამართზე — [tsu.ge](http://tsu.ge) — შესვლისთანავე, დაინტერესებული პირი მოიძიებს „უნივერსიტეტის გამომცემლობას“ და მის საქმიანობას დაწვრილებით გაეცნობა. აქვე შეუძლია იხილოს გამომცემლობის ინტერნეტ-გამოცემები, რომელიც თანამედროვე ქართული ლიტერატურის, ვიდეოგაკვეთილების, სამეცნიერო კვლევითი და სტუდენტური პერიოდული გამოცემებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკის სახით არის წარმოდგენილი.

უნივერსიტეტის გამომცემლობა ძალიან ცოცხალი და დინამიკური ცხოვრებით ცხოვრობს. აქ მომუშავე ადამიანები, თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე, აქტიურად არიან ჩართულნი უნივერსიტეტის ყოველდღიურებაში და ამ ძველი და ტრადიციული უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიზნების წარმატებით განხორციელებას მნიშვნელოვნად შეეწევიან. გამომცემლობის წარსულსა და დღევანდელ დღეზე, ასევე მის სამომავლო გეგმებზე, გამომცემლობის დირექტორ, ქალბატონ თამარ ებრაღიძეს ვესაუბრეთ.

— ქალბატონო თამარ, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტს მრავალწლიანი და მდიდარი ისტორია აქვს. უნივერსიტეტის გამომცემლობაც, ალბათ, ძალიან დიდი ხნისაა. როდის დაარსდა იგი და ვინ იყვნენ ის ადამიანები, ვინც სათავეში ედგნენ ამ საქმეს?

— ამ გამომცემლობის შექმნის იდეა 1918 წელს, უნივერსიტეტის დაარსებასთანვე გაჩნდა. ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით შეიქმნა საგამომცემლო კომისია, რომელსაც სხვადასხვა დროს სათავეში ედგნენ გამორჩენილი ქართველი მეცნიერები — აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, გიორგი ახვლედიანი, სიმონ ყაუხჩიშვილი, ანდრია რაზმაძე და სხვები. პირველი წიგნი უნივერსიტეტის გრიფით 1919 წელს დაიბეჭდა, ეს იყო ლევან ყანჩაველის დამხმარე სახელმძღვანელო ბოტანიკაში. ერთი წლის შემდეგ უნივერსიტეტის „შრომების“ გამოცემა დაიწყო. მერე უნივერსიტეტის სტამბაც დაარსდა. 1933 წელს კი დაფუძნდა უნივერსიტეტის გამომცემლობა, რომლის მიზანიც მეცნიერებისა და საგანმანათლებლო საქმის განვითარებისთვის არსებითად აუცილებელი წიგნების გამოცემა იყო. მალე თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა ყოფილ საბჭოთა სივრცეში ერთ-ერთ ყველაზე დიდ და სერიოზულ გამომცემლობად იქცა. უნივერსიტეტის ყველაზე ცნობილი და მნიშვნელოვანი გამოცემებს შორისაა თბილისისა და იენის უნივერსიტეტების მიერ ერთობლივად მომზადებული საერთაშორისო ქართველოლოგიური ჟურნალი „გეორგიკა“, რომელიც 1977 წელს პირველად გამოვიდა.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდში თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა კომუნისტური იდეოლოგიისთვის მიუღებელი სასულიერო ლიტერატურის გამოქვეყნებას მაინც ახერხებდა. იმ წლებში გამოიცა „მამათა ცხოვრება“, „პავლე მოციქულის ეპისტოლეები“, „ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის“ და ქართული ოთხთავის უკანასკნელი ორი რედაქცია.

2006 წლის პირველი აპრილიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით, გამომცემლობა გაუქმდა, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ შეიქმნა ახალი გამომცემლობა, რომელიც უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურის ერთეულად ჩამოყალიბდა და ახალი მიზნები დაისახა. განახლებულ გამომცემლობას ნუგზარ ნიკლაური ხელმძღვანელობდა

(იგი ამჟამად საქართველოს პარლამენტის წევრია), მე კი მთავარი რედაქტორი ვიყავი. მას შემდეგ, რაც ბატონი ნუგზარი დეპუტატი გახდა და რედაქცია დატოვა, გამომცემლობას ხელმძღვანელობ. ამჟამად გამომცემლობაში ოცდათხუთმეტი ადამიანი მუშაობს (იყო დრო, როცა თანამშრომელთა რიცხვი აქ ას ხუთს აღწევდა). რამდენიმე განყოფილება გვაქვს, სხვადასხვა მიმართულების საინტერესო პროექტებს ვანხორციელებთ და გვაქვს სურვილი, უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევებისა და სწავლების თანამედროვე მაღალი სტანდარტების დამკვიდრებაში გარკვეული წვლილი შევიტანოთ.

— უნივერსიტეტის ტრადიციებიდან, სიძველიდან გამომდინარე, ამ გამომცემლობაში მუშაობა თქვენთვის და თქვენი თანამშრომლებისთვის, ალბათ, გარკვეულ პასუხისმგებლობას წარმოადგენს...

— რასაკვირველია, სწორედ იმიტომ, რომ ეს არის უნივერსიტეტის გამომცემლობა, პასუხისმგებლობა დიდია. ვცდილობთ, ყოველმხრივ ხელი შევუწყოთ იმ ტრადიციული დისციპლინების წარმოჩენას, რომელთა განვითარების დონითაც უნივერსიტეტი მუდამ გამოირჩეოდა. ასეთია, მაგალითად, ქართველოლოგია და კავკასიოლოგია. გვაქვს სურვილი, ის უახლესი სამეცნიერო კვლევები, რომელიც ამ მიმართულებით მიმდინარეობს, უნივერსიტეტის გამომცემებშიც აისახოს. დავბეჭდეთ ენათმეცნიერების კურსის შესავალი, რომელიც ცნობილმა მეცნიერმა თამაზ გამყრელიძემ ავტორთა ჯგუფთან ერთად მოამზადა. უნივერსიტეტში ყოველთვის ძლიერი იყო იბერიულ-კავკასიური ენების დარგი, რომლის ფუძემდებელი არნოლდ ჩიქობავა გახლდათ. ამ დიდი მკვლევარის დაწყებული საქმეს დღეს ცნობილი თანამედროვე კავკასიოლოგი მერაბ ჩუხუა აგრძელებს. მისი საკმაოდ სერიოზული, სქელტანიანი ნაშრომი „იბერიულ-იჩქერიული ენების შედარებითი გრამატიკა“ უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა. დავბეჭდეთ, ასევე, ბატონი მიხეილ ქურდიანის „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები“ — ძალიან საინტერესო ნაშრომი. ვფიქრობთ, თბილისის უნივერსიტეტში არსებული ქართველოლოგიური სკოლის მნიშვნელობაზე ეს გამოცემები მეტყველებს. დაგეგმილი გვაქვს სხვადასხვა დროის ღირებული სამეცნიერო კვლევების პერიოდული გამოცემა. რამდენიმე ასეთი წიგნი დაიბეჭდა. დღეს მსოფლიოს ყველა დიდ უნივერსიტეტში ამგვარი პერიოდული გამოცემების პრაქტიკა არსებობს. თუ

ისევე ენათმეცნიერებაზე ვილაპარაკებთ, ცნობილი მკვლევარის, ნოემ ჩომსკის ნაშრომებს უცხოური საუნივერსიტეტო გამომცემლობები პერიოდულად ბეჭდავენ. ჩვენ კი მკითხველს აკაკი შანიძის „ხევსურულ პოეზიას“, შალვა ნუცუბიძის შრომებსა და სხვა ცნობილი მეცნიერების წიგნებს ვთავაზობთ. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება განწყობის თეორიის შესახებ მიხეილ უზნაძის ცნობილი ნაშრომის ინგლისურ და ქართულ ენებზე გამოცემა. ზოგჯერ, ავტორების მემკვიდრეებისგან წიგნის გამოსაცემად უფლების მიღება გარკვეულ სირთულეებთან არის ხოლმე დაკავშირებული, თუმცა, ხშირად, მემკვიდრეები ამა თუ იმ წიგნის გამოცემას თვითონვე გვთავაზობენ. მაგალითად, ბატონი შალვა ნუცუბიძის ქალიშვილმა, ქალბატონმა თამარმა, თავად მოგვანოდა მასალა, რომელიც მალე გამოიცემა. პრობლემა საავტორო უფლებასთან დაკავშირებით არც ბატონ არნოლდ ჩიქობავას მემკვიდრეებისგან შეგვექმნია.


— უნივერსიტეტის სამეცნიერო მემკვიდრეობის მიმართ თქვენი დამოკიდებულება გასაგებია. მეორეს მხრივ, საინტერესოა, როგორ აისახება უნივერსიტეტის დღევანდელი პროცესები თქვენი გამომცემლობის სხვა მიმართულებებზე.

— მაღალი კლასის თანამედროვე სახელმძღვანელოები თითქმის ყველა დარგში გვაკლია. ამიტომ მათი გამოცემა, არსებული რეალობის გათვალისწინებით, უნივერსიტეტს მეტად საშურ საქმედ მიიჩნევა. არსებობს მეცნიერებები, თუნდაც ფიზიკა, რომელთა სახელმძღვანელოებიც, ვფიქრობთ, უფრო უპრიანი იქნებოდა გვეთარგმნა, ვიდრე აქ, ჩვენს ბაზაზე შეგვექმნა. შჯობს, მოვამზადოთ მაღალი რეიტინგის მქონე, ევროპული სახელმძღვანელო და მივცეთ საშუალება ქართველ სტუდენტს, ესა თუ ის დარგი იმ წიგნით შეისწავლოს, რომლითაც მისი თანატოლები მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში სარგებლობენ. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი გამოცემაა „სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებში“, მალე დაიბეჭდება ზიმბარდოსა და გერიკის ავტორობით შექმნილი მაღალი ხარისხის სახელმძღვანელო „ფსიქოლოგია და ცხოვრება“, ამავე რანგის წიგნი ჰარისონის „შინაგანი სწეულებები“. ჰარისონი სამედიცინო სფეროში უპირობო ავტორიტეტია და ამ წიგნზე უფრო ღირებული ლიტერატურა თანამედროვე მედიცინის სამყაროში არ მოიძებნება. წიგნის თარგმანზე ახლა ვმუშაობთ. მნიშვნელოვანია, რომ ამ გამოცემით, არა მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები,

არამედ სამედიცინო უნივერსიტეტში მოსწავლე ახალგაზრდებიც ისარგებლებენ. იგივე შეიძლება ითქვას გაიტონის „ფიზიოლოგიის სახელმძღვანელოზე“. გვსურს, უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს თანამედროვე, კარგი სახელმძღვანელო ჰქონდეს. მიუხედავად იმისა, რომ მათი თარგმნა და გამოსაცემად მომზადება ძალიან შრომატევადი საქმეა, ვფიქრობთ, დროთა განმავლობაში, თანამედროვე სასწავლო ლიტერატურის ნაკლებობის პრობლემა აღარ იდგება.

— ალბათ, სათარგმნი სახელმძღვანელოების შერჩევაში უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტი მონაწილეობს...

— ასეა. ინიციატივა ფაკულტეტებისგან მოდის. მაგალითად, მედიცინის



დარგში სათარგმნი წიგნები სამედიცინო ფაკულტეტმა შემოგვთავაზა, ხოლო რაც შეეხება ფიზიოლოგიის სახელმძღვანელოს, ამ პროექტს გამომცემლობა ფიზიოლოგიის ინსტიტუტთან ერთად ახორციელებს, ისინი თარგმნიან. „ფიზიოლოგია“ და „შინაგანი სწეულებები“ იმდენად სპეციფიკური ლიტერატურაა, რომ დარგის სპეციალისტების გარდა მას ვერავინ თარგმნის. დაახლოებით მილიონი ლარის ინვესტიციის მოზიდვა დაგეგმილი იმისთვის, რომ თითოეულმა ფაკულტეტმა მისთვის სასურველი სახელმძღვანელო მიიღოს.

— გამომცემლობას სახელმწიფო აფინანსებს?

— გამომცემლობა ფინანსდება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. ხოლო მილიონ ლარს, ახლა რომ ვახსენებ, გაიღებს სპონსორი, რომელთანაც მიმდინარეობს მოლაპარაკება. ეს თანხა ახალი მთარგმნელობითი პროგრამის განხორციელებას მოხმარდება, ოღონდ ეს პროგრამა მხოლოდ სახელმძღვანელოების თარგმნას გულისხმობს.

— კომერციული გამოცემების გარეშე არსებობა, ალბათ, ნებისმიერ გამოცემლობას გაუჭირდებოდა, თქვენ თუ გაქვთ ასეთი პროექტები?

— კომერციულ პროექტებსაც ვანხორციელებთ, ეს გამოცემლობის ერთ-ერთი მიმართულებაა. სახელწოდებით „საუნჯე“, მსოფლიოში ყველაზე ცნობილი და მნიშვნელოვანი წიგნების სერიის გამოცემა დაგეგმილია...

— მხატვრულ ნაწარმოებებს გულისხმობთ?

— ძირითადად ასეა, მაგრამ წარმოდგენილ სერიაში არა მხოლოდ მხატვრული ლიტერატურა შედის. ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნებს შორის პლატონის შრომები რატომ არ უნდა იყოს? მერე რა, რომ ის ფილოსოფოსია და არა — მწერალი. მისი ტექსტი ნამდვილად მხატვრულია. პლატონის შრომების თარგმანი ბატონი ბაჩანა ბრეგვაძის მიერ არაჩვეულებრივად შესრულებულია. ჩემთვის ძალიან ღირებულია, ასევე, თინა ყაუხჩიშვილის მიერ თარგმნილი ჰეროდოტის „ისტორია“. ქალბატონი თინა უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებლის სიმონ ყაუხჩიშვილის ქალიშვილია, მინდა, მის შესახებ ცოტა რამ ვთქვა. თინა ყაუხჩიშვილის დედასი ქართველოლოგიის განვითარებაში უდიდესია. არ მოიპოვებ ბერძნული და ლათინურენოვანი ტექსტის საქართველოს შესახებ, რომელიც ამ მეცნიერის ინტერესის არეალში არ მოხვედრილა. თუკი ბერძენ და რომაელ ავტორებს რაიმე ღირებული დაუნერხებელი საქართველოზე. ქალბატონი თინას შრომებშია თავმოყრილი. მას გამოქვეყნებული აქვს მრავალი ტექსტი პარალელური თარგმანებით. ჰეროდოტის „ისტორიაშიც“ ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ცნობები გვხვდება საქართველოზე, ქართველმა ადამიანმა ამის შესახებ უნდა იცოდეს.

— როგორ ფიქრობთ, კომერციული თვალსაზრისით რამდენად მომგებიანია ამ წიგნების გამოცემა, იქნება კი მოთხოვნა მათზე?

— ვფიქრობ, უნდა იყოს. დროთა განმავლობაში ახალი ოჯახები იქმნება, ახალი ურთიერთობები ყალიბდება და ადამიანებს უჩნდებათ სურვილი და საჭიროება შეიძინონ ახალი, კარგი წიგნები. ლამაზად გამოცემული სერიის სახით ჩვენ მათ მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს ვთავაზობთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს წიგნები თანამედროვე ინტერეისაც დაამშვენებს. „საუნჯის“ სერიაში შესულია, ასევე, „ვეფხისტყაოსანი“, ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებები, უილიამ შექსპირის ნაწარმოებები, მიგელ დე სერვანტესის „დონ კიხოტი“, შარლ ბოდლერის პოეზია... ასე მგონია, რაც დრო გავა, განათლება მეტად დაფასდება ჩვენს ქვეყანაში. ერთ-ერთი კომერციული პროექტი, რომელსაც ვანხორციელებთ — ალბომებია. უნივერსიტეტში მუშაობს ბატონი არნოლდ

გეგეჭკორი. ეს სახელი ბევრისთვის ცნობილია. იგი ძალიან საინტერესო პიროვნებაა, ბიო-გეოგრაფიის საუკეთესო მცოდნეა. წლების მანძილზე ის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობდა და ძალიან მაღალი ხარისხის ფოტო-სურათებს იღებდა. მდიდარი მასალა დააგროვა. ბატონ არნოლდს მთელი მსოფლიო მოვლილი აქვს და ამ „გადმოსახედიდან“ ამბობს, რომ საქართველო სრულიად გამორჩეული, მარგალიტით ქვეყანაა. ვფიქრობთ მასთან ერთად მოვამზადოთ ფოტო-სერია, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა კუთხე იქნება წარმოდგენილი. გამოცემების ეს ციკლი, დიდი მოცულობის ალბომის — „ეს არის საქართველო“ — გამოსვლით დასრულდება, რომელშიც ყველა საუკეთესო ფოტო-მასალა მოიყრის თავს. ვფიქრობთ, ძალიან წარმატებული სარეკლამო-კომერციული პროექტი იქნება. მინდა, კიდევ ერთი საინტერესო სამომავლო გამოცემის შესახებ გითხრათ: უნივერსიტეტს ძალიან მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს. უამრავ საინტერესო ლიტერატურას შორის, რომელიც ბიბლიოთეკაშია დაცული, არის წიგნები საქართველოს შესახებ. ძირითადად, ეს XIX საუკუნის ფრანგული, გერმანული და რუსულენოვანი იშვიათი გამოცემებია. გვაქვს სურვილი, მოვამზადოთ ერთი დიდი ალბომი — როგორ ხედავდა XIX საუკუნე საქართველოს — რომელშიც ბიბლიოთეკაში დაცული მასალები შევა. ვფიქრობ, ძალიან საინტერესო გამოცემა იქნება.

— ქალბატონო თამარ, ხშირად ლაპარაკობენ, რომ უნივერსიტეტში სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობა, რომლითაც ასე გამოირჩეოდა ეს ისტორიული უმაღლესი სასწავლებელი, მიწვდის. მართლა ასეა? უნივერსიტეტის ყოველდღიური ცხოვრება, ვფიქრობ, ყველაზე უკეთ თქვენი გამოცემლობის საქმიანობაში აისახება. როცა გისმენთ, მექმნება შთაბეჭდილება, რომ უნივერსიტეტი აქტიურად ცხოვრობს და აქედან გამომდინარე, თქვენც გაცხოველებული მუშაობა გაქვთ...

— სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროცესების მიწვდენა მხოლოდ უნივერსიტეტის პრობლემა არ არის. პრობლემას, ზოგადად, მეცნიერებისა და განათლების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება წარმოადგენს. ძნელად თუ დამისახელებთ მოზარდს, რომელიც ამთავრებს სკოლას და ამბობს, ფიზიკოსი მინდა გავხდეთ. დღეს, ბავშვების უმრავლესობა იურიდიულ ან ეკონომიკურ ფაკულტეტებს ირჩევს. ასეთი ტენდენციაა. თუმცა, მგონია, რომ ეს არის გარდამავალი პერიოდის პრობლემა, რომელიც, ალბათ, თავის დროზე, ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებსაც შეეხება. ადამიანები ირჩევენ იმ პროფესიებს, რომელიც მათთვის კეთილდღეობასთან ასოცირდება. დღეს ჩვენთან ჟურნალისტიკის, იურიდიული და ეკონომიკური ფაკულტეტებია პოპულარული, ამ ერთობ მომგებიანი ფაკულტეტების ხარჯზე უნივერსიტეტს აქვს შესაძლებლობა, ჰუმანიტარული, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დარგები შეინარჩუნოს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას კარგად ესმის, რომ აუცილებლად დადგება დრო, როცა ამ დისციპლინების მიმართ ინტერესი გაიზრდება, ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია მათი შენარჩუნება. გარდა ამისა, უნივერსიტეტში შემუშავებული პროგრამა, რომლის მიხედვითაც უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერები, მაგალითად ფიზიკოსი გია დვალისი და კიდევ სხვებიც, პერიოდულად ჩამოდიან საქართველოში და სტუდენტებს ლექციებს უკითხავენ, რათა მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიმართ ინტერესი გაჩნდეს. გეტყვით როგორია ჩვენი წვლილი ამ საქმეში: როგორც მოგახსენეთ, ეს მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ არის, ისეთმა სერიოზულმა უმაღლესმა სასწავლებელმა, როგორც ოქსფორდის უნივერსიტეტი, შექმნა სერია „ძალიან მოკლე ყველაფრის შესახებ“ და დაახლოებით სამასამდე წიგნი გამოსცა. ამ წიგნებს ასეთი სათაურები აქვს:

„ძალიან მოკლე ფიზიკის შესახებ“, „ძალიან მოკლე ცნობიერების შესახებ“, „ძალიან მოკლე დიდი აფეთქების შესახებ“, „თანამედროვე მხატვრობის შესახებ“ და ასე შემდეგ. ავტორები ნახევრად სამეცნიერო და ნახევრად პოპულარულ ენაზე მოგვითხრობენ ჰუმანიტარული, ზუსტი და საბუნებისმეტყველო დისციპლინების შესახებ. თითოეულ გამოცემასთან ერთთვის თანამედროვე ბიბლიოგრაფია. ყოველწლიურად ბრიტანეთში ამ სერიის ფესტივალი იმართება; ფართო აუდიტორიის წინაშე გამოდიან ის მეცნიერები, რომელთა ავტორობითაც შექმნილია სერიის წიგნები და თავიანთი დარგების მიმართ საზოგადოების ინტერესის გაღვივების მიზნით დაახლოებით ნახევარსაათიან საინტერესო ლექციებს კითხულობენ. ჩვენ ვიყიდეთ უფლება ამ სერიის წიგნების ქართულ ენაზე გამოსაცემად. მალე პირველი ათი წიგნი გამოვა და შეეძლებთ სხვადასხვა ფაკულტეტს მათთვის საინტერესო ლიტერატურა შევთავაზოთ. ქართულ ენაზე თარგმნილი „ძალიან მოკლე ყველაფრის შესახებ“ ახალგაზრდებს მეცნიერებების მიმართ ინტერესს აღუძრავს.

ძალიან გვინდა, რომ როცა ამ სერიიდან თარგმნილი ბევრი წიგნი დაგვიგროვდება, შემდეგ ასეთივე ციკლი საკუთარი ძალებით შევქმნათ და მასში თავი მოვეყაროთ ყველაფერს, რაც ჩვენთვის ღირებულია. ეს იქნება ქართული მასალით შედგენილი „ძალიან მოკლე ყველაფრის შესახებ“. ქართულ სერიაში შევა, მაგალითად, „ძალიან მოკლე განწყობის თეორიის შესახებ“, „ძალიან მოკლე იბერიულ-კავკასიური ენების შესახებ“, „ძალიან მოკლე ვეფხისტყაოსნის შესახებ“ და ასე შემდეგ.

— დღეს ყველა სერიოზულ და კარგ გამოცემლობას თავისი ელექტრონული გვერდი გააჩნია. თქვენი გამოცემლობის ინტერნეტ-ვერსია ძალიან შთამბეჭდავია. იქ განთავსებული საბავშვო ვებ-გვერდი — სახელწოდებით „საბავშვო უნივერსიტეტი“ — განსაკუთრებით მოგვეწონა.

— დღეისთვის არ არსებობს დიდი გამოცემლობა, რომელსაც ვებ-გვერდი არ ექნება. ჩვენც ხომ უცხოეთის უნივერსიტეტების სხვადასხვა მნიშვნელოვანი



„საბავშვო უნივერსიტეტი“, ხოლო წყარო საიდანაც ვსაზრდობდით, როგორც გითხარით, ჩ-ის ვებ-გვერდი იყო. თუმცა, ცხადია, ფინანსური შესაძლებლობების თვალსაზრისით, ჩვენსა და მათ შორის დიდი განსხვავებაა. ასე რომ, ჩვენი გამოცემლობის ვებ-მისამართზე მოთავსებული „საბავშვო უნივერსიტეტი“ ის არის, რაც შეეძლებოდა.

ვიმედოვნებ, სხვა გამოცემლობები მოგვბაძავენ და შეეცდებიან თავიანთი დამოკიდებულება ბავშვების მიმართ უფრო გაამრავლონ.

— თქვენი გამოცემლობის მთავარი მიმართულება ხომ მეცნიერება და განათლებაა, ბუნებრივად არის ელექტრონული საბავშვო გვერდი გქონდეთ.


— დიახ. უნივერსიტეტს ბაზაზე შექმნილია საბავშვო უნივერსიტეტი, სადაც მეცნიერები ბავშვებს ლექციებს უკითხავენ, ამგვარი პროგრამის არსებობა მეცნიერების სხვადასხვა დარგების პოპულარიზაციას უწყობს ხელს.

— ქალბატონო თამარ, თქვენი წიგნების შექმნა სად შეიძლება?

— ჯერ-ჯერობით, მაღაზია, სადაც ჩვენს მიერ გამოცემული წიგნები გაიყიდებოდა, არ გვაქვს. თუმცა, მომავალში, წიგნის ერთ-ერთ ინგლისურ მაღაზიასთან ერთად, დიდი და თანამედროვე სამეცნიერო წიგნის მაღაზიის გახსნას ვფიქრობთ. მაღაზია ჩვენი შენობის (უნივერსიტეტის IV კორპუსის) პირველ სართულზე განთავსდება. ეს ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი პროექტია. იქამდე კი, წიგნები ჩვენს გამოცემლობაში იყიდება. ვფიქრობთ, სანამ კარგი მაღაზია გვექნება, მაინც შევძლოთ უნივერსიტეტის გამოცემების განთავსება შენობის პირველ სართულზე, რომ წიგნის შექმნის მსურველს მეოთხე სართულზე ამოსვლა აღარ უწევდეს. კიდევ ერთი მოვლენა, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია — წელს, უნივერსიტეტის გამოცემლობა თბილისის წიგნის ბაზრობაში მონაწილეობას პირველად მიიღებს. იქ ჩვენს მიერ წარმოდგენილი წიგნების მეშვეობით, საზოგადოებას თანამედროვე, სამეცნიერო გამოცემებს გავაცნობთ.

— თქვენი წიგნების მკითხველი, ალბათ, საზოგადოების ვიწრო ნაწილია...

— სამეცნიერო წიგნის მომხმარებელი, ძირითადად, მეცნიერო საზოგადოებაა. ესენი არიან პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. თუმცა, დღეს მთელს მსოფლიოში ძალიან მაღალი დონის სამეცნიერო-პოპულარული წიგნები გამოცემა და ჩვენც იქით მივდივართ. ადრე, საბჭოთა პერიოდში, სამეცნიერო შრომებს, საგნის ახსნისა თუ გადმოცემის თვალსაზრისით, გარკვეული სიმძიმე ახასიათებდა, თანამედროვე უცხოური უნივერსიტეტების გამოცემებში კი, ამ მიმართულებით, ზედმეტად გამარტივებული თხრობის მანერა, ერთგვარი ზედაპირულობა შეინიშნება. ჩვენ გვინდა გარკვეული შუალედი მოვძებნოთ, რომ მკითხველისთვის მიმზიდველი იყოს ის ლიტერატურა, რომელსაც შევთავაზებთ.



ლია სტურუას შემოქმედება თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების ფერისცვალებათა იმ რიგში დგას, რომლის არსებით თავისებურებას ტრადიციული მხატვრულ-ესთეტიკური ნორმებისაგან გამომიჯნავი ნიშნები განსაზღვრავს.

გამოცდილია, რომ ტრადიციონალიზმის მქადაგებელთა ენთუზიაზმი, რომელიც "ისტორიული აზროვნების სისწორეში" ჭვრეტს პრაქტიკული თუ ესთეტიკური ქცევის ძირითად კანონზომიერებებს, ზოგჯერ ნაკლებ ნდობას იმსახურებს, ვიდრე – ნარსულთან მემკვიდრეობითი კავშირების უარყოფელთა სკეპტიციზმი. ამიტომ ცალმხრივად გაგებულ ტრადიციონალიზმს არასოდეს მოკლებია კრიტიკულად განწყობილი მონინალმდეგენი, მათ შორის, ისეთ კონსერვატორულ დარგში, როგორც პოეზია (ტრადიციული მხატვრული ნორმებისადმი კაბალური დამოკიდებულების შეგნებული უარყოფის ნიშნად "ცისფერყანწელთა" მოღვაწეობის გახსენებაც იკმარებდა).

ნებისმიერ ნოვაციამი მოცემული დროის უნივერსალური ნიშანია გამჭვლელები, მაგრამ ძველის უარყოფა ახლის დამკვიდრების მიზნით მხოლოდ გარედან შემოჭრილი კულტურული "ექსპანსიის" შედეგი როდია. იგი, პირველ რიგში, ერის პოეტური ენერჯისა და ენობრივი ცნობიერების გადახალისების, გაახალგაზრდავების, ამავე დროს, მსოფლიო ლიტერატურულ სისტემაში კოორდინირების შინაგანი მოთხოვნებითაა ნაკარნახევი.

ქართული ლექსის განვითარების ლოგიკურ პირობად უნდა მივიჩნიოთ თანამედროვე პოეზიაში ვერსიფიკაციული ნორმების უკუგდების, უფრო სწორად, ამ ნორმათა თვითმიზნურობის პაროდირების ცდები. მასასადამე, აღნიშნულ შემთხვევაში პაროდირების ობიექტია არა შინაარსი, არამედ – ფორმა, არა კონკრეტული საგნობრივი გაერმო, არამედ – საგანთა განლაგების ისეთი "კლასიკური" სქემა, რომელიც წინა პლანზე უფრო მეტად პოეტის ვერსიფიკატორული ოსტატობა გამოდის, ვიდრე – შთაგონების ნიჭი ან მსოფლმხედველობრივი პოზიცია.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კრიტიკოსი ჯერ კიდევ ვერ შეეგუა პოეზიასა და პროზას შორის ეფემერული საზღვრების მოშლას, ერთი რამ ცხადია – დღეს ჩვენს თვალწინ წარმატებით მიმდინარეობს ვერლიბრის სახელწოდებით ცნობილი თავისუფალი ლექსის პრინციპული დამკვიდრების ცდები და ამ პროცესში მნიშვნელოვანი წვლილი ღია სტურუასაც მიუძღვის.

ღია სტურუას ლექსებში ჭვრეტის მთავარი საგანი თავად პოეტია – მისეული ვნებით დატვირთული ფიქრი და არა საგანთა ის რიგი, პოეტური "რეკვიზიტი", რომელიც ქმნის ლექსის "ინტერიერს". ამიტომაც, ბუნებრივია, ასეთი პოეზიის გააზრების სირთულის ნინაშე დგება ლიტერატურული აბსტრაქციზმისადმი გრძნობადაქვეითებული მკითხველი, რომელიც ნებისმიერ სახესა თუ დეტალში მისი კონკრეტული, ნივთიერი გამოხატულების ძიებაშია.

"ამ კაცს იმდენი ქვა მოხვედრია, რომ მას თავის ქალა გემატომების ასფურცელა ყვავილებით აქვს სახე. კაცი კი არ მოდის, შემოდგომის ბალი მოიხრევა... ის დაიჯერებს, რომ შეიძლება ყვავილიც გეგონოს



ზაზა გოგია

„თუკი პურზე უფრო გჭირდება ყვავილები...“

შენი მოყვასის გაჩეხილი თავი, თუკი პურზე უფრო გჭირდება ყვავილები...

(„პოეტი“)

ეს კაცი პოეტია, რომლის სურეალისტური "პორტრეტი" იხსნება ღია სტურუას ლექსების კრებული. პოეზიაში სურეალიზმის (ფრანგულად – ზერეალიზმის) პრინციპების ერთ-ერთი დამფუძნებელი გიომ აპოლინერი აღნიშნავდა, რომ ზერეალისტურად აზროვნების უძველესი და უთვალსაჩინოესი გამოვლინება ბორბლის გამოგონება ოყო, ბორბლისა, რომელიც სიარულს ბაძავს, მაგრამ ფეხს არა ჰგავს. ე.ი. მისაბაძი საგნის კონსტრუქცია დაშლილია, არსი – შენარჩუნებული. ეს, ერთი შეხედვით, პრიმიტიული გრაფიკული ალგორითა არა იზოლოდ რომელიმე კონკრეტული მხატვრული მიმართულების, არამედ მთელი თანამედროვე ხელოვნებისათვის ნიშანდობლივი ანტიფორმალისტური და ანტიპოზიტივისტური ტენდენციის გამომხატველია.

ღია სტურუა აღნიშნული ტენდენციის ერთ-ერთი აქტიური მქადაგებელია დღევანდელ ქართულ პოეზიაში. იგი შეგნებულად არ იზღუდება როგორც სალექსო ინსტრუმენტის, ისე მხატვრული გამოსახვის სხვა საშუალებათა ტრადიციული ნორმატივებით. მისი პოეტური სახეებიც გარეგნული ნიშან-თვისებით ხშირად დაცლებულია უშუალოდ შთაგონების წყაროსა და მიზეზს, მაგრამ ეს დანაკლისი, როგორც წესი, "შინა არსით" ნაზღაურდება.

ამ აზრის საილუსტრაციოდ დავუბრუნდეთ ღია სტურუას ლექსიდან ზემოთ უკვე ციტირებულ სტრიქონებს – "შეიძლება ყვავილიც გეგონოს შენი მოყვასის გაჩეხილი თავი, თუკი პურზე უფრო გჭირდება ყვავილები". ეს სიტყვები გადმოტანილი ლოგიკის ენაზე, სრული უაზრობაა, აბსურდია, მაგრამ პოეზიაში დეტალია, თანაც – საკმაოდ მეტყველი დეტალი. სისხლჩაქცევებითა და ტვინის დანყვეტილი კაპილარებით შეკრული "ყვავილი" პოეტის სულიერი საჭიროების, მისი ფიქრებისა და სიზმრისეული ჰალუცინაციების ემბლემა და მეტაფორაა. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ფრაგმენტია ლექსის მთლიანი კომპოზიციისა, რომლის აგებისას ავტორი სახვითი ხელოვნებიდან ნახესხები მხატვრული სქემით ხელმძღვანელობს. პოეტი მოკავშირედ ხელოვნების მომიჯნავე დარგს უხმობს, ვინაიდან ცნობილია, რომ ზოგჯერ დისკურსი და თვით სიტყვის სპექტრიც კი უძღურია მხატვრული "იდეის" ჭეშმარიტი მნიშვნელობის გასამხედავად.

რა თქმა უნდა, პოეტის ახილი კეფიდან ამოზრდილი "შემოდგომის ბალი" დანახული სილამაზის კლასიკური იდეალის პოზიციიდან, ანტიესთეტიკურია, მაგრამ ავტორს სწორედ ასეთი ანტიესთეტიკა იზიდავს – არა სარკეში, არამედ, მის ნამსხვრევებში დანახული სინამდვილე, რომელიც ჩვენი კრიზისული ეპოქის სახე მოჩანს (კლასიკური ესთეტიკური ნორმების ნგრევის ტენდენცია და უშუალოდ ლექსში გამომყვანებული მხატვრული სიმბოლიკაც სურეალისტური მხატვრობის გამოცდილებითაა ნასაზრდოები).

სალვადორ დალის აქვს ერთი სურათი – "სამი ასაკი". ამ სურათზე ავტორისათვის ნიშანდობლივ ავანგარდისტულ მანერაშია შესრულებული სამი ავტოპორტრეტი (თითოეულს რამდენიმე სიუჟეტურ-კომპოზიციური პლანი გააჩნია), რომელიც სიმბოლურად სამ ასაკს განასახიერებს – ბავშვობას, ახალგაზრდობასა და ხანდაზმულობას. უკანასკნელ პორტრეტში ყველაზე გამოსაჩენ სიბრტყეზე წარმოდგენილია თავის ქალის ჭრილი, რომელშიც ღრმა უფსკრულისაკენ გადახრილი "შე-

მოდგომის" ხეების მინიატურული პეიზაჟია ჩახატული.

მართალია, ღია სტურუას ცხოვრების "შემოდგომამდე" კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ დროსა და სივრცეში განფენილი მანძილები ხელოვნებაში საკუთარი არშინით იზომება.

ღია სტურუა ლირიკაში ინტელექტუალურ-მედიაციური პრინციპების მქადაგებელია, ამიტომ მის ყველაზე გაბედულ ხილვებსაც კი გონების ფხიზელი თვალი უდგას დარაჯად (მის ლექსში შემოტანილი "თავის" დესტრუქციული მოდელიც ხომ კარტეზიანული გონების ნიშანი და იპოსტასია).

თანამედროვე ნიგინიერი მკითხველის კულტურულ ინტერესთა სფერო განუზომლად გაიზარდა, თუნდაც, ახლო წარსულთან შედარებით. იგი უკვე ნაკლებად ენდობა როგორც მშრალ, რიტორიკულ მსჯელობებს, ისე - რომანტიკულ ოხვრას, სენტიმენტალურ მელანჰოლიას. მას მწერლობის სახით ფხიზელი მეკვლე და ის მტკიცე ბურჯი ესაჭიროება, რომელიც ერთ მთლიან ორგანიზმად შეკრავს ერის შემოქმედებით გენიას. სწორედ ეროვნული ამოცანებისადმი ერთგულება მოითხოვს, სოციალურ უზრუნველობასა და თვითდამამშვიდებელ ილუზიებს ხელოვნებასთან მიკედლების ყოველგვარი შანსი გადაეწეროს, როგორც ყველაფრისადმი შეგუების, კონფორმიზმის, უმოქმედობის, სულიერი სიზანტის არსებით წყაროსა და მიზეზს.

"შეჩვეული ჭირის სიმყუდროვისა" და სულიერი სიჩლუნგისადმი შეუწყნარებლობის მონოდებად გაისმის ღია სტურუას სიტყვები:

"უნდობლობის ჭია გავსრისე და შეჩვეული ჭირის სიმყუდროვის ორპირი ქარი შევუჩინე, რომელმაც გამოხვეტა როიალის თეთრი კილომეტრები, სულ ბუმბულ-ბუმბულ დაანოკა ვერცხლისფერი კორდებალეტები და შემატოვა საზეიმო განწყობილებებით

გაოგნებული ადამიანები, რომლებიც ისე უყურებდნენ ერთმანეთს,

თითქოს მათ შორის მხოლოდ ეტიკეტის მთები იყო და გულგრილობის ყინულოვანი ოკეანე.

მე კი ჯიუტად ვიმეორებდი, რომ ორ კაცს შორის უმოკლესი მანძილი სწორი ხაზია."

(„აღსარების მაგიერი“)

მიუხედავად პათეტიკის საკმაოდ ჭარბი დოზებისა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ღია სტურუას აღნიშნულ ლექსში ვერ ამოვიკითხავთ მხოლოდ გარეგნულ ეფექტებზე დაგეშილი პოეტის აზარტს. თითოეული სიტყვა სათანადოდაა ანონილი და კეთილგონიერების სამსჯავროზეა გამოტანილი. პოეტი მჭიდროდ უახლოვდება თანამედროვეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, რომელიც სასაუბრო ენაზე შემდეგნაირად შეიძლება გაიფიქროს – "საზეიმო განწყობილებებით" გაჟღენთილ ფუქსავატურ გარემოცვაში ჩვენ, ჩვენივე მოჩვენებითი აქტივობის წყალობით გავაუქმეთ სულიერი კავშირები და ამით ერთმანეთთან მისასვლელი უმოკლესი გზა ("სწორი ხაზი") მოვიჭყრით.

გავრცელებული აზრია, რომ ტრადიციული ლექსის პოეტიკის დახშული სივრცისადმი თავისებურმა შიშმა და უნდობლობამ განაპირობა ვერლიბრისტთა უარი ბოლორითმოვანი ლექსის მუსიკალურ პლასტიკაზე, რომელიც რამდენადმე ზღუდავს შემოქმედის მხატვრული ფან-

ტაზიის თავისუფლებას (სამწუხაროდ, ზოგიერთი "ვერლიბრისტი" ამ არგუმენტს საკუთარი უნიჭობის გასამართლებლად იყენებს). მხატვრული ფანტაზიის თავისუფლება კი იმასაც გულისხმობს, რომ სავალდებულო არ არის პოეტმა ცხოვრების ყველა საჭირობოროტო კითხვაზე მზამზარეული პასუხი დაახვედროს მკითხველს. ეს ამოცანა არც შედის პოეტის კომპეტენციაში. სავალდებულოა სხვა — შენარჩუნებულ იქნას ხელოვნების უმთავრესი თვისება, იდუმალეობა, რომლის გაუთვალისწინებლად მწერლის ნებისმიერი მონდომება სიზიფს ლოდის უსარგებლო ტრეფას დაემსგავსება.

აი, რას წერს ღია სტურუა: „ისეთი დალილი იღვიძებ, თითქოს მთელი ღამე ქვას ტეხდი, სიტყვაზე იჭერ თავს, ქვის ტეხვა უფანტაზიო კაცის საქმეა, რადგან ქვას, გატეხილს, გაზომილს და აწონილს, აღარა აქვს ის თანდაყოლილი საიდუმლო, რითაც ქვა განსხვავდება შენგან“ (”იმ ცეცხლის გამო“)

ციტირებული სტრიქონები ორიგინალური პოეტური ვარიაციაა შემოქმედებითი ინტერესებით მცხოვრები ადამიანის სახელმძღვანელო პრინციპისა, იმდენად არ ამონუროს საგანი, რომ მკითხველს საფიქრალი არ დაუტოვოს. ამ პრინციპისადმი ერთგულების დასტურია ღია სტურუას მთელი შემოქმედება. პირობითი ნიშნების სიმრავლე, არასილოგისტური ლოგიკა, უხვი დეკორაციები და სიმბოლიკა, საგანთა პოეტური დემატერიალიზაციისაკენ ლტოლვა ართულებს ღია სტურუას მხატვრული სამყაროს აღქმას, ამავე დროს, თითქოს, საპაექროდ მოუწოდებს მკითხველის ინტელექტს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ინტელექტუალური "დუელი" დაუფარავ და, ზოგიერთ შემთხვევაში, სამართლიან უკმაყოფილებასაც იწვევს მკითხველთა მნიშვნელოვან ნაწილში; განსაკუთრებით მაშინ, როცა პოეტურ სახეთა ერთგვარი ფიზიოლოგიზმი ფსიქოლოგიური კონსტექსტით ნაკლებად არის არგუმენტირებული.

და მაინც, ღია სტურუა, უპირველესად ყოვლისა, სულის მხატვარია.

ჩვენი ეპოქის ავტომატიზმს, ტექნიციზმსა და დოგმატიზმს საგანთა ინვენტარულ აღწერილობამდე, ერთგანზომილებიან სიდიდეთა მექანიკურ ჯამამდე შეუძლია დაიყვანოს კაცობრიობის მიერ დღემდე შექმნილი ყველა დიდი ფასეულობა. ამის თავიდან ასაცილებლად ტექნიკურ ყაიდაზე მომართულ საუკუნეში სულიერ და ინტელექტუალურ ძალთა სრული მობილიზება საჭირო, რათა არ მოირღვეს ის ბალავარი, რომელიც ადამიანში ადამიანურობის შენარჩუნებას უდევს საფუძვლად, არ დავეშვათ ერთფეროვნებისა შემოქმედებითი უნაყოფობის ფსკერზე. სწორედ ამგვარი გულისთქმის გამოხატულებად მესახება პოეტის სიტყვები:

"სურვილი კი, თუ იყო, მაშინ იყო, სკოლაში, როცა ზარის დარეკვამდე 2X2 ოთხს უდრიდა, ზარის შემდეგ კი 2X2 ერთმანეთზე ხახუნით ცეცხლს გამოცემდა, ხოლო შენ პირდაპირ მთისკენ მიგარბენინებდნენ. შორს არ სჭირდებოდათ წასვლა, ქალაქი მთებით გარემოცული ქვაბში იდო! და ჯაჭვს გადებდნენ ხელებზე".

ცნობილია, ხელოვნებაში შეუძლებელი არაფერია. შეიძლება "მთა მთას შეხედეს" (გალაკტიონი), ლექსი "წითელ ძროხის ჯოგად იქცეს" (პ.იაშვილი), თბილისის ღამე "სარაჯიშვილის ხმებით ატირდეს"



(ტ.ტაბიძე), თვითმფრინავმა კვერცხის დება დაიწყო (გ.აპოლინერი) ან 2X2-მა ხახუნით ცეცხლი გამოსცეს, თუკი, რა თქმა უნდა, მწერალს სურს ასე. მწერლის მხატვრული ნება დაახლოებით იმავე უფლებრივი ცენზით სარგებლობს ლიტერატურაში, რითაც გამრავლების ტაბულა - მათემატიკაში.

ლია სტურუას ზემოაღნიშნულ ლექსში საგანგებო ყურადღებას იქცევს ამირანის ჰეროიკული მითის ორიგინალური მხატვრული გააზრება. ახალი "პერსონაჟის" ბუნდოვანი კონტურების გამოჩენა გვარნმუნებს, რომ ლირიკული გმირის მთები-სადმი ლტოლვა მხოლოდ ბუნებისადმი ინტერესით არ არის ნაკარნახევი:

"სკოლაში შენი მერხის ნახევარზე მანათობელი გოგო იჯდა, მას იშვიათი სახელი ერქვა - ყამარი და სევდიანად იყურებოდა ფანჯარაში,

მას სულ სჯიდნენ გაფანტული ყურადღებისათვის, რადგან ზარის დარეკვამდე სევდა გაუმართლებელი ფუფუნება იყო... შენ დიდ დასვენებაზე დაბრუნდი, გემწარა არნივის ნისკარტი ვარდის ფურცელივით ნაზ მუცელზე".

ამირანის ლირიკულ ორეულად გარდასახული ლირიკული გმირი საკუთარ თავზე მეორე პირში გვესაუბრება. ეჭვს არ იწვევს ლექსში გამოყვანილი "მანათობელ გოგოსა" და ბავშვობის წლებიდან ჩვენს მესხიერებას ადევნებულ ზღაპრულ გმირ ყამარს შორის შემოქმედებითი გადაძახილის ფაქტი - "გავიდე, გამოვიყვანო, ქალია მნათი მზე ვითა" (ყამარ-ქალი, ჭექა - ქუხილის ღმერთის, ელიას, ასულია და ამირანის მითში იგი ბედნიერების იდეას, ზეციურ ცეცხლს, განსახიერებს).

ჩვენს დროში, როცა "ღმერთი მოკვდა", ხოლო წარმართულ და ქრისტიანულ კულტურათა ნამსხვერველებზე თანამედროვე ცივილიზაციის ახალი ფეტიშები წამოიმაართა, ხელოვნებასა და ფილოსოფიას სულ უფრო ხშირად გაურბის ნოსტალგიური მზერა კაცობრიობის ბავშვობისაკენ, იმ მითოსური თუ ისტორიული პერსონაჟებისაკენ, რომელთაც უშუალო გავლენა იქონიეს დღევანდელი ადამიანის ზნეობრივი თუ ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაზე. ქართულ კულტურასა და ხელოვნებას ერთ-ერთ ასეთ ნიშანსვეტად თავისუფლებისათვის მებრძოლი ტიტანის, ამირანის, სახე ეგულება, რომლის სულიერი გამოცდილება თანამოძმეთა მთვლემარე ეროვნულ ენერჯიას გამოფიზიზლებისაკენ მოუხმობს.

იდეალურ ორეულთან თანაზიარობის დემიურგული რწმენის მსხვერვისთანავე დაიმსხვრა ლირიკული გმირის განუმეორებლობაც - მისი მერხის მოზიარე გოგონას "მანათობელი სახე ჩაუქრა და გამრავლების ტაბულა აღარ ეშლებოდა... დღეები დაემსგავსა ერთმანეთს ჩაის ჭიქაში კოვზის ნკარუნით". თხზულებაში მოცემულია ორი განსხვავებული, ამავე დროს, ურთიერთდაკავშირებული პლანი - მითოსულ-ჰეროიკული და ირონიული. ერთზე აღბეჭდილია შთაგონებული ადამიანის სწრაფვა ჭეშმარიტი იდეალისაკენ, მეორეზე - ამ იდეალის დისკრედიტაცია ტექნოკრატული გულგრილობისა და საყოველთაო უტილიტარობის ატმოსფეროში.. ასეთ მხატვრულ კონსტრუქციასი თანამედროვე ხელოვნების იერი და არსებითი მსოფლიმხედველობრივი ტენდენცია იკვეთება.

ლია სტურუას პოეტურმა მოღვაწეობამ დიდი ხანია ქართული ლიტერატურული კრიტიკის ცხოველი ინტერესი, და ბუნებრივია, აზრთა სხვადასხვაობა გამ-

ოინვია. ოპონენტთა შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც პოეტ ქალს ეროვნულ-ისტორიული ტრადიციებისადმი გადაჭარბებულად თამამ დამოკიდებულებას საყვედურობენ. ეს ავტორები, როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნე, ტრადიციონალიზმის ნიშნის ქვეშ ძირითადად ლირიკული პოეზიის გარეგნულ ამუნიციას, "კანონიკური" ლექსის პოეტიკასა და ვერსიფიკაციულ ნორმებს გულისხმობენ და ხელიდან უსხლტებათ მეორე, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი - ტრადიცია, როგორც ჩვენი ხალხის სულიერი და ფსიქოლოგიური ნყოფის რთული კომპლექსი. ამ ფაქტორის გათვალისწინებლად კი ნებისმიერი მონდობება, სათანადოდ შეაფასოს ესა თუ ის ლიტერატურული მოვლენა, ტენდენციურობისა და ცალმხრივობის საფრთხეს ვერ აცდებია. თუკი მხედველობაში მივიღებთ ამ შეხედულებას, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად სალექსო ფორმის არატრადიციულობისა, ლია სტურუა თავის ლექსებში საკმაოდ ტრადიციული პრობლემების გაშუქებას ისახავს მიზნად და ამ ტრადიციითა ლოგიკურ დასაყრდენს, პირველ რიგში, საკუთარ სულიერ ფიზიონომიასა და ზნეობრივ წარმოდგენებში ეძიებს (თუმცა, ძველი ქართული საგალობლები, მეცხრამეტე საუკუნის პოეზიის ზოგიერთ ნიმუში, პაოლო იაშვილის "ევროპა", ტიციან ტაბიძის "უფშური კვირა", გალაკტიონის რიგი ლირიკული თხზულებებისა და პოემა "ჯონ რიდი" იმაზეც დაგვაფიქრებს, რომ არც თავისუფალი ლექსის ფორმა ყოფილა ჩვენითვის მაინცდამაინც უცხო და არატრადიციული). ტრადიციული წარმოდგენების მსხვერველ პოეტში საკუთარი ზნეობრივი, ბიოგრაფიული და ისტორიული გარემოდან მოწყვეტის დაუფარავ მიზნ ბადებს:

"სულ მეშინია, იმაზე უარესი არ მოხდეს რამე,

რის წარმოდგენაც მე შემიძლია: ჭრელ კაბაში გამოწყობილი, ზიზილ-პიპილებით შემკული დედაბერი არ აცეკვდეს თავისი შვილის საფლავზე, რომელმაც ტირილში და ძაძაში გაატარებინა ახალგაზრდობა მესაღდ ნაცემმა ნავაზმა პატრონი არ დაგლიჯოს ამდენი ხნის უპასუხო სიყვარულისთვის".

(*"სულ მეშინია"*)  
ლია სტურუას შემოქმედებაში განგამის სიგნალები ხშირად გაისმის, რომლის ონტოლოგიური საფუძველი ჩვენი სოციალური ყოფიერების მკვეთრი დისპარმონიის განცდაშია საძიებელი. შიშს, როგორც პიროვნების ცხოვრების, მისი ყოფაცქვეის მარეგულირებელ ფენომენს, უძველესი დროიდან იცნობს აზროვნების ისტორია. მაგალითად, არისტოტელეს აზრით, სცენაზე წარმოდგენილი ტრაგედია სულიერ განწმენდას, კათარზისს, იწვევს ადამიანში შიშისა და სიბრალულის აღძვრით. მაგრამ შიშსა და სიბრალულს ამ შემთხვევაში ბადებს არა უშუალოდ ცხოვრება (რომლის წარმავლობასა და სიძნელეებს ძველი ბერძენი საკმაოდ მშვიდად უცქერდა), არამედ - მისდამი ოსტატური ბაძვა. ცხადია, ტანჯვის მიზეზიც ამ კონკრეტულ სიტუაციაში წარმოდგენათა სფეროს უფრო განეკუთვნება, ვიდრე - სინამდვილისას, რომელიც მსახიობის თამაშით (მიბაძვით) არის გაშუალებული. ახალი დროის ფილოსოფიურ და მხატვრულ აზროვნებაში მოქმედების დრამატიზმმა ილუზიების სფეროდან (თეატრალური სცენიდან) უშუალოდ ცხოვრებაში გადმოინაცვლა. ეგზისტენციალისტთა ნააზრევში შიშის მეტაფიზიკამ უკიდურესი ფორმები მიიღო, გამოაცხადა რა "იგი არსებობის სტრუქტურული ერთიანობის" გამომხატველად (მ. ჰაიდეგერი). ეგზისტენციალური შიში ეს არის შიში ყველასა და ყველაფრის, გაურკვეველი მონინააღმდეგისა და მომავლის წინაშე, შიში მარტოობისა, სიკვდილისა, საბოლოო ჯამში, შიში არსებობისა. ამგვარად,

თანამედროვე ადამიანისათვის შიშის ტრაგიკული საფუძველია არა თანატანჯვის გრძნობა, როგორც ეს არისტოტელეს "პოეტიკაშია" გააზრებული, არამედ პიროვნების გაუსახურების, სამყაროში განღვინისა და გაუჩინარების საფრთხე.

აღნიშნულმა პრობლემამ, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა თანამედროვე დასავლეთის ფილოსოფიურ აზროვნებაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში, რომლის სოციალური არსი უმრავლეს შემთხვევაში დამახინჯებულად იყო წარმოდგენილი საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობასა და კრიტიკაში. საკაცობრიო მნიშვნელობის მრავალ კითხვაზე პასუხს ეძიებს ქართული ლიტერატურული აზროვნებაც.

ვენახოთ, როგორ არის გამხედილი ლია სტურუას ლექსში შიში, როგორც რთული არაცნობიერი ფენომენი:

მთელი ოჯახი ზის მაგიდის გარშემო, არავინ აკლიათ, ფანჯრები დაგმანულია და კარები ჩაკეტილი, მატლმა რომ ატმის ნაყოფიდან გამოიხედოს, ისეთ ვარდისფერ გარემოში ანობენ სახეებს, მაგრამ როცა უნდათ, ერთმანეთს რალაც უთხრან, მურაბის ნაშთი ეყინებათ ტურჩებზე და სიტყვას აზრით აკლდება სიტყვა...

ვითაცას კოვზი უვარდება ხელიდან, რაც სიჩუმეში ჭერის ჩამონგრევას ჰგავს.

ვილაც მდულარე ჩაის გადაივლებს და კვენსა თეთრი ძაფივით ჩასრიალდება ტურჩებზე".

ამ სტრიქონებში გამჟღავნებული გრძნობა მხოლოდ პიროვნული შიში არაა. იგი საუკუნის ცივი სუნთქვის მიერ მოტანილი ტოტალური განგამის მაუნყებელი აბსტრაქტული შიშია. მაგრამ ადამიანთა ცხოვრებაში პერიოდულად იფანტება ავისმომასწავლებელი ღრუბელი და დროებით უდრტვიწველი ბედნიერების, სიმშვიდისა და მყუდროების ნეტარი ილუზია ისადგურებს. პოეტი ამგვარ გამოდარებას აღრის "ლოკოინების საზეიმო სვლას წვიმის შემდეგ". ვიქტრობ, ეს უაღრესი სიზუსტით მიგნებული ირონიული სახე კომენტარს არ საჭიროებს.

ლირიკული პოემა "ფიქრები მზის მიწურულში" თავისებური თვითანგარიშია, შეფასებაა შემოქმედის მიერ განვლილი გზისა. თხზულების პირველი თავი "ტკივილის ხელოვნების" დაუფლების საიდუმლოებას გვაზიარებს:

"ახლა მესამე დღეა მარტო ვზივარ, მინასავით ნათელი და მოწმენდილია ჩემი გონება, კიდურების სიღრმეში სახსრები წინასწარმეტყველებენ წვიმას ზამთრის მიწურულამდე... ჩემი ყოველი შეჯახება სინამდვილესთან მარცხით მთავრდება.

რომელსაც ახლა ფანგისფერი ფურცლები ეფარება - ჩაის ვარდი მუცლის მარცხენა მხარეს, ეს ჩემი შემკვერველები ღვიძლი, სამი თითით საზღვარს გადაცილებული, ეუფლება ტკივილის ხელოვნებას...".

მიუხედავად დატყვილი ენობრივი ფაქტურისა, ლია სტურუას პოეტურ სტრიქონებში ძვირად შევხვებით უმისამართოდ დაფრენილ, არაფრისმთქმელ ფრაზებს. თითოეული სიტყვა კონკრეტული დეტალის ან სახის შექმნის მიზანს ემსახურება და მოცემული კონტექსტისათვის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. "შემკვერველებს ღვიძლს" - ამ ნატურალიზებულ მხატვრულ კოდსაც გარკვეული მხატვრული დანიშნულება აქვს, რომლის აზრობრივ გასაღებს პოემის ფინალი იძლევა.

"მესხიერების ფსკერზე წამოშლილ მოძრაობათა" სიზმრისეული ნაკადი შლის წარსულს, ანმყოსა და მომავალს შორის

სახლვრებს; საინტერესო პარადიგმული კავშირები იბმება ადამიანისა და კაცობრიობის ბავშვობას შორის; იწყება ავტორის შორეული მოგზაურობანი დროსა და სივრცეში; ჯერ ჩვენს წინაპართა პირველყოფელ საცხოვრის ვესტუმრებით, აქედან ბიბლიურ პალესტინაში, სოდომსა და გომორში გადავინაცვლებთ. ამ ცოდვილ ქალაქთა მკვიდრთ, "ოქროს კვეთით აგებულ ადამიანებს", რომლებიც ჯერ მხოლოდ ფიზიკურად არიან ადამიანები, დიდი გზა აქვთ გასავლელი ღამაზ სხეულში ლამაზი სულის, ჭეშმარიტი ჰარმონიისა და ღვთაებრივი პროპორციის (ოქროს კვეთის) აღმოჩენამდე. მოქმედების ლოგიკას ისევ ღია სტურუას რჩეულ თემამდე - პრომეთე-ამირანის ჰეროიკული მითის ორიგინალურ მხატვრულ მოდელირებაში მივყავართ.

თანამედროვე ადამიანი რთული ამოცანის წინაშე დგას, ვის მიბაძოს - განუხვაველი ბედნიერების გზით მოარულ მარტივ წინაპარს, თუ იმას, ღმერთების პანთეონში ოქროს ბალახზე მოარულს, რომელსაც არც სითბო აკლდა, არც ნექტარი და ამბროზია, მაინც მოპარა ღმერთებს ცეცხლი და "მოუტანა უმი ხორცის ძიძგით და სისხლის აღრევით გართულ ადამიანებს, რომ მათ გასჩენოდათ სურვილი უბელო ცხენების დაჭედვის, მთვარის შუქზე ლექსების წერის, მკისა და თესვის" და ამით საკუთარ თავს საბედისწერო განაჩენი გამოუტანა?

პოეტის სიტყვები, "მე კი ცეცხლისკენ ზურგშექცეული ველარ ვგძნობდი, რომ მის მომტანს ჩემი უმეცრება ღვიძლზე მეტად სტკიოდა" ნათლად გვიხსნის, "შემკვერველები ღვიძლის" მეტაფორას.


ვერლიბრისტებს, არც თუ იშვიათად, პოეზიის გაუბრალეობას, სათქმელის გრავიკული გამოხატვის პრინციპამდე დაყვანას საყვედურობენ, რასაც ვერ ვიტყვით ლია სტურუაზე; პირიქით, ვერწერით ვატაცება ამ პოეტის შემოქმედებაში იმდენად ძლიერია, რომ მას ზოგჯერ მეორე უკიდურესობამდე, მხატვრულ მასალაზე ძალდატანების საშიშროებამდე, მივყავართ. გადაჭარბებული ორნამენტალიზმი, გართულებული სინტაქსი და სახვით განზომილებათა კასკადები ხშირად კონკრეტულობისაგან ძარცვავს საგანს, მის აზრობრივ-შინაარსობრივ განსახლვრულობას.

ერთი შენიშვნაც - მკითხველში საკმაოდ არასასიამოვნო ემოციებს აღძრავს მწერლის ხაზგასმულად პათეტიური საუბარი საკუთარ სულიერ თუ ინტელექტუალურ ძალისხმევაზე. ამიტომ ავტორი, შეძლებისდაგვარად, უნდა ერიდოს თვითდამკვიდრების ასეთ ფორმას:

"დავებლავ, დედა! გონებით სიარული ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე, თუნდაც, რევმატიული ფეხებით".

საკუთარ შეხედულებათა დამაჯერებლობაში პოეტმა სხვა, წმინდა ლიტერატურული, ხერხებით უნდა დაგვარწმუნოს და არა - დრამატიზმის იმიტაციით.

რა თქმა უნდა, ჩემს მიერ გამოთქმული შენიშვნები არსებით ჩრდილს ვერ აყენებს ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური პოეტის სახელს. ლევ ტოლსტოი აღნიშნავდა, რომ ჟან-ჟაკ რუსო საკუთარი გულახდილობით კეკლუცობსო. იგივე "ცოდვა" პოეტს, და მითუმეტეს ქალს, ალბათ, მიეცევა.





### ერთმანეთს ყოველ მეორე პარასკევს შევხვდებით

14 მაისს საზოგადოებამ „ლიტერატურული გაზეთის“ დაბადების ამბავი შეიტყო. სხვა დროს შეიძლება, ეს გასაკვირი არც ყოფილიყო, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ლიტერატურული პერიოდიკა საქართველოში ბოლო ხანს საგრძნობლად შემცირდა, მწერლებისთვის ეს მართლაც სასიხარულო ცნობა აღმოჩნდა.



მართალია, „ლიტერატურულ გაზეთს“ დღის სინათლე წესით 15 მაისს, პარასკევს უნდა ეხილა, მაგრამ რადგან პირველი ნომერი იყო, მთელმა სარედაქციო კოლექტივმა მოინდომა და გაზეთის დაბადების პროცესი ერთი დღით დააჩქარა. კულტურის სამინისტრომ კი, რომლის ფინანსური მხარდაჭერითაც ეს გაზეთი გამოდის, ახალშობილის ქვეყნიერებაზე მოვლენის აღნიშვნა სწორედ 14 მაისს გადანიშნა და ამ მიზნით მიიპატიჟა ყველა ის ადამიანი, ვისთვისაც ეს ცნობა მართლაც ბევრისთვის მძიმე იყო.

კულტურის სამინისტროს ახალგაზრდულ მისიას დაარბაში ერთმანეთს გვერდით იდგნენ უკვე აღიარებული, ყველასათვის საყვარელი მწერლები და ისინიც, ვინც ახლა დგამს თავის პირველ შემოქმედებით ნაბიჯებს. იყვნენ ისეთებიც, ვისაც უბრალოდ სურდა, ამ დღის სიხარული მწერლებთან ერთად გაეზიარებინა. რა თქმა უნდა, ფოტორეპორტიორებიც მუშაობდნენ და ის ჟურნალისტებიც, რომლებიც სხვადასხვა საინფორმაციო გამოშვებისთვის სიუჟეტის მომზადებას გეგმავდნენ.

პირველი სიტყვა მასპინძელმა — კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა, ბატონმა ნიკოლოზ რურუამ წარმოსთქვა. აღნიშნა პრინციპი, რომლითაც „ლიტერატურული გაზეთი“ იხელმძღვანელებს — რომ მხოლოდ გამოუქვეყნებელი მასალები დაიბეჭდება და რომ ამ გაზეთის კარი ღიაა ყველასათვის, ვინც ხარისხიან ლიტერატურას ქმნის.

კულტურის სამინისტროსთან ერთ-

თად „ლიტერატურული გაზეთის“ დაარსების იდეის ერთ-ერთმა ავტორმა, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ, ზაალ სამადაშვილმა კი უფრო ვრცლად ილაპარაკა და ეს ბუნებრივად ეჩვენა ყველას, რადგან ზაალ სამადაშვილი არასდროს არის გულგრილი ლიტერატურისადმი და მეტიც, თუ საქმე მწერლობას ეხება, თავად მწერალი ყველა ინოვაციური ნამოწყების

ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერიც ხდება:

„გულოცავ ყველას, ვინც ამ დარბაზში და ვინც ამ დარბაზს გარეთაა, ვინც შეიტყობს, რომ დღეს გამოვიდა „ლიტერატურული გაზეთის“ პირველი ნომერი. ძალიან გახარებული ვარ, როგორც თითოეული თქვენთაგანი. ეს მართლაც ნიშნავს ქართული ლიტერატურული პერიოდიკის გამოცოცხლებას

და დარწმუნებული ვარ, ეს გაზეთი იქნება პირველი მერცხალი იმისა, რომ მომავალში კიდევ სხვა გაზეთებიც გამოჩნდეს, იმიტომ, რომ ჯანმრთელ კონკურენციაში იბადება მაღალი ხარისხის პროდუქცია“.

სხვათა შორის, ბატონ ზაალს სიტყვის წარმოთქმამდე უკვე წაკითხული ჰქონდა მთელი გაზეთი და თავი არც საკუთარი შთაბეჭდილებების გამოხატვისგან შეუკავებია: „ისეთი ადამიანების ხელშია ეს გაზეთი, — ვგულისხმობ რედაქტორს და მის თანამოაზრეებსა და თანამშრომლებს, — რომ დარწმუნებული ვიყავი, პირველი ნომერი იქნებოდა უაღრესად საინტერესო და ასეც მოხდა. მერწმუნეთ, რომ მეორე, მესამე, მეოთხე ნომერი იქნება გაცილებით საინტერესო. ამაზე უკეთესი ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ დამიჯერეთ, რომ ასე იქნება“.

მწერლები სიტყვით არ გამოსულან. მათ სიტყვები თანამშრომლობის სურვილის გამოსათქმელად შეინახეს და როგორც კი პრეზენტაციის ოფიციალური ნაწილი დასრულდა, რედაქციის მისამართით დაინტერესდნენ.

„ლიტერატურული გაზეთის“ კარი ღიაა ყველასათვის, ვინც წერს ლექსს, მოთხრობას, რომანს, კრიტიკულ წერილს, ესესეს...

ჩვენ ვთანამშრომლობთ ყველასთან, ვისთვისაც მნიშვნელოვანია მაღალი ხარისხის ლიტერატურულ ფერხულში ჩაბმა.

ჩვენ ერთმანეთს ყოველ მეორე პარასკევს შევხვდებით.

**მურმან ჩაჩუას ფოტორეპორტაჟი**



**ლიტერატურული გაზეთი**  
 რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე  
 რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
 ჟურნალისტები ხათუნა ალხაზიშვილი, თამარ ყურული  
 გამომდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით  
 ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com